


ნოდარ ქაჯაბაძე ნოდარ ლუხაძე



სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1963

NODAR KAKABADSE, NODAR RUCHADSE

**KÄUKASIEN UND GEORGIEN
IN DER DEUTSCHEN LITERATUR**

წინასიტყვაობის მაგიერ

წინამდებარე ნარკვევების კრებულში თავი მოვუყარეთ პირველად ჩვენს მიერ მიკვლეულ და დამუშავებულ მასალას. ამდენად ამ მცირე კრებულის მიზანი სრულებითაც არ არის სრული და ამომწურავი სურათის წარმოდგენა, რადგან ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი უკვე ცნობილ და სხვათა მიერ გამოქვეყნებულ მასალას. ოღონდ აქვე უნდა შევნიშნოთ, ზოგიერთი მეტნაკლებად ცნობილი ავტორი, რომელიც კი საქართველოს თემას შეხებიდა, მთელი სისრულით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი (ბოდენშტეტი, ლაისტი და სხვ.). მათი სრული შესწავლა ჩვენი შემდგომი მუშაობის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, კავკასია გერმანულ ლიტერატურაში პირველად მე-13 საუკუნის, ხოლო საქართველო და ქართველები მე-17 საუკუნის ძეგლებში გვხვდება.

მე-13 საუკუნის გერმანულ მხატვრულ ძეგლებში („პარციფალი“, „ორტნიტი“, „რაინფრიდ ბრაუნშვაიგელი“ და სხვ.) მოხსენებულია კავკასია. მე-17 საუკ. ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ანდრეას გრიფიუსმა დაწერა ტრაგედია

„ეკატერინე ქართველი“, რომლის სიუჟეტად ქეთევან წამებული ცხოვრება აიღო (ამ ტრაგედიის დაწერის ზუსტი თარიღი არაა ცნობილი, ვარაუდობენ ის შეიქმნა დაახლოებით 1646 წლის შემდეგ). ანდრეას გრიფიუსის ამ ნაწარმოებს ჩვენში პირველად შეეხო ივანე რამიშვილი, რომელმაც 1904 წლის ოქტომბრის „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა წერილი ამ ნაწარმოებზე.

1668 წ. მეორე სახელგანთქმულმა გერმანელმა მწერალმა, გრიმელსპაუზენმა თავის რომანში „ზიმპლიციუს ზიმპლიცისიმუსში“ ერთგან ქართველები მოიხსენია: Georgianer (საინტერესოა, რომ მე-18 საუკ. ცნობილი გერმანელი ხელოვნების ისტორიკოსი და მოაზროვნე ვინკელმანიც ქართველებს ასეთივე ფორმით იხსენიებს: Georgianer. აღსანიშნავია, რომ 1798 წელს ვენაში ფრანც კარლ ალტერმა გამოსცა წიგნი სათაურით „Über die Georgianische Litteratur“. ალტერი ყველგან იყენებს ფორმას: Georgianer. უფრო მოგვიანებით კი გვხვდება სხვა ფორმა: Georgier. ეს გვიანდელი სახელწოდება დასტურდება გოეთესა და შემდგომი ავტორების ნაწერებში).

ამ კრებულში გაერთიანებული ნარკვევები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ისინი ჩვენი კოლექტიური შრომის ნაყოფია, რომელთაგან სამი („კავკასია ძველგერმანულ ლიტერატურაში“, „ქართველი ქალები გოეთეს კომენტარების მიხედვით“, „გერმანული რომანი ქართულ თემაზე“) მხოლოდ ნ. კაკაბაძეს ეკუთვნის.

ნ. კაკაბაძე, ნ. რუხაძე

კავკასია კვლევებზე ლიტერატურაში

ადრეული შუა საუკუნეების გერმანულ ლიტერატურაში შემონახულია ცნობები კავკასიის შესახებ. მე-13 საუკუნის დამდეგის სარაინდო რომანში — „პარციფალში“, რომელიც ევროპული ადრეული შუა საუკუნეების უდიდეს მწერალს, ვოლფრამ ფონ ეშენბახს ეკუთვნის, ოთხ ადგილასაა ნახსენები კავკასია.

„პარციფალის“ II წიგნში აღწერილია გამურეტის, პარციფალის მამის შეჭურვილობა და მის აბჯარზე ნათქვამია (სიტყვა-სიტყვით პროზაულად ვთარგმნით ტექსტს):

„დამზადებული იყო იგი ოქროსაგან, რომელსაც კავკასიის მთებიდან ბრჭყალებით გლეჯდნენ გრიფები და იქვე ინახავდნენ და ღღესაც ინახავენ. არაბეთიდან მოდიან ადამიანები, რომლებიც ეშმაკობით იგდებენ ხელთ ოქროს (უკეთესი ოქრო არსად არაა სხვაგან) და გააქვთ იგი არაბეთში, სადაც მისგან საუკეთესო ქსოვილებს ამზადებენ“ (71,17—27).

რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი კლამიდე, რომელსაც პარციფალმა წაართვა საყვარელი ქალი, კონდვირმაური, ეუბნება პარციფალს: — მე ისეთი რამ დავკარგე, რომ ამ დანაკლისს ვერ ამინაზლაურებს ვერავითარი სიმდიდრე და განძე-

ულობა, ვერც ტრიბალიზმითი (ე. ი. ინდოეთი — ინდოეთის სიმდიდრე ჩემს ხელში რომ გადმოვიდეს, კმუნვა მაინც არ გამიქარვდება), ვერც ოქროთი მდიდარი კავკასიის მთები და ვერც თვით გრაალის ყოვლის მომნიჭებო (dar zuoz gebirge in Kaukasas, 326, 23)

მართალია, დედანში ოქრო არაა ნახსენები, პირდაპირაა ნათქვამი: კავკასიის მთები, — უფრო ზუსტად: — მთები კავკასიაში, — მაგრამ ამ მთებში ოქროთი მდიდარი მთები იგულისხმება და ასეც თარგმნიან ამ სტრიქონს თანამედროვე გერმანულზე: „Und des Kaukasus goldreicher Grund“ Simrock, 326, 23) „Der Kaukasus, der von Golde gleißt“ (Pannier, 326, 23) და სხვა...

„პარციფალის“ მე-7 წიგნში ვკითხულობთ: „კავკასიის ოქრო წითელია, მისგან წარმართები (იგულისხმებიან არაბები, — ნ. კ.) ქსოვენ მშვენიერ სამოსელს: დიდის ხელოვნებით აქსოვენ ისინი ოქროს აბრეშუმში“ (374,30—375,1—3).

პარციფალისა და ფაირეფიცის შერკინებისას ვოლფრამ ფონ ეშენბახი აღნიშნავს:

„ძალა ემატებოდა წარმართს (ე. ი. ფაირეფიცს, — ნ. კ.), როცა ის წამოიძახებდა ხოლმე „თაბრონიტს“, სადაც დედოფალი სეკუნდილე იმყოფებოდა, კავკასიის მთის წინ“ (742,1—4).

კავკასია მოხსენებულია აგრეთვე მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანულ საგმირო ეპოსში — „ორტნიტში“. ქონდრისკაცი ალბერიჰი თხოვს ორტნიტს სიცოცხლის შენარჩუნებას, რისთვისაც ჰპირდება მახვილს, მოვარაყებულს ოქროთი: „მე ვფიქრობ, დედამიწაზე არ მოიპოვება უკეთესი

მახვილი, მე ის წამოვიღე ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია ალმარაი. იგი მოვარაყებულა ოქროთი და კრიალაა ვითარცა შინა. ოქრო მე ამოვიღე მთიდან, რომელსაც კავკასია ჰქვია". (Simrock, Das kleine Heldenbuch, „Ortnit“, s. 22)¹

მე-13 საუკუნის მიწურულის საგმირო ეპოსში — „რაინფრიდ ბრაუნშვაიგელში“ მოთხრობილია შემდეგი ამბავი: რაინფრიდი თავის რაინდებთან ერთად სპარსეთში მიდის. აქედან ის სპარსეთის მეფესთან ერთად კავკასიის მთებს მიაშურებს, სადაც ბინადრობენ გრიფები, რომლებიც თავიანთ კვერცხებს ოქროზე დებენ. ოქროს ხელში ჩასაგდებად ადამიანები ეშმაკობას მიმართავენ:

„როცა ოქროს მოპოვება სურთ, ადამიანები კლავენ დიდ ხარებს, მათ ატყავენ, ხარის ტყავში დებენ დიდ, წვეტიან ქვებს, შემდეგ ტყავს პირს მოუკრავენ და ხარის ტყავებს იქვე დადებენ, ისე რომ გრიფებმა კარგად დაინახონ... და ადრე, დილით, როცა ის-ისაა ინათებს, გრიფს ჰგონია, რომ საზრდო იპოვა, ის აიტაცებს ქვებით გამოტენილ ტყავებს და მთებზე აფრინდება, და როცა მიფრინდება თავის ბუდეში, მაშინლა მიხვდება, რომ ის მოტყუებულია. გრიფი ტყავებსა და ქვებს გადაყრის მთიდან ძირს...“ ჩამოვარდნისას ქვებზე ტეხენ და თან გაიყოლებენ ოქროს ზოდებს, რომელთაც ადამიანები ღამით აგროვებენ და ეპატრონებიან. „მთებს

¹ სამწუხაროდ, ხელთ არ მქონია დედანი. ვისარგებლე კარლ ზიმროკის ახალგერმანული თარგმანით, რომელიც სიზუსტით ხასიათდება (ნ. კ.).

შორის მდებარეობს ზღვა“ (იხ. Bartsch, „Herzog Ernst“ Wien, 1869, CXXXII).

მე-13 საუკუნის დასასრულის სარაინდო რომანში, ე. წ. „უმცროს ტიტურელში“, რომელიც ალბრეხტს მიეკუთვნება, შემდეგია მოთხრობილი:

„მთებში ბატონობდნენ ველური გრიფები. ამ მხარეში მცხოვრებთ მათი შიშით დამფრთხალი ჰქონდათ ძილი. ოთხი ცხენიც რომ ყოფილიყო ერთმანეთზე გადამხული, გრიფებს არც მათი გატაცება გაუჭირდებოდათ.

შორიახლო მიდამოები დაცარიელებული იყო, გრიფების მახლობლობაში არავის არ შეეძლო ჰქონოდა სამოსახლო, ადრე ოქრო სხვაგვარად იყო განაწილებული... გრიფები ადვილად არ თმობდნენ ოქროს; მათი ადგილსამყოფელი თანდათანობით ზევით იწევდა.

გრიფები მთებში გლეჯენ ოქროს დიდ ზოდებს და მიაქვთ კავკასიაში გასაყიდად, რათა ოქრო ტყუილუბრალოდ არ გაფუჭდეს. როგორც კი გრიფები ოქროს გამოსდგამდნენ, ადამიანები მაშინვე დაჰკლავდნენ ხოლმე რქოსან საქონელს, რაც ძვირი არ ჯდებოდა, გრიფებს დაკლული საქონელი მიჰქონდათ მთებზე თავიანთ ბუდეებში“ (აქ ცოტა გაურკვევლად და ბუნდოვნად დაახლოებით იგივეა ნათქვამი, რაც „რაინფრიდ ბრაუნშვაიგელში“). ზოგიერთი ძველგერმანული ეპოსის მიხედვით ოქრო ანდა ძვირფასი ქვები მოიპოვება სკვითეთში (სკვითიაში). გრიფების ადგილსამყოფელადაც სკვითიაა მიჩნეული. მაგ.: „ყველაზე ძვირფასი სმარაგდი სკვითიაში მოიპოვება, აქვე ბინადრობენ გრიფები, რომლებიც სმარაგდს

იტავენ“. (Hasler, 21 689, შეადარე Hagen-ის Germania-ს 10.101)¹.

როგორც დავინახეთ, ძველგერმანულ ეპიკურ ძეგლებში კავკასიისა და სკვითეთის შესახებ ანალოგიური ამბავია მოთხრობილი.

მე-16 საუკუნის „ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტუსზე“ გადმოცემულია შემდეგი ამბავი:

ფაუსტუსის თხოვნით, მეფისტოფილესი (ასე ჰქვია ბოროტ სულს „ხალხურ წიგნში“ — ნ. კ.) მას მსოფლიოს შემოატარებს. ისინი მოივლიან მთელ ევროპას, აფრიკასა და აზიას, რუსეთსაც ინახულებენ (Moscowiterlandt), ეწვევიან კონსტანტინეპოლსაც და კავკასიაშიც შემოდგამენ ფეხს.

კავკასია აქ ასეა აღწერილი: „კავკასია, ინდოეთსა და სკვითეთს შორის მდებარე უმაღლესი კუნძულია თავისი სიმაღლეებითა და მწვერვალებით, იქიდან დოქტორ ფაუსტუსმა გადახედა მრავალ ლანდშაფტს და ზღვის სივრცეს. იქ იმდენი პილპილის ხეა, რამდენიც ჩვენში ღვიის ჩირგვები“. მეორეგან ვკითხულობთ: „და თუ მე საქმიანად ვილაპარაკებ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დოქტორი ფაუსტუსი ასეთ სიმაღ-

¹ თომას მანის რომანში — „ჩჩეული“, რომელშიაც ბერი კლემენს ირლანდიელი მოგვითხრობს გრეგორიუსის ამბავს, ერთგან ჰერცოგ გრამლდის სიმდიდრეა აღწერილი და, სხვათა შორის, ესეცაა ნათქვამი:

„...საიდუმლო ოქროს კილოვნებში ინახებოდა ფული, კავკასიაში გრიფების ბრკეალებიდან გამოგლეჯილი (Thomas Mann, Gesammelte Werke, 8. Bd., Aufbau Verlag, Berlin 1955, S. 16), ბერ კლემენს ძველგერმანულ თქმულებებსა და ეპიკურ ძეგლებში გავრცელებული გადმოცემა პირდაპირ შეაქვს თავის თხრობაში.

ლევბზე ადიოდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქიდან ზღვა და გარემომცველი სამეფოები ეხილა, არამედ ფიქრობდა, რადგან ზოგიერთი კუნძული თავისი მწვერვალებით ეგზომ მაღალია, სურდა მას ბოლოსდაბოლოს სამოთხის დანახვა... და განსაკუთრებით კუნძულ კავკასიიდან, რომელიც თავისი მწვერვალებითა და სიმაღლეებით ყველა სხვა კუნძულს აღემატება, ფიქრობდა, მოახერხებდა იგი სამოთხის დანახვას, კუნძულ კავკასიის ამ მწვერვალიდან იხილა მან მთლიანად ინდოეთისა და სკვითეთის ქვეყანა. — აღმოსავლეთით მან დაინახა სინათლე, მსგავსი მოკაშკაშე მზისა, იხილა მიწიდან ვიდრე ზეცამდე ცეცხლის ნაკადები ამოდიოდა... შეამჩნია ველზე ოთხი დიდი მდინარე მოედინებოდა, ერთი — ინდოეთისაკენ, მეორე — ეგვიპტისაკენ, მესამე — სამხრეთისაკენ და მეოთხეც იქითკენ (საცა ფაუსტუსი იმყოფებოდა). იხილა რა ეს, ფაუსტუსს ეწადა შეცნობა ყოველი ამის საფუძვლისა და წარმოშობისა და ჰკითხა მეფისტოფილესს, მაგრამ მან ეს შეშინებული გულით მოიმოქმედა, თუ რა იყო. მეფისტოფილესმა მას სწორი პასუხი გასცა: ეს სამოთხე არისო“¹ („Historia von D. Iohann Fausten“, Verlag der Nation Berlin, S. 101—102—103).

როგორც ჩანს, კავკასიონი ძველთაგანვე აღიზიანებდა

¹ საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ: „ხალხური წიგნის“ ტექსტი სინტაქსურად, სტილისტურად და ლოგიკურადაც ერთობ აბნეული და უწესრიგოა, ხშირად იწყება ერთი წინადადება და ისე, რომ იგი არ დამთავრებულა, მას მეორე მოსდევს. წინადადების ერთი ნაწილი ზოგჯერ არც სინტაქსურად და არც ლოგიკურად არაა შეთანხმებული წინადადების მეორე ნაწილთან.

მსოფლიო ხალხების ფანტაზიას: ადამიანებისათვის ცეცხლის მომტაცებელი, ღმერთებისაგან განმდგარი პრომეთეოსი ხალხურმა წარმოსახვამ კავკასიონის ქედზე მიაჯაჰკვა. სამყაროს არსის შეცნობით დაინტერესებული, ჰუმანიზმის ეპოქის პირ-მშო, დიაბოლთან განდობილი ფაუსტიც ხალხურმა ფანტაზიამ კავკასიონზე აიყვანა, რათა იქიდან დაკარგული სამო-თხე დაენახებინა!

რამდენადაც ვიცი, ყველა მკვლევარი, რომელიც კი ძველ-გერმანულ ლიტერატურაში მოხსენებულ კავკასიის საკითხს შეხებია, მას, ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცების გარეშე, ე. წ. ინდურ კავკასიად, ინდოეთის გარკვეულ ნაწილად. ჰინდიკუშად მიიჩნევს, ასე, მაგალითად, გუსტავ როზენჰაგენი „პარციფალის“ ერთ-ერთ გამოცემაში შენიშვნის სახით წერს: „კავკასიის ოქროსმადნიან მთებში იგულისხმება Caucasus indicus, ჰინდიკუში“ (Parzival von Wolfram von Eschenbach, neu bearbeitet von Wil. Hertz, fünfte Auflage mit einem Nachtrag von Gustav Rosenhagen, 1911). და, მართლაც, ამისთვის არსებობს საბუთები როგორც იმ ეპოსებში, რომლებშიაც კავკასიაა ხსენებული, აგრეთვე სხვა ლიტერატურულ ძეგლებშიც. ასე, მაგალითად, „პარციფალში“, როგორც უკვე აღინიშნა, ერთგან წერია: „ძალა ემატებოდა წარმართს, როცა ის წამოიძახებდა ხოლმე „თაბრონიტს“, სადაც დედოფალი სეკუნდილე იმყოფებოდა, კავკასიის მთე-ბის წინ“. „თაბრონიტი“, ამ რომანის მიხედვით, ერთ-ერთი ნაწილია „ტრიბალიბოტისა“, ხოლო ტრიბალიბოტი რომ გაიგივებულია ინდოეთთან, ესეც თვით რომანშივე ჩანს:

„Wir heizen hie Indîâ: dort heizet ez Tribalibot“ (823, 2—3) („აქ ჩვენ ვეძახით ინდოეთს. იქ ისინი ეძახიან ტრიბალიბოტს“).

მე-15 საუკუნის მწერალი ჰერმან ფონ ზაქსენჰაიმი თავის „მორინში“ წერს:

„მრავალ უცხო კუნძულზე, განსაკუთრებით კი შორეულ ინდოეთში, სადაც ერთ დროს გაემგზავრა თომა მოციქული, აღმართულია ოქროთი მდიდარი მაღალი მთები, რომლებზეც გრიფები ბინადრობენ და მუდამეამ ზიანს აყენებენ ნისკარტიან ადამიანებს“ (იხ. Bartsch).

როგორც ვხედავთ, აქ ადრე განხილულ ეპოსებში შემორჩენილი ცნობის ანალოგიური ცნობაა მოწოდებული, იმ განსხვავებით, რომ კავკასიის ნაცვლად აქ ინდოეთია „ჩასმული“.

მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ლიტერატურულ ძეგლებშივე გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც ინდოეთი და კავკასია სხვადასხვა ქვეყნებად თუ მხარეებადაა მიჩნეული.

იმავე „პარციფალში“, თუ ერთ უკვე ციტირებულ ადგილს გავიხსენებთ, წერია: „წარმართთა ქვეყანა ტრიბალიბოტი (ე. ი. ინდოეთი, — ნ. კ.) და მთები კავკასიისა“.

„ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტუსზე“, როგორც უკვე ითქვა, წერია: „კავკასია, ინდოეთსა და სკვითეთს შორის მდებარე, უმაღლესი კუნძულია“.

ანდა იმავე წიგნში მეორეგან ვკითხულობთ: „კუნძულ კავკასიის ამ მწვერვალებიდან იხილა მან მთლიანად ინდოეთისა და სკვითეთის ქვეყანა“.

ოქროსმცველი გრიფების ზღაპრული მოტივი საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობას მოკლებულია. ჯერ კიდევ

ადრე უძველეს ხალხებში ვხვდებით ამ მოტივს; პეროდოტე იხსენიებს გრიფებს ასეთ ვითარებაში. (იხ. Bartsch-ის უკვე დასახელებული წიგნი, აგრეთვე Gustav Ehrismann, „Geschichte der deutschen Literatur bis zum Ausgang des Mittelalters“, zweiter Teil, erste Hälfte, München).

ამ ცნობიდან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოქრო მაღალ მთებშია, ოქროს მთებიდან იღებენ; ეს ოქროსმადნიანი მთები სპარსეთთან ახლოსაა, ამ მთების მახლობლად მდებარეობს ზღვა. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ სკვითეთი გაიგივებულია კავკასიასთან, ზოგჯერ კი მის მეზობელ — მოსაზღვრე მხარედაა მიჩნეული.

მე ვფიქრობ, დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში ხალხში გავრცელებულ ამ შეხედულება-წარმოდგენას კავკასიაზე და მის ოქროზე, რომელიც შემდეგ ლიტერატურაშიც გადავიდა, გარკვეული ისტორიულ-რეალური ვითარება უნდა ედოს პირველსაფუძვლად, სახელდობრ, რეალურ ფაქტზე დაფუძნებული გადმოცემები და თქმულებები იმ კავკასიის ოქროზე, რომელიც შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს.

ძველთაგანვე ლიტერატურასა და ხალხურ წარმოსახვაში კავკასია და, კერძოდ, კოლხეთი ოქროსა და განძეულობის მხარედ ითვლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია ბერძნული მითი ოქროს საწმისის შესახებ.

სტრაბონი, ახალი და ძველი ერის მიჯნაზე მდგარი ბერძენი გეოგრაფი წერდა: „მათთან (სვანებთან, — ნ. კ.) წყლის ნაკადებს უნდა ჩამოჰქონდეთ ოქრო და ბარბაროსები მას უნდა აგროვებდნენ დაჩვრეტილი როფებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით. ზღაპარს ოქროს საწმისზე ეს უღევს საფუძ-

ვლად (ესარგებლობდი სტრაბონის გერმანული თარგმანით: „Strabo's Erdbeschreibung. übersetzt und durch Anmerkungen erläutert von Dr. A. Forbiger, Stuttgart, 1858, S. 15).

II საუკუნის რომაელი, ბერძნულ ენაზე მწერალი ისტორიკოსი აპიანე თავის „რომაულ ისტორიაში“ წერს: „კავკასიონიდან გამოედინება მრავალი მდინარე, რომელთაც ნათიფი, ძლივს სახილველი ოქროს მტვერი ჩამოაქვთ თან. იქაური მცხოვრებლები სდებენ წყალში გრძელბეწვიან ცხვრის ტყავებს და ამგვარად აგროვებენ ოქროს მტვერს. ალბათ, აეტესის ოქროს საწმისიც ამგვარი სახისა იყო (Appian's von Alexandrien, Römische Geschichte, Übersetzt von Ferdinand L. I. Dillenius, sechstes Bändchen, Stuttgart, 1830 12. Buch, S. 832).

არსებობს კიდევ სხვა ძველ მემატიანეთა ანალოგიური გადმოცემები.

მე-6 საუკუნის ბიზანტიელი მემატიანე პროკოპი კესარიელი წერს თავის „De bello persico“-ში:

„მაშინ რომაელებმა დაიჭირეს სპარსელთა ადგილები პერსარმენიელთა ქვეყანაში: სიმაგრე ბოლონი და ე. წ. ფარანგიონი, სადაც სპარსელები ოქროს თხრიან და მეფესთან მიაქვთ“ („გეორგიკა“, ტომი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო პროფ. ს. მ. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1934, გვ. 25).

იგივე პროკოპი კესარიელი მეორე ადგილას წერს: „იმის შემდეგ კი პერსარმენიელთა საზღვრები იწყება, სადაც ოქროს მადანი არის, რომელსაც განაგებს კავადის გადაწყვეტილებით (სპარსელთა მეფეა, — ნ. კ.) ერთი ადგილობრივთა-

განი, სახელად სიმეონი. როდესაც სიმეონმა დაინახა, რომ ორივე მხარე (ე. ი. ბიზანტია და სპარსეთი, — ნ. კ.) ბრძოლაში იყო გაართული, გადაწყვიტა მოესპო კავადისტვის გადასახადი, ამიტომ თავისი თავი და ფარანგიონი რომ რომაელებს ჩააბარა, არც ერთისათვის სურდა მადნის მიცემა. რომაელები არაფერს ერჩოდნენ. მათ თავისთვის ისიც დამაკმაყოფილებლად მიაჩნდათ, რომ მტრისათვის დაკარგული იყო მადნის „შემოსავალი“ (გვ. 27—28).

პროკოპის წიგნში კიდევ ვკითხულობთ: „მდინარე ბოასი (ე. ი. კოროხი, — ნ. კ.) გამოდის სადღაც ჭანების საზღვრების მახლობლად არმენიელთა ადგილებში, რომლებიც ფარანგიონის მახლობლად ცხოვრობენ“ (გვ. 71).

მაშასადამე, ფარანგიონი ადგილი უნდა იყოს პერსარშენიაში, ჭანეთის მეზობლად იმ მიდამოებში, სადაც მდინარე კოროხის სათავეა. ფარანგიონში ოქროს მადანი ყოფილა და, როგორც ჩანს, მის დასაცავად აუგიათ ციხე-სიმაგრე ბოლონი (იხ. „გეორგიკა“, II, 35—36).

„გასაგებია ისიც, რომ ბიზანტიელი სარდლის სიტტას ერთ-ერთ მიზანს შეადგენს იმ ადგილის დაპყრობა. სიტტა თავისი ნაცადი პოლიტიკით, სხვადასხვა სიკეთის დაპირებით (კერძოდ, ოქროს მადნით სარგებლობის უფლების მინიჭებით), მიიმხრობს ფარანგიონის მმართველს სიმეონს და ოქროს მადნებს ბიზანტიის ტერიტორიას შემოუერთებს. თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ბოლონ-ფარანგიონის საკითხს მეგრძოლი მხარეები, იქიდან ჩანს, რომ 532 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ეს საკითხი ერთი უმთავრესთაგანია. სპარსელები არასგზით არ თმობენ ამ ადგილებს და კიდევ-

ვაც მიაღწევენ იმას, რომ ბიზანტიელები დაუთმობენ მათ ფარანგიონს და ბოლონის სიმაგრეს“ (ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა „გეორგიკაში“, ტ. II, 35 — 36).

პროკოპის გარდა ფარანგიონის ოქროს მადნებს ეხება მე-6 საუკუნის მეორე ბიზანტიელი ქამთაალმწერელი, იოანე მალალა. ის თავის „ქრონოგრაფში“ წერს: „მიზეზად მოიყვანა ოდესღაც ანასტასი მეფის დროს აღმოჩენილი ოქროს მადნები, რომლებიც რომაელების ხელში იყო, წინათ ხომ ეს მთები სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო; ეს ოქროს-მადნიანი მთები მდებარეობენ რომაული არმენიისა და პერსარმენიის საზღვრებს შუა, როგორც ამბობენ ამ საქმის მცოდნენი. ეს მთები დიდძალ ოქროს იძლევიან. დიდი წვიმების დროს ამ მთებიდან ჩამოცურდება მიწა, საიდანაც ცვივა ოქროს ნატეხები“ („გეორგიკა“, გვ. 269).

პროკოპისა და იოანე მალალას მიერ მოხსენებული ოქროს მადნების ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა შეუძლებელი ჩანს, მაგრამ ფაქტი ისაა, და ამაზე არავინ დავობს, რომ ეს მთები კავკასიის ფარგლებშია საგულებელი.

ყოველივე ამან თანდათანობით ჩამოაყალიბა წარმოდგენა კავკასიის, კერძოდ, კოლხეთის სიმდიდრესა და ოქროზე. მე-17 საუკუნის გერმანულ პიკარესკულ რომანში — „ზიმპლიციუს ზიმპლიციისიმუსში“ ორ ადგილასაა ნახსენები კოლხეთის ოქროს საწმისი. აქვე შეიძლება დავძინოთ: არ უნდა გაგვაკვიროს იმ გარემოებამ, რომ „ხალხურ წიგნში დოქტორ ფაუსტუსზე“ კავკასია კუნძულადაა მიჩნეული. გრიმელსჰაუზენის „ზიმპლიციისიმუსში“ ერთგან ვკითხულობთ: „მე ისეთი მზიარული ვბრუნდებოდი იქიდან, თითქოს კუნძულ კოლ-

ხეთიდან ოქროს საწმისი მომქონდა“-ო. („Der abenteuerliche Simplicissimus“, Aufbau-Verlag, 1955, S.433).

ძველდროების მემატიანეთა გადმოცემის შორეულ გამოცხილს ვხვდებით გოეთეს „აქილეადაში“, რომელშიაც ერთგან „ფაზისის ოქროა“ ნახსენები. („...und körniges Gold des hintersten Phasis“).

1633 — 1666 წლებში აზიაში უმოგზაურია ფრანგ ტავერნიეს. ის კავკასიაშიც ყოფილა. თავის მოგზაურობათა წიგნში მას შეუნიშნავს: „ერთი ოქროს მადანი მთაშია, არტანუჯის მახლობლად“ (იხ. „მოამბე“, 1898, № 6), მეორეგან ტავერნიე წერს: „დავუბრუნდები ისევ იმ ქვეყნებს, რომელთა აღწერას შევუდექი და შევნიშნავ, რომ ამ ქვეყნებში მოიპოვება არა თუ მხოლოდ რკინა, არამედ ოქროც და ვერცხლიც ორ ადგილას, ტფილისიდან ხუთი-ექვსი დღის სავალზედ, ერთ ადგილსა ჰქვია სვანეთი და მეორეს აბხაზეთი [Obetet?]“ (იქვე).

თუ ძველგერმანულ ლიტერატურულ ძეგლებში კავკასიის შესახებ დაცულ ცნობებს შემოვაცლით ზღაპრულ, ფანტასტიკურ სამოსელს, მაშინ შემდეგ სურათს მივიღებთ: კავკასიის მთებში არის ოქრო, მას გლეჯენ, თხრიან, იღებენ მთებიდან, ოქროს ნატეხები მთებიდან ძირს იყრება. ამ მთების მახლობლად მდებარეობს ზღვა. ოქროთი მდიდარი ეს მთები როგორღაც დაკავშირებულია სპარსეთის მეფესთან. მე-9 საუკუნის ბიზანტიელი მემატიანეები — პროკოპი კესარიელი და იოანე მალალა მოგვითხრობენ: სადღაც კავკასიის სამხრეთში არის ოქროსმადნიანი მთები, ოქროს აქ თხრიან სპარსელები და თავიანთ მეფესთან მიაქვთ, დიდი წვიმების დროს

ამ მთებიდან ჩამოცურდება მიწა, საიდანაც ცვივა ოქროს ნატეხები...

მე მგონია, ამ ცნობათა შორის ბევრი რამ არის საერთო. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ კავკასიის ზოგიერთ ხალხში შემონახული ყოფილა ისეთი თქმულებანი და ზღაპრები, რომელთა შინაარსი საოცრად ჩამოკავს და ძირითად ხაზებში ემთხვევა კიდეც ძველგერმანულ ლიტერატურაში შემორჩენილ ცნობებს კავკასიის ოქროს შესახებ. დოკ. დავით იმნაიშვილს 1951 წელს ვედენოში, სოფელ ხუშეთში მცხოვრებ დიდოელ საპით მაჰომეტოვისაგან ჩაუწერია ზღაპარი დიდოურ ენაზე. მომაქვს ამ ზღაპრიდან ჩემთვის საინტერესო ადგილის შინაარსი: მახაჩკალაში ცხოვრობდა ერთი ეშმაკი კაცი, რომელმაც იცოდა ერთგვარი ბალახისა და ნახშირის შერევით ოქროს მიღება. მაგრამ ეს ბალახი იზრდებოდა მხოლოდ ერთ სალ და მაღალ კლდეზე, რომელსაც ირგვლივ ზღვა ეკრა. ამდენად ეს კლდე მიუვალი იყო. ეს ეშმაკი კაცი მოტყუებით მიიყვანდა ხოლმე ამ კლდის ახლოს რომელიმე უცნობს, სტვენით მოუხმობდა ცხენების რემას, ერთ-ერთ ცხენს დაკლავდა, გაატყავებდა და მისი ტყავისაგან ტიკს აკეთებდა. ამ ტიკში ჩასვამდა ამ უცნობს, ტიკს პირს მოუკრავდა და თვითონ შორიახლო გაჩერდებოდა. მოფრინდებოდა დიდი ფრინველი და ამ ტიკს აიტაცებდა იმ კლდეზე, რომელზედაც ის არაჩვეულებრივი ბალახი იზრდებოდა. კაცი გამოვიდოდა ტიკიდან, მოწყვეტდა ბალახებს და ჩაუყრიდა ძირს იმ ეშმაკ კაცს, რომლისგანაც ეს უკანასკნელი ოქროს ამზადებდა...

არსებობს ამ ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტი.

ის ფაქტი, რომ ძველგერმანულ ლიტერატურაში კავკასია და სკვითეთი ან გაიგივებულია ანდა მეზობელ ქვეყნებადაა მიჩნეული, ამ ნაშრომში წამოყენებული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს, მართლაც, ისტორიულად სკვითია შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე კავკასიის მეზობელ მხარეს წარმოადგენდა, და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ასეთად ინდოეთის მიმართ.

რაც შეეხება კავკასიისა და სკვითეთის გაიგივებას: ძველბერძნულ წყაროებშიც მოიძებნება უამრავი შემთხვევა ასეთივე გაიგივებისა. ეს ცნობები მომაწოდა დოც. აკ. ურუშაძემ, რომელსაც განსაკუთრებულ მადლობას ვუცხადებ. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

ევრიბიდეს „მედეას“ II ტაეპში წერია „კოლხეთის აიასაკენ“, სქოლიასტი განმარტავს აიასს: „ქალაქი სკვითეთში ასე წოდებული“ (Sch. Eur. Med ad v. 2) მაშასადამე, კოლხეთი და სკვითია აქ გაიგივებულია.

მე-8—7 საუკუნის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეპიკოსი, რომლის ნაწარმოებთა მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული, ევმელის კორინთელი II ფრაგმენტი მოიხსენიებს „სკვითეთის კოლხეთს“ (Kinkel E. G.F.).

სტრაბონი (XII, 19—25) ლაპარაკობს პალიძონებზე, რომელთაც ხალიბებთან აიგივებს, ხოლო ამ უკანასკნელთ — სკვითებთან. როგორც ცნობილია, ხალიბები კოლხური ტომებია.

სტრაბონის ეს ადგილი მოაქვს ევსტათი თესალონიკელს „ილიადას“ განმარტებებში (11, 856), „ზოგიერთები პალიძონებში სკვითებს გულისხმობენ“.

ერთ ფრაგმენტში „ქალთა კატალოგიდან“, რომელიც ჰესიოდეს მიეწერება, ასეთი ადგილია: ფინევსი დაისაჯა ღმერთების მიერ, იმის გამო, რომ „ფრიქსეს გზა უჩვენა სკვითიისკენ“ (ცნობილია, ფრიქსე, ათამანტის შვილი, კოლხეთში ოქროს ვერძზე გადამჟღარი. ჩამოფრინდა).

პინდარეს მე-4 პითიური ოდის სქოლიოებში ერთ-ერთი ასეთი შენიშვნაა: „იასონმა თვითონ წაახალისა სკვითიაში განზრახული ლაშქრობა“ (სქოლიო 301), „აიეტმა სკვითიის კოლხეთში დაიკავა ერთი მხარე“ (სქოლიო 51) (ყველა ეს ცნობა ამოღებულია დოც. აკ. ურუშაძის დასაბუქდად გამზადებული კაპიტალური შრომიდან „არგონავტთა თქმულების შესახები მასალები ანტიკურ მწერლობაში“; პინდარეს ოდის სქოლიოთა ნუმერაციაც აკ. ურუშაძეს ეკუთვნის).

არსებობს, აგრეთვე, მრავალი სხვა ანალოგიური ცნობა ძველბერძნულ წყაროებში, სადაც კოლხეთი და სკვითეთი (ასევე სკვითები და კოლხები) გაიგივებულია, ხოლო კოლხეთში რომ საქართველოს დასავლეთი ნაწილი იგულისხმება, ეს უდავოა.

მაგრამ არსებობს, აგრეთვე, ძველბერძნულ წყაროებში კავკასიისა და სკვითეთის გაიგივების ფაქტიც. აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი იმოწმებს მე-6 საუკუნის მოღვაწეს, ჰეროდორეს: „პრომეთე — ამბობს ჰეროდორე — სკვითების მეფე იყო...“; „...იგი სკვითთა მიერ ბორკილებში იქმნა ჩაჭედილი“ (იხ. აკ. ურუშაძე, „პრომეთეს მითის ერთი თავისებური ვერსიის შესახებ“, თ. ს. უ შრომები, 45, 1951, გვ. 225-228). ცნობილია, პრომეთეოსი კავკასიაში, კავკასიონის ქედზე იქნა მიჯაჭვული.

ამრიგად, მე ვფიქრობ, ძველგერმანულ ლიტერატურაში შემონახულ ლეგენდურ, ზღაპრულ გადმოცემებში შესაძლებელია ამოვიკითხოთ ისტორიული ფაქტი.

მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ არის, რომ ზოგიერთ ძველგერმანულ ეპოსში კავკასია ან ინდოეთის ნაწილადაა წარმოდგენილი, ანდა მის უშუალო მეზობელ ქვეყნად?!

მე ვფიქრობ, რომ შუასაუკუნეობრივი გეოგრაფიული უმეცრების პირობებში ხალხური ფანტაზია ერთ „ზღაპრულ“ ქვეყანას — კავკასიას აკავშირებს მეორე „ზღაპრულ“ ქვეყანასთან — ინდოეთთან, ანდა მათ აიგივებს, ზოგჯერ კავკასიას ინდოეთის ერთ ნაწილად წარმოადგენს, და ა. შ. ასე რომ ინდოეთის და კავკასიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ისევე დაუკონკრეტებელი და გაურკვეველია, ვითარცა ბიბლიური ედემისა.

საინტერესოა, რომ, მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, ძველ ბერძნულ წყაროებშიც კი ხდებოდა ინდოეთისა და კოლხეთის (ანდა ინდოელებისა და კოლხების) აღრევა. ასე, მაგალითად, მე-10 საუკუნის კომენტატორ-კომპილიატორი იოანე ცეცე, იმოწმებს რა მე-4 საუკუნის (ჩვენს ერამდე) ისტორიკოსს, თეოპომპეს, წერს: „კოლხები ინდოელი სკვითებია“. (ეს ცნობაც დოც. აკ. ურუშაძემ მომაწოდა).

მაშასადამე, ძველგერმანულ ლიტერატურაში შემორჩენილი გადმოცემების ისტორიული პირველსაფუძველი არის შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე კავკასია, მაგრამ თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში ხალხური ფანტაზია ამ ისტორიულ-ფაქტობრივ საფუძველს ურთავდა და უმატებდა ახალ ზღაპრულ პლასტებს, რომელთა მეოხებითაც ჩვენი კავკასია დაუახლოვდა თუ გადაიქცა ინდურ კავკასიად.

ქართველი ქალები გოეთეს კომენტარების მიხედვით

გოეთე თავის „დასავლურ-აღმოსავლური დივნის“ ბოლოს მოთავსებულ შენიშვნებსა და ახსნა-განმარტებებში ერთგან მოგვითხრობს მე-17 საუკუნის იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალას თავგადასავალს, აქვე გადმოგვცემს ბალადელი და ისპაჰანელი ქართველების ამბავსაც.

ამ ვრცელი კომენტარის წყაროს წარმოადგენდა თვით პიეტრო დელა ვალას წიგნის გერმანული თარგმანი — „აღწერა მოგზაურობისა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში... თურქეთში, ეგვიპტეში, პალესტინასა და სპარსეთში...“ გოეთეს ეს წიგნი ორჯერ გამოუტანია (1815 წლის 26 მარტიდან 6 მაისამდე ჰქონია წაღებული და მეორეჯერ 1819 წლის 5 აპრილიდან 14 ივნისამდე) ვაიმარის ჰერცოგისეული ბიბლიოთეკიდან. მწერლის არქივში შენახულია შენიშვნების ფურცელი, რომელიც პიეტრო დელა ვალას წიგნის კითხვისას შეუდგენია.

პიეტრო დელა ვალას წიგნში ვრცლად არის მოთხრობილი ქართველების ზნე-ჩვეულებებზე. გოეთემ ისარგებლა იტალიელი მოგზაურის თხზულებით, ოღონდ ვრცელი მონათხრობიდან მან ერთგვარი მოკლე „კონსპექტი“ შეადგინა, ამავე დროს საკუთარი მსჯელობანი და შენიშვნები დაუტოო:

— ალექსანდრე პიეტრო დელა ვალამ გაიცნო მოგზაური, რომელიც აღტაცებით მოუთხრობდა ერთი ახალგაზრდა ქართველი ქალის სილამაზისა და მაღალი სულიერი თვისებების ამბავს. ეს ახალგაზრდა ქალი თავისიანებთან ერთად ცხოვრობდა ბაღდადში. ბაღდადში ჩასულ პიეტრო დელა ვალას გატაცებით შეჰყვარებია ქართველი ქალიშვილი, მისი ცოლად თხოვაც მოუწოდებია, მაგრამ ქალის მშობლები არ დათანხმებულან; ძალზე უმძიმდათ საყვარელ ასულთან დაშორება. ბოლოს პიეტრო დელა ვალას საწადელისათვის მიუღწევია. ქართველი ქალი მისი მეუღლე გამხდარა. ამ ქართველ ქალს მანან (ალბათ, მანანა) ჰქმევია.

— პიეტრო დელა ვალას, — განაგრძობს გოეთე, — თავისი დროისათვის საერთოდ განათლებულ კაცს, აკლდა ბუნების ცოდნაო. ამიტომ მას უჭირდა იტალიელი მეგობრების თხოვნის შესრულება, რომელთაც აინტერესებდათ აღმოსავლური მცენარეები, ხეები, ბალახები, სამკურნალო ძირხვენები და სანელებლები. სამაგიეროდ, მშვენიერი მანანა შესანიშნავად იცნობდა მცენარეთა ფესვებს, ბალახებს, ყვავილებს, აგრეთვე მათგან ბალზამის, ზეთის, მალამოს დამზადების ხელოვნებასაც. მანანმა ექიმობაც იცოდა. მეუღლე პიეტრო დელა ვალას დაუფასებელ დახმარებას უწევდა აღმოსავლეთის გაცნობასა და აღწერაში.

— მანან ძალზე ქალური და ნაზი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს მტკიცე ნებისყოფა და ხასიათი ჰქონოდა. ამ ქართველ ქალს თურმე ვერ აშინებდა ვერავითარი ხიფათი და განსაცდელი. ყოველთვის, თვით უმძიმესი გაჭირვების ჟამსაც კი, თავი ღირსეულად, მშვიდად ეჭირა, მანან ჩინებული

ცხენოსანი ყოფილა, იცოდა ცხენის მოთვინიერება და გაწვ-
რთნა...

— მაანი თან ახლავს პიეტრო დელა ვალას მოგზაურობი-
სას. ისინი სპარსეთსაც ეწვევიან.

— ისპაჰანში ქართველებს თავიანთი გარეუბანი ჰქონიათ.
იტალიელ მოგზაურს აღმოსავლეთში ახალი რომის დაფუძ-
ნება და რომაულ-კათოლიკური რელიგიის გავრცელება გა-
ნუზრახავს. პირველ ხანს თავისი ცოლის ნათესავები მიუმ-
ხრია. შემდეგ თანდათანობით სხვა ქართველებიც შემოუქ-
რებია გარშემო.

— პიეტრო დელა ვალასა და მაანს უშვილებიათ ერთი
ობოლი ქართველი გოგონა — მარიუკია.

— თანდათანობით იტალიელი მოგზაური მიმხვდარა, რომ
მის განზრახვას განხორციელება არ ეწერა, რომ შეუძლებე-
ლი იყო სპარსეთში ახალი რომის დაარსება.

— პიეტრო დელა ვალამ გადაწყვიტა სამშობლოში დაბ-
რუნება, ცოლთან და ნაშვილებთან ერთად გაუდგა გზას.
გზაში მაანიმ თავი ფეხმძიმედ იგრძნო, მაგრამ უდაბნოში
უხეირო საჰმელისა და ცუდი ჰაერის გამო ბედითი სნეულება
შეეყარა. მაანი უდრტვინველად და ღირსეულად იტანდა ტანჯ-
ვას, მაგრამ ბოლოს გარდაიცვალა 23 წლის ასაკში. სასო-
წარკვეთილმა და განადგურებულმა პიეტრო დელა ვალამ
უკანასკნელ და ერთადერთ ნუგეშად მაანის ნეშტი დააბალ-
ზამა და გადაწყვიტა მისი სამშობლოში წაღება, იქ კი მამა-
პაპისეულ აკლდამაში დაკრძალვა.

— პიეტრო დელა ვალამ უამრავი გასაჭირი და ხიფათი
გადაიტანა სამშობლოში დაბრუნებისას. ბოლოს, როგორც

იქნა, რომს ჩააღწია, აქ ბრწყინვალე პანაშვიდი გადაუხადა გარდაცვლილ მეუღლეს. პიეტროს ამ დროს მხარში ედგნენ სილვია და თინათინ დი ციბა. პიეტროს შვილი სილვია მამის სამშობლოში არყოფნის დროს დაქალიშვილებულიყო. თინათინ დი ციბა მარიუკიას — პიეტროსა და მანის მიერ ნაშვილები ქართველი გოგონას სრული სახელია, ორივე გოგონა 15 წლისა იყო. თინათინი ანუ იგივე მარიუკია მანის გარდაცვალების შემდეგ სახიფათო და მძიმე მოგზაურობის ჟამს პიეტროსათვის ერთადერთი იმედი და ნუგეში ყოფილა. თინათინი პიეტროსთან დარჩენილა იტალიაში.

ბერტა ზუტნერის მოგონებები საპართველოზე*

ვენაში ერთ-ერთ ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლებს შორის ცნობილი ავსტრიელი მოქანდაკის ზიგფრიდ შარუს სკულპტურული ჯგუფია აღმართული.

ამ ჯგუფში გამოხატულია მშვიდობის მოწოდება, მისწრაფება მშვიდობისაკენ. დედას, რომელსაც თავისი ორი ბავშვი შემოხვევია კაბის კალთაზე, ხელები ოდნავ ზეაღმართავს და სასოების თვალთ შესცქერის ზეცას. ეს სკულპტურული ჯგუფი ამ ადგილას შემთხვევით არ არის აღმართული. იგი დგას იმ სკვერის წინ, რომელიც ბერტა ზუტნერის სახელს ატარებს. ეს ქალი, რომელსაც შტეფან ცვაიგმა სპეციალური ესეი მიუძღვნა და თავის მემუარებში „ჩვენი დროის დიდებული სულგრძელი კასანდრა“ და „პაციფიზმის ფუძემდებელი“ უწოდა, ჯერ კიდევ სამოცდაათი წლის წინათ თავდადებით იბრძოდა მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისათვის და ომის წინააღმდეგ. მშვიდობისათვის ბრძოლა ბერტა ზუტნერს იმ დროს უზღებოდა, როდესაც პაციფისტური სულისკვეთება პოპულარობით არ სარგებლობდა. ბერტა ზუტნერი მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის თავისებურ სიმბოლოდ იქცა. სწორედ ამ მშვიდობისათვის მოღვაწეობის გამო

* Berta von Suttner, „Memoiren“, 1909.

1905 წელს მან ნობელის პრემია მიიღო. ცნობილმა გერმანელმა კინორეჟისორმა ჰარალდ ბრაუნმა ფილმიც კი შექმნა ბერტა ზუტნერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ — „მსოფლიო გული“. საყოველთაო აღიარებით, ბერტა ზუტნერი დგას მსოფლიო მშვიდობისათვის მოძრაობის სათავესთან¹.

ბერტა ზუტნერი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მწერალ ქალად. მას დაწერილი აქვს საკმაოდ მრავალი პროზაული ნაწარმოები, რომელთა შორის მსოფლიო დიდება მოიპოვა მისმა სახელგანთქმულმა რომანმა — „ძირს იარაღი!“ ეს რომანი თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები იყო. და, მან, დაახლოებით ისეთივე გამოხმაურება და სენსაცია გამოიწვია, როგორც ერთ დროს ჟან ჟაკ რუსოს „ახალმა ელოზამ“, გოეთეს „ვერთერმა“, ანდა ერიკ მარია რემარკის პირველმა რომანმა „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“. და ეს სახელგანთქმული მწერალი ქალი, ბერტა ზუტნერი ბედმა საქართველოსთან დააკავშირა. იგი ჯერ კიდევ საქართველოში გამომგზავრებამდე მრავალ ქართველს გაეცნო და დაუახლოვდა, განსაკუთრებით კი ჩვენი სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს ეკატერინესა და მის ოჯახს.

ბერტა ფონ ზუტნერს დაწერილი აქვს ძალიან საინტერესო მოგონებები. იგი სხვადასხვა დროს შეხვედრია თავისი ეპოქის ბევრ გამოჩენილ მწერალსა და მოაზროვნეს, მას

¹ 1959 წ. დას. გერმანიაში გამოქვეყნდა იოზეფ შტოლრაიტიერის წიგნი: „ბერტა ფ. ზუტნერი. მშვიდობისათვის მებრძოლი ქალის ცხოვრება“. ამასწინათ ვენაში გამოქვეყნდა ოსკარ იან ტაუშინსკის რომანი — „კაცთ-მოყვარენი ყველაზე ძლიერნი არიან“, — რომელიც ბერტა ზუტნერის ცხოვრებას ეხება.

ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონია XIX საუკუნის მიწურულის თითქმის ყველა სახელმწიფო ადამიანსა და მოღვაწესთან: ლევ ტოლსტოისა და ჰენრიკ იბსენთან, ბიორნსონ ბიორნსონსა და ემილ ზოლასთან, ფრიტიოფ ნანსენსა და ალფრედ ნობელთან, ადელინა პატისა და პოლინა ვიარდოსთან, მაქს ნორდაუსა და ერნესტ რენანთან, ალფონს დოდესა და მარკ ტვენთან, და სხვებთან და სხვებთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერტა ზუტნერის მეგობრობა შვედ ინჟინერთან, შემდეგში სახელგანთქმულ ალფრედ ნობელთან. ბერტას თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ ნაწილობრივ ამ მწერალმა ქალმა შთააგონა დინამიტის გამომგონებელი, იმ ზარალის საზღაურად, რაც მისმა გამომგონებამ კაცობრიობას მიაყენა, დაეწესებინა პრემია მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ბერტა ფონ ზუტნერის „მემუარებში“ დიდი ადგილი უჭირავს ქართველებსა და საქართველოს, და ეს გასაკვირიც არაა, რადგან ბერტა ზუტნერმა თავის მეუღლესთან¹ ერთად ცხრა წელი (1876 — 1885 წწ.) დაჰყო ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ სანამ მისი მოგონებების იმ ნაწილს შევხებოდეთ, რო-

¹ მისი მეუღლე გახლდათ არტურ გუნდაკარ ზუტნერი, რომელმაც 1884 წელს გაზეთ „Kavkaz“-ის რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა წერილები სერია „ვეფხისტყაოსანზე“, რაც იმდროინდელმა ქართულმა გაზეთებმა უმაღლესად შეაფასეს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაშრომთაგანი შოთა რუსთაველზე, დაწერილი უცხოელი ავტორის მიერ (იხ. გაიოზ იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 90 — 91). სამწუხაროდ, „ბარონ ზუტნერი“ დოც. შ. რევიშვილს ფრანგ სწავლულად მიაჩნია (იხ. შ. რევიშვილი, „ფრიდრიხ შილერი და ქართველი საზოგადოებრიობა“, 1959 წ., გვ. 37, აგრეთვე „თბილისი“, 1961, № 11).

მელშიაც საქართველოს ამბებია მოთხრობილი, საკირო იქნება მოკლედ გავითვალისწინოთ ბერტა ზუტნერის ბიოგრაფია.¹

უბირველეს ყოვლისა, ჩვენი ვალია ხაზგასმით აღვნიშნოთ განსვენებული მკვლევარის სოლომონ ცაიშვილის ღვაწლი საქართველოში ზუტნერების მოღვაწეობის შესწავლის საქმეში. მან ძალიან საინტერესო გამოკვლევები გამოაქვეყნა ქართული კულტურის წინაშე მათი დამსახურების შესახებ (იხ. „დროშა“ 1955, № 5 და „მნათობი“ 1957, № 7), მაგრამ მკვლევარმა ვერ მოასწრო ზუტნერების ნაწერების უშუალო გაცნობა. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად შეგვეცნო ის ხარვეზი, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ზუტნერების შემოქმედების შესწავლის სფეროში დარჩა. ამჯერად მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ ბერტა ფონ ზუტნერის „მემუარებს“.

ბერტა ზოფია ფელიციტა კინსკი დაიბადა 1843 წლის 9 ივნისს ქ. პრაჰაში. ბერტას დაბადებისას მამა უკვე ცოცხალი აღარ ჰყოლია. მამამისი გრაფი ფრანც იოზეფ კინსკი იყო ავსტრიელი არისტოკრატი, ვენის მობინადრე; დედა კი იყო გვარად კორნერი. მალე დედამისი ბერტასთან ერთად პრაჰიდან ავსტრიის ქალაქ ბრუნში გადასახლებულა.

ბერტა ბავშვობიდანვე დაეწაფა ლიტერატურასა და ფილოსოფიას. იგი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ქალი იყო. ახალგაზრდობიდანვე კითხულობდა პლატონის,

¹ უნდა აღინიშნოს, რომ აღრიდანვე ჩვენში შეცდომით წერდნენ და ამბობდნენ ზუტნერს, რაც ყოველად გაუპაოოლებელაა. ეს იკავიე, ჩი.მ ზიგფრიდის ნაცვლად სიგფრიდი ანდა ზეგერსის მაგიერ სეგერსი ვთქვათ.

დეკარტის, კანტისა და სხვა ფილოსოფოსთა თხზულებებს. ყმაწვილქალობიდანვე აღმოაჩნდა ბერტას სასიმღერო ხმა. ახლობლები და, მათ შორის დედაც, ბერტას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ საოპერო სარბიელზე. 1866 წელს ბერტა ბადენ-ბადენში ხმის გასასინჯად ეწვია ერთ დროს ცნობილ მომღერალ ქალს, ტურგენევის მეგობარს პოლინა ვიარდოს. მაგრამ პოლინა ვიარდო ბერტას ხმით დიდად არ აღფრთოვანებულა.

შესანიშნავი გარეგნობის მქონე ახალგაზრდა ბერტა მეჯლისეებისა და ბალ-მასკარადების ხშირი სტუმარი იყო. ასევე ხშირად მოგზაურობდა იგი ევროპის ქვეყნებში.

ბერტა კინსკის ჰყავდა საქმრო თავადი ადოლფ ვიტგენ-შტაინი, მომღერალი, რომელიც დებიუტით უნდა გამოსულიყო ნიუ-იორკის საოპერო თეატრში, მაგრამ მოულოდნელად ამერიკისაკენ მიმავალ გემზე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ხელმოკლე ბერტა იძულებულია საარსებო სახსარი ეძიოს. იგი გუვერნანტად დგება ვენაში ბარონ ზუტნერის ოჯახში. აქ დაუახლოვდება და შეიყვარებს ბერტა ბარონ ზუტნერის უმცროს ვაჟს არტურ გუნდაკარ ზუტნერს, რომელზედაც ქალი შვიდი წლით უფროსი იყო. ბერტასა და გუნდაკარის დაქორწინებას წინ აღუდგებიან ვაჟის მშობლები. ბერტა იძულებულია წავიდეს ზუტნერების ოჯახიდან. ის პარიზს მიდის, რათა მდივნად დაუდგეს მაშინ ჯერ კიდევ უცნობ შვედ ინჟინერს — ალფრედ ნობელს (ნობელის განცხადება მან გაზეთში წაიკითხა).

ბერტა გვიხატავს ალფრედ ნობელის ძალიან საინტერესო

პორტრეტს. ალფრედ ნობელი ფართო განათლების ადამიანი ყოფილა. პროფესიით ინჟინერს, შესანიშნავად ცოდნია ფილოსოფია, ხელოვნება, ლიტერატურა — საერთოდ, და განსაკუთრებით კი — პოეზია. პოეტთა შორის ყველაზე მეტად მას, თურმე, ბაირონი ჰყვარებია. ნობელი ჰკუამახვილი ყოფილა და დახვეწილი ირონიისა და ჰუმორის პატრონი. თავს უბედურად გრძნობდა და ადამიანებს გაუბრბოდა. თითქმის ყოველთვის მწუხარე იყო და თანამოსაუბრესთან ბაასისას ყოველთვის ოდნავი დაცინვა იგრძნობოდა. საშუალოზე დაბალი ტანისა იყო, ჰქონდა ხშირი შავი ულვაშები, ცისფერი თვალები, არც უსახური ეთქმოდა და არც სახიერი, აღნიშნავს ბერტა, წარბები ნიადაგ შეკმუხვნილი ჰქონდა, გამოხედვა მკმუხვარე და ქუში. ნობელს სწამდა, კაცობრიობის ნათელი შომავეალი. მას ზარავდა თანამედროვე საზოგადოებაში გამეფებული სიყალბე, თაღლითობა და ფარისევლობა, როგორც თვითონ ამბობდა, იგი თავის ცხოვრებაში შეხვედრია ბევრ მდაბალ, ეგოისტ, არაგულწრფელ ადამიანს. ამიტომ იყო, რომ მას ნდობა დაეკარგა ადამიანებისადმი. ნობელს საკუთარი თავის რწმენაც არ ჰქონია. ადამიანთა მოშიში ყოფილა და თავს მახინჯად, ანტიპათიურად მიიჩნევდა. მას ყოველთვის ეშინოდა, ჩემი დიდი სიმდიდრის გამო ხომ არ მეპირფერებიათ. ამიტომ ცოლი არ შეურთავს. მის ცხოვრებას ავსებდა მეცნიერული კვლევაძიება, ექსპერიმენტები, წიგნები. საინტერესოა, რომ ალფრედ ნობელი მწერალიც და პოეტიც გახლდათ, თუმცა არცერთი თავისი პოეტური ნაწარმოები არ გამოუქვეყნებია. მან ბერტას წააკითხა ინგლისურ ენაზე დაწერილი ვრცელი პოემა. ბერტა აღნიშნავს, პოემა

ძალიან მომეწონაო. ნობელი წარმოშობით შვედი იყო; მისი მეორე მშობლიური ენა რუსული ყოფილა, მაგრამ იგი თავისუფლად წერდა და ლაპარაკობდა გერმანულად, ფრანგულად და ინგლისურად.

ნობელს ერთხელ ბერტასთვის უთქვამს: „მე მინდა შევქმნა ისეთი საშინელი, მასობრივი განადგურების მოქმედების მქონე ნივთიერება ან მანქანა, რომ ამის შედეგად ომები საერთოდ შეუძლებელი გახდესო“.

მართალია, ბერტამ ნობელის მდივნად მხოლოდ ერთი კვირა იმუშავა, მაგრამ მათი ახლო მეგობრობა ნობელის გარდაცვალებამდე გაგრძელდა... ისინი ხშირად ნახულობდნენ ერთმანეთს და ამ ორი გამოჩენილი ადამიანის რეგულარული მიმოწერა ძალიან საინტერესო დოკუმენტია წარსული საუკუნის კულტურის ისტორიისათვის.

ბერტა ფონ ზუტენერი გვიხატავს ცნობილი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის ასეთსავე შესანიშნავ პორტრეტსაც. იგი იხსენებს მარკ ტვენის ცხოვრებიდან ერთ მეტად დამახასიათებელ ეპიზოდს, რომელშიაც სრულად ჩნდება მსოფლიოში სახელგანთქმული ჰუმორისტის თავისებურება.

ვენაში ერთ-ერთ სამშვიდობო კრებას მარკ ტვენიც დასწრება. ავსტრიის მშვიდობის საზოგადოების ინიციატივით მოწყობილ ამ შეკრებაზე მომხსენებელმა ილაპარაკა განიარაღების აუცილებლობის შესახებ. მოხსენების შემდეგ მსმენელებს უცვნიათ მარკ ტვენი და მოუთხოვიათ, რაიმე მანაც გვითხრასო. ამერიკელი მწერალი ტრიბუნაზე ასულა და მისთვის ჩვეული ჰუმანზვილობით ლაკონურად განუცხადებია:

მე ვატარებ მხოლოდ ერთ იარაღს, ჯაყვას, მაგრამ მზადა ვარ ახლავე განვიარაღდეო.

ნობელთან ერთი კვირის სამსახურის შემდეგ შეყვარებულიებმა ვედარ აიტანეს დაშორება და ერთმანეთს კვლავ ვენაში შეხვდნენ. ბერტამ და გუნდაკარმა გადაწყვიტეს მალულად ჯვარის დაწერა და ასევე მალულადვე გაპარვა საქართველოში, სადაც ბერტას თავისი გულითადი უფროსი მეგობარი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა ეგულებოდა და რომელმაც არაერთხელ დაპატიჟა იგი საქართველოში.

ბერტას პირველი შეხვედრა ქართველებთან

1864 წლის ზაფხული 21 წლის ბერტამ დედასთან ერთად გაატარა გერმანულ აგარაკზე, ჰომბურგში¹.

ბერტა მოგვითხრობს: ერთხელ ნაშუადღევს პარიზელ ბანკირს მოხუც კონიგსვარტერს უთქვამს ბერტას დედისა-

¹ ჰომბურგი ფონ დერ ჰოე მდებარეობს მაინის ფრანკფურტის ჩრდილოეთით, იგი სააგარაკო ქალაქია, განთქმული თავისი მინერალური წყლით.

არის აგრეთვე ქ. ჰომბურგი საარის მხარეში, ქ. ზაარბრიუკენის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

„დიმიტრი ყიფიანის არქივში“ (თბილისი, 1951 წ. ნაკვეთი პირველი) ჰომბურგის ნაცვლად ყველგან შეცდომით ჰამბურგი წერია, საიდანაც თითქოს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა წერილებს უგზავნიდა დ. ყიფიანს. სინამდვილეში კი ეკატერინე თავისი შვილებითურთ ამ წლებში ზაფხულს ატარებდა აგარაკ ჰომბურგში.

თვის: „სამეგრელოს მთავრის ცოლს სურვილი აქვს თქვენი გაცნობისაო“. ბერტამ და დედამისმა იცოდნენ, თუ ვინ იყო სამეგრელოს მთავრის ცოლი, რომელსაც ისინი ყოველდღე ხედავდნენ პარკსა და თეატრში. ბატონი კონიგსვარტერი ბევრს მოგვითხრობდა მისი ცხოვრების შესახებო. ბერტას აღწერით, ეკატერინე დადიანი იმ დროისათვის 46—47 წლისა იქნებოდა, ელეგანტური და მოხდენილი. ახალგაზრდობაში, როგორც ჩანს, განსაცვიფრებელი სილამაზისა უნდა ყოფილიყო, — დასძენს ბერტა. ავსტრიელი მწერალი ქალის სიტყვით, სამეგრელოს დედოფალი ნამდვილი ქართველი ქალის ტიპი იყო. თავისი ბავშვების აღზრდის მიზნით რამდენიმე წელია ევროპაში ცხოვრობდა, მონაცვლეობით — პეტერბურგსა და პარიზში, ზაფხულობით კი რეგულარულად ჩამოდიოდა ჰომბურგის წყლის სასმელად. ყოველ დილით 7 საათზე მიდიოდა იგი წყაროზე, შემდეგ სამორინეში შეივლიდა, თუმცა თვითონ არასოდეს არ თამაშობდა. ნაშუადღევის კონცერტზე ყოველთვის ერთ ადგილას, კურპაუზის ტერასაზე იჯდა და ყოველთვის გარს ეხვია მცირე ამაღლა. მისი ოჯახი შედგებოდა ორი ვაჟისა და ერთი ასულისაგან. უფროსი ვაჟი, ნიკო, მაშინ 17 წლისა, ქალიშვილი სალომე 16-ის, ხოლო უმცროსი ანდრე 14 წლისა იყო. ეკატერინე თავისი შვილებითურთ ბინადრობდა ვეკერლინის სახლის პირველ სართულზე. ამ ოჯახის მოსამსახურე პერსონალში შედიოდნენ: ერთი მდივანი, გუვერნანტი ქალი სალომესათვის, ჰოფმაისტერი ვაჟებისათვის, ერთი კამერდინერი და ორი მოახლე ქალი.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე უფროსი ვაჟის

მეურვე გამხდარიყო და დროებით ქვეყნის მართვა-გამგეობა ეკისრა. თურქებისგან შევიწროებული ერთხელ თვით დედოფალი წარუძღვა მხედრებს მტრის წინააღმდეგო. მაგრამ დამოუკიდებლად არსებობა ეკატერინეს დიდხანს არ შეეძლო და მას რუსეთის პროტექტორატი უნდა მიეღო, პროტექტორატი, რომელიც ფაქტიურად ანექსიას უდრიდა. სამეგრელოს მთავრის ვაჟი ინარჩუნებდა მთავრის ტიტულს, მაგრამ მაიორატის უფლებებით, ტახტზე მას უარი უნდა ეთქვა. ეკატერინე ასე თუ ისე კმაყოფილი იყო, რადგან საუკუნეების განმავლობაში ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და საქართველოს სხვა სამთავროები შევიწროებული იყო მაჰმადიანი მტრების მიერ და რუსეთის მფარველობის ქვეშ ამ სამთავროებს შეეძლოთ მშვიდობიანი განვითარება და თავიანთი ზნე-ჩვეულებების, ენის, ადათ-წესებისა და სამოსელისადმი ერთგულების შენარჩუნებაო.

ეკატერინე დადიანის მახლობლობაში ყოველთვის ვხედავდით რამდენიმე ქართველ მანდილოსანს, რომელნიც თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდნენ. თვით დედოფალი კი სამოსელს ცნობილ ვორტს უკვეთავდა და ნამდვილი ევროპელი ბანოვანის ელეგანტურობითა და მოხდენილობით ატარებდა ამ ტანისამოსს. ეკატერინე თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად, თავის ბავშვებთან იგი მეტწილად ქართულად საუბრობდაო.

ჩვენ გავიცანით ერთმანეთი. მე, აღტაცებული ვიყავი სამეგრელოს დედოფლის პიროვნებით, მანაც სულ მალე შემიყვარა და შემითვისა. მე ვიქეცი მათი ოჯახის წევრად. თავდაპირველად მხოლოდ კონცერტის დროს ვიჯექი მათ

წრეში; შემდეგ კი დედოფალმა მთხოვა დილაობით ვხლებო-
დი წყაროზე წასვლისას, ხშირად მივსულიყავი მათთან ბინაზე,
ერთად გვესადილნა. დედაჩემს თავი ცოტა შორს ეჭირა,
რამდენჯერმე ოფიციალურად ეწვია ეკატერინეს, ისიც რამ-
დენჯერმე მიიღო თავის ბინაზე და ამით ამოიწურა მათი
დაახლოება. სულ მოკლე ხანში მე უკვე ინტიმური მეგობარი
ვიყავი დედოფლისა, რომელსაც ძალიან უყვარდა ახალგაზ-
რდობა. დედოფლის ქალიშვილი სალომე ჯერჯერობით შორს
იჭერდა ჩემგან თავს, რადგან იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო
16 წლისა, და ჩვენ საერთოს ვერ ეპოულობდით. სალომე არ
შორდებოდა თავის გუვერნანტს.

თანამემამულენი ეკატერინეს „დედოფალს“ ეძახდნენ.
ბერტა აქვე განმარტავს, თუ რას ნიშნავს დედოფალი და
თვითონაც ამიერიდან ეკატერინეს ყველგან მოიხსენიებს
როგორც „Dedopali“. დედოფლის ოჯახში კი ბერტა ზუტ-
ნერს ყველა კონტესინას ეძახდა. პირველად ასე უწოდა და-
დიანის ოჯახის მეგობარმა, იტალიელმა მარკიზმა ალმორინიმ
და ეს სახელწოდება შერჩა ბოლომდე. ძალიან სასაცილო
იყო მარკიზი ალმორინი: მოხუცი კავალერი ყოველთვის კომ-
პლიმენტებს აპნევდა აქეთ-იქით და საოცარ თავაზიანობას
იჩენდა მანდილოსნების მიმართ. ალმორინი გაუჩვეველი
ასაკისა იყო, თავზე ნახშირივით შავი პარიკი ედო და წვერ-
საც იღებავდა. მან წარსული დროების უამრავი ამბისა და
ქრონიკის საინტერესოდ თხრობა იცოდა და ხუმრობით იმასაც
კი ამბობდნენ, ალმორინი კალიოსტროსავით უკვე რამდენიმე
საუკუნეა ცხოვრობს ქვეყანაზეო. დედოფლის მდივანი,
ფრანგი მუსიო ფერი ერთდროულად უამრავ მოვალეობას

ასრულებდა. მუსიო ფერი ერთგულების განსახიერება იყო, დაახლოებით 40 წლისა იქნებოდა და წითურ ულვაშსა და ქილვაშს ატარებდა. კამერდინერი, შვეიცარიელი მუსიო დავიდი, მსუქანი, უწვერული იყო; უკვე ოცი წელია ამათ ოჯახში ტრიალებდა და ჯერ კიდევ სამეგრელოში განსვენებული მთავრის სახლში მსახურობდა. იგი განსაკუთრებით უყვარდათ ბავშვებს.

ბერტა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როდესაც იგი ქართველებთან სტუმრად მიდიოდა, ყოველთვის მხიარულება და კმაყოფილება ეუფლებოდა მის სულს. აქ ორიენტალური, ეგზოტიკური ერწყმოდა ევროპულს, პარიზულს, რაც სპეციფიკურ მომხიბვლელობას ქმნიდა. ბინა ვეკერლინის სახლში, სადაც ეკატერინე თავისი ოჯახით ცხოვრობდა, შედგებოდა რამდენიმე ოთახისაგან: დიდი, ნათელი სამთანჯარიანი სასადილო ოთახის მარჯვნივ იყო კუთხის სალონი, რომელშიაც დედოფალი იმყოფებოდა ხოლმე, სალონის უკან კი იყო დედოფლის საძინებელი ოთახი. სასადილო დარბაზის მარცხნივ ბავშვების ოთახები იყო განლაგებული. სასადილო დარბაზის წინ დიდი აივანი იყო. ბერტა შენიშნავს, მართალია, ეს იყო ჩვეულებრივი, მეფურ სიმდიდრესა და ბრწყინვალეობას მოკლებული ბინა, მაგრამ იგი თავისი ორიგინალური ნივთებით, ყვავილებით, თავისებური ავეჯით საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდაო. უაღრესად სპეციფიკური იყო ამ ბინაში გამეფებული სურნელი. ეს იყო ფორთოხლის ყვავილის, რუსული პაპიროსისა და ტყავის ორიგინალური სუნის ნაზავი. ბერტა დასძენს, დედოფალი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში მინახავს და ყოველთვის და ყველგან, პარიზსა თუ

ზუგდიდში, მის ბინაში მუდამ ასეთი სპეციფიკური სურნე-
ლი იდგაო. მრავალი საათი გამიტარებია დედოფლის სალონ-
ში, სადაც იგი თავისი ცხოვრებიდან ბევრ რომანტიკულ
ამბავს მომითხრობდა. კიდევ რამდენიმე წელი დავრჩები ევ-
როპაში და შემდეგ შეილებითურთ სამშობლოს მივაშურებო.
სალომე ამასობაში, ალბათ, გათხოვდება კიდევ და თქვენც,
კონტესინა, თქვენს მეუღლესთან ერთად კავკასიაში შეწვევით,
არა? დედოფალმა ღვთაებრივი სილამაზის ბერტას მალე
გათხოვება ურჩია და თან საქორწინო საჩუქარს შეჰპირდა. ეს
იყო ბრილიანტის სამკაული.

ერთხელ დედოფალი გამოუტყდა ბერტას: ამას წინათ
კინალამ ხელმეორედ გავთხოვდიო. წარსულ ზაფხულში ბია-
რიცში¹ ესპანეთის უდიდეს და უმდიდრეს არისტოკრატს,
ჰერცოგ ოსუნას მისი ხელი უთხოვია. მაგრამ დედოფალს
საბოლოოდ უარუყვია ესპანეთის უდიდესი არისტოკრატის
წინადადება: ის ხომ თავისი ბავშვების მომავლისათვის ცხოვ-
რობდა აქ უმთავრესად და, გარდა ამისა, ეკატერინეს საოც-
რად ენატრებოდა თავისი სამშობლო.

ერთ დღეს, განაგრძობს ბერტა, კონცერტის დროს დედო-
ფალი თავისი ოჯახის წევრებითურთ, ბერტასთან ერთად,
ტერასაზე იჯდა ჩვეულ ადგილას. უცებ ჩოჩქოლი შეიქნა და
ყოველი მხრიდან გაისმა: „იმპერატორი! იმპერატორი!“ და,
მართლაც, ქვემოთ, პარკში დაინახეს მაღალი, წარმოსადეგი

¹ ბიარიცი ფრანგული საზამთრო კურორტია, რომელიც მდებარეობს
ბისკაის ყურეს მახლობლად, ესპანეთის საზღვართან.

გარეგნობის რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II, რომელიც ადიუტანტის თანხლებით სასეირნოდ გამოსულიყო. როცა მან დედოფალი შენიშნა, სწრაფი ნაბიჯებით გამოეშურა ტერასისაკენ. დედოფალი წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იმპერატორის შესაგებებლად. იმპერატორი ხელზე ეამბორა სამეგრელოს დედოფალს და ფრანგულად მიმართა: „ხომ არ ინებებთ ჩემთან ერთად გასეირნებას“. ისინი სამორინეში შესულან, ალექსანდრეს დედოფლისაგან უსესხნია ცოთაოდენი ფული და რულეტის მაგიდასთან სათამაშოდ მისულა. ბერტა შენიშნავს: იმპერატორს, როგორც ჩანს, ფული ან შემთხვევით არ ჰქონდა თან, ანდა ფიქრობდა, ნასესხებ ფულს ბედნიერება მოაქვსო.

ბერტა საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს: მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალი ადელინა პატი სწვევია სამეგრელოს დედოფალს. ადელინას ახლდა მეგობარი ქალი და მათ საკმაო ხანი დაუყვიათ ეკატერინეს სალონში. აქვე ყოფილა ბერტაც. საუბარი შეეხებოდა უმთავრესად მუსიკას და როდესაც ადელინა პატის ჰკითხა დედოფალმა, რომელია თქვენი ყველაზე საყვარელი როლიო, მომღერალმა ქალმა უყოყმანოდ უპასუხა გუნოს „ფაუსტში“ მარგარიტას როლიო.

ერთ დღეს დედოფლის წრეში ბერტამ უცნობი მამაკაცი იხილა. ის იქნებოდა დაახლოებით 40 წელს მიღწეული, საშუალო ტანის, მოხდენილი აღნაგობის მამაკაცი, რომელსაც სახის სწორი ნაკვთები და სევდიანი, თითქმის მკმუნვარე გამოხედვა ჰქონდა. ეკატერინე დედოფალმა ბერტას წარუდგინა უცნობი მამაკაცი: ჩემი საყვარელი ბიძაშვილი, საქარ-

თველოს პრინცი ერეკლე ბაგრატიონი, რომლის შესახებაც შენთვის ძალიან ბევრი რამ მიაგზნიაო!¹

ბერტას ქართველი პრინცი მაშინვე მოსწონებია; და მათ შორის მალე დამყარებულა მეგობრული ურთიერთობა. სალამოობით ეკატერინეს ბინაზე საზოგადოება მუსიკით ირთობდა თავს. ნიკო პიანინოს უკრავდა და მღეროდა ათასნაირ კუპლეტსა და რომანსს. სხვები ბანს აძლევდნენ. ბერტა უკრავდა შოპენის ნოქტურნებს, მენდელსონის კაპრიჩოებს, ლისტის რაფსოდირებს და მღეროდა სხვადასხვა რომანსს.

დედოფალი ხშირად ესაუბრებოდა ბერტას ერეკლე ბაგრატიონზე, საქართველოს უკანასკნელი მეფის შთამომავალზე. რომელიც ბერტას განსაკუთრებით გმირულად ესახებოდა. თბილისში მას ჰქონია სასახლე, მთებში კი — ძველი სამეფო კოშკი. ერეკლე ხშირად იყო ევროპაში. საქართველოში მას ხალხი ჯერ კიდევ მეფედ მიიჩნევდა. იგი იყო მეღანქოლიური ტიპი, ალბათ, არც თუ მთლად ბრწყინვალე ჯანმრთელობის გამო: მას ღვიძლი სტკიოდა. ამიტომ იგი სვამდა ჰომბურგის, კარლსბადისა და ვიშის წყლებს. ეკატერინე, თურმე, ბერტას ეუბნებოდა: უკეთესი იქნებოდა ერეკლეს თავისი სწეულე-ბისათვის ემკურნალა ახალგაზრდა ქალით, რომელსაც ითხოვდა და რომელიც პრინცს გაამხიარულებდა და გააბედნიერებდაო. ეს კი უნდა იყოს ისეთი ახალგაზრდა სანდომიანი ქალი, როგორც თქვენა ხართ. შეეცადეთ, ჩემო პატარა კონტესინა, თავბრუ დაახვიოთ მას. ჩემი დიდხნის სურვილია ერეკლეს დაქორწინება. ბერტაზე დედოფლის ამ სიტყვებმა ზეგავლენა

¹ ეს იყო ერეკლე II შვილიშვილი.

იქონია. მას ძალიან მოსწონდა ეს ეგზოტიკური უფლისწული, შავგვრემანი ბაგრატიონი, რომელიც ამავე დროს ევროპული ყაიდის „სალონის ლომიც“ იყო; ბერტა გვიყვება ერთ ამბავს, რომელიც მას მრავალი წლის შემდეგ თავისი რომანის „Trente-et-quarante“-ს¹ ეპიზოდად გამოუყენებია.

ერთხელ ბერტა სადილად ვეკერლინის ვილაში ყოფილა მიწვეული. სადილობისას მისი მაგიდის მეზობლები ყოფილან ინგლისელი ლორდი ჰილსბორო და ერეკლე. სადილის შემდეგ საზოგადოება სალონში გასულა. ეკატერინეს ბერტასათვის უთხოვია, პიანინოზე რაიმე დაეკრა. ბერტას შოპენის ვალსი შეუსრულებია. იქვე მდგარა ერეკლე. თქვენ ნამდვილი ხელოვანი ყოფილხართო, — უთქვამს მას ბერტასათვის, როდესაც ამ უკანასკნელს დაკვრა დაუმთავრებია. ყველანი შეთანხმებულან, რომ სადამოთი ერთად წასულიყვნენ ოპერაში. როდესაც ლოქაში შესულან, წარმოდგენა უკვე დაწყებული ყოფილა. გადიოდა „რიგოლუტო“. ერეკლე მთელი სპექტაკლის განმავლობაში დაჟინებით უყურებდა ბერტას. ახალგაზრდა ქალში თანდათანობით იღვიძებდა სიყვარულის ძლიერი გრძნობა. ერეკლე და ბერტა ოპერის შემდეგ ერთად უყურებდნენ დიდ დარბაზში გამართულ მეჯლისს, და ამ დროს ერეკლე ქალს ეჩურჩულებოდა: თქვენ შესანიშნავი ქალიშვილი ხართ, თქვენ გაქვთ ყველა ის თვისება, რომლითაც შეგიძლიათ თავგზა აუბნოთ საკმაოდ დინჯ, მძიმე, შუახნის მამაკაცებსაც. მე არ ვიცოდი, რომ ამ ქვეყნად არის

¹ „Trente-et-quarante“ ფრანგულია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ოცდათი და ორმოცი“; გადატანითი მნიშვნელობით ბანქოს თამაშში ილბლიან ხელს აღნიშავს.

კიდევ ისეთი არსება, რომელსაც ისეთი მომხიბვლელობა ექნებოდა, როგორც თქვენ, და საბრალო ბერტას მეტიც არ უნდოდა: მას იმ ღამეს არ სძინებია, ამის შემდეგ სამი დღე გავიდა და ბერტას ერეკლე არ უნახავს. უფლისწული პარიზში წასულიყო. მის ჩამოსვლამდე, წერს ბერტა, დროს კავკასიის შესახებ წიგნების კითხვაში ვატარებდიო. ვეძებდი ლექსიკონებში ცნობებს საქართველოზე და გულდასმით ვკითხულობდი დიუმას წიგნს კავკასიაზე. მეორე დღეს ბერტას პარიზიდან მიუღია პაკეტი და წერილი. პაკეტში ეწყო ბუასიეს ძვირფასი კონფეტები და ბარათში რამდენიმე თავაზიანი ფრაზა ეწერა. მესამე დღეს, როდესაც ერეკლე ბაგრატიონი დაპირებისამებრ უნდა ჩამოსულიყო ჰომბურგში, ბერტა გაეშურა ვეკერლინის ვილაში. შეყვარებულ ქალს სამწუხარო ამბავი დახვდა, ერეკლე ჰომბურგში აღარ ბრუნდებოდა, იგი წინა დღით პარიზიდან ხანგრძლივი დროით პირდაპირ თბილისში გამგზავრებულიყო. ბერტას ტირილი აუვარდა. დედოფალს გაუკვირდა და ბერტას ქვითინით წარმოთქმულ სიტყვებზე: „ო, რა სისასტიკეა!“, მიხვდა, საბრალო ბერტას ქართველი უფლისწული შეყვარებოდა. ეკატერინეს ასე უნუგეშებია მტირალი ქალი: არცერთი მამაკაცი არ იმსახურებს იმას, რომ ქალიშვილმა მისი გულისათვის იტიროს, თუმცა შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს; იქნებ, ერეკლე კვლავ დაბრუნდესო. ბერტა აღნიშნავს, დიდხანს ამ იმედით ვსულდგმულობდიო. მეგონა, ერეკლე წერილს მაინც მომწერდა საქართველოდანო, მაგრამ საქართველოს უფლისწულს აღარასოდეს მოუკითხავს სანდომიანი და მომხიბლავი პატარა კონტესინა...

1866 წლის ზაფხული ბერტამ და დედამისმა კვლავ ჰომბურგში გაატარეს. ეკატერინე დედოფალიც თავისი ოჯახითურთ ისევ აქ იყო. ბერტა კვლავინდებურად მათ წრეში ტრიალებდა. სალომე, უკვე 18 წლისა, ბავშვობის ააჰს გასცილებოდა, და ბერტასა და ახალგაზრდა ქალიშვილს შორის მკიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ისინი ერთად სწავლობდნენ ცხენოსნობას. ყოველ დილით პარკის ხეივანში ახალგაზრდა მეგობრები ცხენებით დაჯირითობდნენ. სალომეკ მომავალ ზამთარში პეტერბურგის სამეფო კარზე უნდა წარედგინათ და პირველად შეეყვანათ მაღალ საზოგადოებაში. ბერტა თავის ქართველ მეგობარს გამოუტყდა, რომ მას ამ ორი წლის წინ თავდავიწყებით უყვარდა ბიძამისი — ერეკლე ბაგრატიონი. სალომე სიცილით მოკვდა: როგორ შეგიყვარდა ჩაყვითლებული მოხუცი კაცი! არა, არა, კონტესინა, თქვენ სულ სხვა მამაკაცს შეხედებითო.

დედოფლის ვაჟები დავაჟკაცებულიყვნენ და დამშვენებულიყვნენ.

უფროსმა ვაჟმა ნიკომ თავისიანებსა და ბერტასაც შიში აჰმა. ნიკო მეტისმეტად ვნებიანად გაარშიყებოდა ერთ პარიზელ მანდილოსანს და ამის გამო ქალის თაყვანისმცემელი საშინლად განრისხებულიყო. მეტოქენი წალაპარაკებულან და ნიკოს მოწინააღმდეგეს ქართველი უფლისწული დუელში გამოუწვევია. ეკატერინე აცახცახებული და ატირებული მოუთხრობდა ამ ამბავს ბერტას. ბერტაც თავის უფროს მეგობართან ერთად ატირებულა. გამოსავალი არ ჩანდა. ვერცერთი თავმომწონე არისტოკრატი ვერ აარიდებდა თავს დუელს. მაშინ დუელის საწინააღმდეგო ლიგა ჯერ კიდევ არ

იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ორთაბრძოლა, საბედნიეროდ, არ შემდგარა: ბერტას ზუსტად აღარ აგონდება, იმის გამო ჩაიშალა დუელი, რომ მოწინააღმდეგე მოულოდნელად ჰომბურგიდან გაემგზავრა, თუ სეკუნდანტებმა მოახერხეს „მტრების“ შერიგება.

1867 წელს ბერტა დედასთან ერთად კვლავ პარიზშია. ამ დროს პარიზში იმყოფებოდნენ, აგრეთვე, დადიანებიც. რასაკვირველად, ბერტა მათი ხშირი სტუმარი იყო. დადიანებს იგი ყველა დღესასწაულსა და დარბაზობაზე ახლდა. ეკატერინე ოჯახითა და მსახურებით ლუვერის სასახლეში ცხოვრობდა. მათთან მყოფ ბერტას ხშირად ახსენდებოდა ერეკლე ბაგრატიონი, და წარსული წუთების გახსენება ყრუ სიმძიმის გვრიდა. ერთხელ ბერტამ ერეკლეს ამბავი ჰკითხა ეკატერინეს. დედოფალს გაუკვირდა, ნუთუ ჯერაც არ დაგვიწყებიაო, მოკლე ხანში პარიზში უნდა ჩამოვიდეს და, თუ მასთან შეერთება არ გიწერია, მაშინ სხვა საქმროს აღმოგიჩენთ აქ, პარიზშიო, — დააიმედა დედოფალმა უმცროსი მეგობარი. შემდეგ დასძინა: მალე ჩემს სალომეს დავაქორწინებო. უკვე საქმრო გამოძებნილი მყავს, სამეფო გვარის შთამომავალიო. ეკატერინე და მისი ქალიშვილი საფრანგეთის დედოფლის ევგენიას მიერ გამართულ არცერთ „Petits lundis“ არ აკლდებოდნენ. და სწორედ საფრანგეთის დედოფალს მოსვლია აზრად აშილ მიურატზე სალომეს დაქორწინება. იმ ხანებში, თურმე, ოპერაში ძალიან ხშირად დაინახავდით საფრანგეთის იმპერატორის ლოჟაში მსხდომ ეკატერინესა და სალომეს. და ზოგჯერ მათ გვერდს უმშვენებდა ბერტა კინსკიც.

ქართველი პრინცი — ერეკლე ბაგრატიონი პარიზს არ ჩამოსულა. ბერტა წერს, ის რომ ჩამოსულიყო, ჩემს გულში კვლავ სიყვარულის მძლავრი ალი აინთებოდაო.

შემდეგი ზაფხული დადიანების ოჯახმა კვლავ ჰომბურგში გაატარა.

1868 წელს ეკატერინე და მისი ოჯახი, აგრეთვე ბერტაც, პარიზში არიან. ზამთრის მიწურულში ერთ ღღეს ბერტამ სალომესგან დეპეშა მიიღო: „გაიზიარეთ ჩემი ბედნიერება: ეს-ეს არის დავინიშნე პრინცი აშილ მიურატზე“. იმავე ღღეს ბერტამ საფოსტო ბარათიც მიიღო. ეს ბარათი მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში შენახული ჰქონდა. თავის „მემუარებში“ ბერტა სრულად გადმოსცემს სალომეს მიერ ფრანგულად დაწერილ ბარათის ტექსტს, რომელშიაც სალომე თხოვს ბერტას, მოვიდეს მასთან და საქორწინო სამზადისში მიიღოს მონაწილეობა. ბერტა დაუყოვნებლივ გაემგზავრა დადიანებთან. აქ დაწვრილებით შეიტყო სალომესა და აშილის ნიშნობის ამბავი, ჯერ კიდევ წინა ზამთარში საფრანგეთის დედოფალ ევგენიას მიერ შემუშავებული გეგმა ამ უკანასკნელ კვირაში განხორციელებულიყო. საფრანგეთის იმპერატორს უკისრია თავისი ახლო ნათესავისთვის ყოველწლიურად 50000 ფრანკის მიცემა, ამდენივე შემოსავალი ჰქონდა მის საცოლესაც. იმპერატორს უკისრია აგრეთვე აშილის ვალების გადახდა. ვალები კი აშილს ბლომად ჰქონდა, რადგან ის შეჩვეული იყო ხელგაშლილ ცხოვრებას და ხელმომჭირნეობა არ უყვარდა. იმჟამად პარიზში სახელგანთქმულ ლამაზმანს, „მშვენიერ ელენედ“ წოდებულ ჰორტენზია შნაიდერს თავის სამკაულთა შორის აშილ მიურატის მიერ ნაჩუ-

ქარი ძვირფასი ბრილიანტებიც ჰქონდა. აშილი პარიზში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არისტოკრატთაგანი იყო, ლამაზი, დარდიმანი, მომლხენი და ქალების მოყვარული. ის იყო ვაჟი პრინც ლუსიენისა და ამერიკელი ქალისა.

სალომე პეტერბურგელ და პარიზელ ნაცნობ-მეგობრებს თავისი გაბედნიერების მაუწყებელ ბარათებს უგზავნიდა. მისამართების წერაში ბერტაც ეხმარებოდა. სალომე ღებულობდა უამრავ საქორწინო საჩუქარს. აშილმა საცოლეს მარგალიტების ყელსაბამი მიუძღვნა, ხოლო დედამისმა ბრილიანტის ძვირფასი სამკაული აჩუქა.

ყოველ დილით აშილ მიუხრატია თავის საცოლეს ყვავილების დიდ თაიგულს უგზავნიდა.

1868 წლის მაისის პირველ რიცხვებში აშილი და სალომე დაქორწინდნენ. საინტერესო ისაა, რომ ეს ქორწინება სამი ჯვრისწერისაგან შედგებოდა. პირველად ახალგაზრდები სამოქალაქო წესით შეუღლდნენ პარიზის მერიაში, შემდეგ მათ ჯვარი დაიწერეს საფრანგეთის იმპერატორისა და დედოფლის თანდასწრებით ტუილრიში, კათოლიკური რიტუალის მიხედვით, და იმავე საღამოს დაქორწინდნენ ბერძნულ ეკლესიაში მართლმადიდებლური რიტუალით. ამ უკანასკნელი ცერემონიის დროს ბერტა სალომეს მეჯვარე იყო. მას ჯვრისწერის დროს საცოლის თავზე გვირგვინი ეჭირა. სალომეს შემოხვეული ჰქონდა თავსაბურველი, რომელიც მისთვის სპეციალურად ბრიუსელში მოექსოვათ. ამ თავსაბურველზე გამოხატული იყო დადიანების საგვარეულო გერბი — ოქროს საწმისი. თავზე ედგა ბრილიანტის დიადემა, რომელიც მისთვის საფრანგეთის დედოფალს — ევგენიას ეჩუქებინა.

ბრილიანტებისა და მარგალიტების ამ „კოლექციაში“ ბერტას ყურადღება მიიქცია სმარაგდის ისტორიულმა სამკაულმა, რომელიც აშილის დას, პარიზში სილამაზით განთქმულ ანა მიურატს, ჰერცოგის ქალ მუში-ნოაის ეკეთა.

ჯვრისწერის შემდეგ დადიანების სახლში პატარა ბალი გაიმართა. ბერტა იგონებს, რომ ცეკვის დროს მისი პირველი პარტნიორი იყო ერთ-ერთი პრინცი ბურბონი.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დაბინავდა სპეციალურად მათთვის განკუთვნილ პატარა სასახლეში. ბერტას აქ მრავალი საათი გაუტარებია. ის თითქმის მუდამ თან ახლდა სალომესა და აშილს თეატრში. ცოლ-ქმარი რამდენიმე კვირით ჰერცოგ მუში-ნოაის კოშკში გაემგზავრა.

იმავე 1868 წლის ზამთარში ბერტამ მიიღო დავით ჭავჭავაძის მეუღლის, ანეტა ჭავჭავაძის ბარათი, რომლითაც ანეტა თხოვდა მოენახულებინა პარიზის გრანდ-ოტელში, სადაც ბინადრობდა თავისი ორი ასულით — ლიზათი და თამარით. ბერტა ანეტას ჰომბურგიდან იცნობდა.

ბერტა აღნიშნავს: ანეტას ცხოვრებიდან ჩემთვის ხშირად უამბნიათ ერთი შემზარავი ეპიზოდი — ერთხელ იგი გაუტაცნია ჩერქეზების ცნობილ ბელადს შამილს. ეს მოხდა 50-იანი წლების დამდეგს, კახეთში. ახალგაზრდა ქალი თავისი ორი შვილითა და გუვერნანტი ქალით სასახლის ვერანდაზე იჯდა. უცებ მხედართა რაზმი მიიჭრა სასახლესთან. ქალები შებოქეს და ცხენებზე შედეს. ანეტას ორივე ბავშვი ხელში დააჭერინეს და მომხდურები იქაურობას გაეცალნენ. ანეტას ერთი ბავშვი ხელიდან გაუვარდა და ცხენებმა ფლოქვებით გაჭყლიტეს. ქალები შამილის სახლში მოათავსეს. ანეტა თავი-

სიანებმა გამოისყიდეს. მაგრამ საბრალო ქალს ვერასოდეს დაევიწყებინა ის საზარელი წუთი, როცა საკუთარი ბავშვი ხელიდან გაუვარდა¹.

ბერტას გრანდ-ოტელში ანეტა ჰავკავაძესა და მის ასულებთან ერთად დახვდა ძველი ნაცნობი — ერეკლე ბაგრატიონი. იგი ანეტამ ბერტას წარუდგინა, როგორც თავისი ჩვიდმეტი წლის ქალიშვილის თამარის დანიშნული...

ამილ მიურატი ფრანგთა არმიის ოფიცერი იყო. ამიტომ მან ბრძანება მიიღო გამგზავრებულიყო ალჟირში და იქ გარნიზონში ემსახურნა. სალომე ქმარს თან გაჰყვა. ერთხელ ბერტამ სალომესაგან მიიღო ცნობა, რომ ალჟირში შეეძინა ვაჟიშვილი ლუსიენი.

ბერტა თავის ქართველ მეგობრებთან არ სწყვეტდა წერილობით ურთიერთობას. საქართველოში დაბრუნებულმა ეკატერინემ მიიპატიჟა ბერტა. დედოფალი თავის რეზიდენციაში, ზუგდიდში, აგებდა ახალ სასახლეს. ძველი თურქებს გაენადგურებიათ. ახალი სასახლის გეგმა ბერტას ადრევე ენახა. განზრახული იყო სასახლის დარბაზების სხვადასხვა სტილით მოწყობა. ერთი იქნებოდა სპარსული დარბაზი; მეორე კი — ლუი XIV სტილით მორთული. ეკატერინე ევროპაშივე იძენდა ავეჯსა და ხელოვნების ნიმუშებს და ზუგდიდში აგზავნიდა. ბერტას დავალებული ჰქონდა მუსიკალური

¹ იგივე ამბავი მოთხრობილი აქვს ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას თავის წიგნში კავკასიაზე. ალ. დიუმას 1858 წ. ეს ამბავი უშუალოდ ანა ჰავკავაძისგან მოუხმენია. ეს შემთხვევა თავისი რომანის „შამილის“ ეპიზოდად გამოყენებული აქვს ა. გ. ზუტერის.

ყუთის ყიდვა, რომელიც დაუკრავდა საორკესტრო ნაწარმოებებს...

ალეირიდან დაბრუნებული სალომე პარიზის გარეუბანში ცხოვრობდა. აქ შეეძინა მას მეორე ვაჟი. მისი ნათლია საფრანგეთის დედოფალი ევგენია იყო და ვაჟს ნაპოლეონი დაარქვეს. ნიკო დადიანი რუსეთის იმპერატორის ადიუტანტი იყო და იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა.

1874 წლის გაზაფხულზე ეკატერინე დადიანმა ბერტას შეატყობინა, ნიკომ შეიყვარა რუსეთის მეფის სიყრმის მეგობრის გრაფ ადლერბერგის ქალიშვილი; ხოლო შემდეგ წერილში დედოფალი უკვე იტყობინებოდა მათი დაქორწინების ამბავსაც. მესამე წერილში კი დაწვრილებით იყო აღწერილი ახლადშეუღლებული ცოლ-ქმრის ჩასვლა გორდში, სამეგრელოს მთავართა საზაფხულო რეზიდენციაში. ბერტას თავის „მემუარებში“ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ნიკო დადიანისა და მერი ადლერბერგის საქართველოში ჩასვლა. ცოლ-ქმარი ოდესიდან სპეციალურად მათთვის განკუთვნილი გემით ფოთში ჩასულა, ხოლო ფოთიდან ასევე სპეციალური მატარებლით ქუთაისს გამგზავრებულა. მატარებელს გზაზე მოსახლეობა ხვდებოდა და ნეფე-დედოფალს ოვაციას უმართავდა. ყოველ სადგურზე ნიკოსა და მერის ხვდებოდა ადგილობრივ წარჩინებულთაგან შემდგარი სპეციალური დეპუტაცია. მათ პატივსაცემად მღეროდნენ, ყიჟინებდნენ და თოფს ცლიდნენ. ცოლ-ქმარი იძულებული იყო ყოველ სადგურზე ჩამოსულიყო და პური გაეტეხა. გარშემო კი ყვავილების მთები იყო აღმართული. ქუთაისში მექორწინენი ორი დღე დარჩენილან, სადაც მათთვის ქუთათურებს ღირსეული

პატივი უციათ. გაბმულ დროსტარებას ბოლო არ უჩანდა. ცოლ-ქმარი იძულებული გახდა, ჩუმად გაპარულიყო გორდში. უღელტეხილთან, მთის მდინარეზე ხიდი ყოფილა გადებული. აქ,—წერს ბერტა,—ჩვეულებრივ მგზავრები ეტლიდან ჩამოდიან და ცხენებზე სხდებიან, რადგან ამის შემდეგ მხოლოდ ცხენით შეიძლება მაღალ მთებში ასვლა¹. ყველანი ეკიპაჟებიდან ჩამოვიდნენ და ხალიჩებით მოფენილი ხიდი ქვეითად გაიარეს. ხიდზე ყვავილის თაღები იყო აღმართული. ზიდს გაღმა გემოვნებით მორთული პატარა პავილიონი დაედგათ. აქ შეისვა ახლად დაქორწინებულთა სადღეგრძელოები. მამაკაცები ცხენებზე შესხდნენ, ხოლო მერი ტახტრევანზე დასვეს. ცხენოსნები გარს შემოერთყნენ ტახტრევანს და პროცესია გორდისაკენ დაიძრა. ზარბაზნის გასროლამ ყველას აუწყა მექორწინეთა მოახლოება. ეკატერინე ამალით გამოვიდა გორდის სასახლის აივანზე. ჯერ მიიღო ლეჩხუმის თავადი ამალითურთ, რომელიც მექორწინეთ წინ მიუძღოდა, შემდეგ მოდიოდა ნიკოს ბიძა გრიგოლი ამალით, ბოლოს გამოჩნდნენ ახლად ჯვარდაწერილებიც. მთებში გრგვინავდა ზარბაზნის ხმა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ეკატერინესაკენ გაემართა, მის წინაშე დაიჩოქა და სამეგრელოს დედოფალმა ვაჟი და რძალი დალოცა. შემდეგ ყველანი გორდის ეკლესიაში შევიდნენ და პარაკლისი გადაიხადეს — არქიმანდრიტმა

¹ იგულისხმება ხონიდან გორდისაკენ მიმავალ გზაზე სოფელ ხიდთან ცხენისწყალზე გადებული ხიდი, რომელსაც იქაურები ბუმბუას ხიდს ეძახიან (პომპეუსის ხიდი). ბერტა შენიშნავს, ეს მდინარე (ბერტა შეცდომით წერს Tzecheniz-Atzchali) სამეგრელოსა და იმერეთის ბუნებრივი საზღვარიაო.

და ეკატერინეს კარის მღვდელმა სიტყვები წარმოთქვეს. ცოტახნის შესვენების შემდეგ დაიწყო საქორწინო ღღესასწაული, რომელიც შუალამემდე გაგრძელდა. უკრავდა ორკესტრი, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, თოფებს ისროდნენ, გაიძარტა სხვადასხვა თამაშობანი და ჭიდაობა. მექორწინეთა რიცხვი სამასს აღემატებოდა, რომელთა ნაწილი ღია ცის ქვეშ, დიდრონი ხეების ძირას მაგიდებს შემოსხდომოდა. მეორე ღღეს ქორწილი კვლავ გაგრძელდა. ამ ღღეს სწორედ მერის დაბადების დღე დაემთხვა. გორდის მთებს ფოიერვერკი და ბენგალური ცეცხლი ანათებდა. ყველაფერი ეს ზღაპრული სანახაობის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ზუტნერები საქართველოში

როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, ბერტა დაქორწინდა არტურ გუნდაკარ ზუტნერზე და ახლად ჯვარდაწერილებმა საქართველოს მოაშურეს.

ბერტას ვენიდან დედოფლისა და ნიკოსათვისაც მიუწერია წერილები, რომელშიაც აღწერდა თავის სასიყვარულო ურთიერთობას ბარონ ზუტნერთან; აგრეთვე უცნობებია თავიანთი მომავალი სტუმრობის შესახებ. დედოფალსაც პასუხი არ დაუყოვნებია და დეპეშით უცნობებია: კეთილი იყოს თქვენი საქართველოში მობრძანებაო.

ცოლ-ქმარს იმედი ჰქონია, რომ ნიკო, სამეფო კართან დაახლოებული ბერტას ძველი მეგობარი გუნდაკარისათვის იმპერატორის კარზე ხელმწიფის ადიუტანტის ადგილს, ან

რალაც ამდაგვარს გამოძებნიდა. ცოლ-ქმარი ოდესაში ჩამოსულა, ხოლო იქედან კი გემით — ფოთში. ფოთში მათ დედოფლის კაცი დახვედრია და გადაუცია ეკატერინეს წერილი. წერილში შემდეგი ეწერა: დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში, გორდში გამგზავრება რვა დღით უნდა გადადებულიყო, რადგან მასიპნძლები ჯერ კიდევ ზუგდიდში იყვნენ და აგარაკზე ასვლას საკმაო ხანი სჭირდებოდა. დედოფლის კაცი კი მანამდე ქუთაისში წაიყვანდა მათ და დროებით სასტუმროში დააბინავენდა. ჩოხაში გამოწყობილი ჩაბალახიანი დედოფლის მსახური ცოტაოდენ ფრანგულს ამტკრევდა. რადგანაც იმ ღამით ქუთაისისკენ მეტი მატარებელი აღარ გადიოდა, ამიტომ ცოლ-ქმარს ფოთის ერთ საკმაოდ ქუჩკიან სასტუმროში მოუხდათ ღამის გათევა. ღამე მათ სავარძლებში გაუთევიათ, რადგან საწოლებში ძილი შეუძლებელი ყოფილა. ოთახში პირსაბანი არ აღმოჩენილა. ბერტას მოახლე გამოუძახნია, მის ნაცვლად ოთახში გაბურძგნული ფეხშიშველა გლეხის ბიჭი შემოსულა, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი გააგებინეს. მაშინ საქმეში ჩარეულა მოფრანგულე ჩოხოსანი. გამორკვეულა, რომ მთელ სასტუმროში მხოლოდ ერთი პირსაბანი იყო და დილ-დილაობით ერთი ოთახიდან მეორეში გაჰქონდათ.

ფოთიდან ცოლ-ქმარი ქუთაისს წასულა. აქ მათ დედოფლის ახალგაზრდა ინტენდანტი, მსუქანი, ყბედი სომეხი დახვედრია, რომელმაც ცოტაოდენი ფრანგული იცოდა და ევროპულად იყო გამოწყობილი. მას ზუტნერები მოუთავსებია ქუთაისის საუკეთესო სასტუმროში, რომელიც ფოთის ჯაბახანა ფუნდუკთან შედარებით პალას-ოტელის შთაბეჭდილე-

ბას ტოვებდა: ყოველ ოთახში იდგა პირსაბანი, ეკიდა პირსახოცი და ქვეშაგებიც სუფთა იყო. და, რამაც განსაკუთრებით აღაფრთოვანა ზუტნერები, იყო ის, რომ მათ იხილეს სრულიად განსხვავებული ტიპის ადამიანები, კოსტუმები, სახლები... ქუთაისში და ქუთაისის მისადგომებთან ძალიან ბევრი კამეჩი ყოფილა, რომელთაც ტვირთსაც აზიდვინებდნენ და წველიდნენ კიდევაც. ქუთაისში აუტანელი სიცხე იყო. ზუტნერები დღის უდიდეს ნაწილს აივანზე ატარებდნენ, აქვე საუზმობდნენ, სადილობდნენ და ეახშმობდნენ. ორი დღის შემდეგ სომეხი ინტენდანტი გამგზავრებულა და მის მაგივრად ჩამოსულა მოხუცი ფრანგი არისტოკრატი, დადიანების ოჯახის მეგობარი გრაფი დე როსმორდიუკი. იგი ბრეტანში დაბადებულა, დაახლოებით 25 წლის წინ საქართველოში ჩამოსულა (ბერტა წერს, რა მიზეზით, არ ვიცით) და საბოლოოდ დაშკიდრებულა აქ. დაქორწინებულა ერთ მეგრელ ქალზე და ზუგდიდში დასახლებულა. გრაფ როსმორდიუკს ზუტნერები ქუთაისის მაღალი საზოგადოებისათვის წარუდგენია. პირველად ცოლ-ქმარი მოხვედრილა გენერალ წერეთლის სახლში (ბერტა დასძენს, ეს იყო ქუთაისის პირველი სახლი). წერეთელს სპეციალური დარბაზობა გაუმართავს უცხოელი სტუმრებისათვის და მოუწვევია ქუთაისის რჩეული საზოგადოება. წერეთლის ქალიშვილმა ნინომ, თურმე, თავისი სილამაზით განაცვიფრა ცოლ-ქმარი ზუტნერები, თუმცა ის 25 წლისა იყო, მაგრამ შინაბერად ითვლებოდაო. ბერტა აქვე შენიშნავს, რომ კავკასიელი ქალები უკვე 15—16 წლის ასაკში ქორწინდებიანო. წერეთლის ოჯახში გამართულმა საღამომ ზუტნერებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა: აქ

იხილეს ქართველები თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ქართული ცეკვა, ქართული სუფრა თამადის ხელმძღვანელობით და ღვინის სმა ყანწებით. პირველი სადღეგრძელო თამადას ავსტრიელი სტუმრების პატივსაცემად შეუსვამს. მასპინძლები სუფრას არ უსხდნენ, ისინი სტუმრებს დასტრიალებდნენ თავს. სტუმართა შორის თურმე ბევრი ლაპარაკობდა ფრანგულად, და თუკი ისეთი თანამესუფრე აღმოჩნდებოდა, რომელსაც ფრანგული არ ესმოდა, მაშინ ქართული ენის მცოდნე გრაფი როსმორდიუკი თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. დარბაზში იდგა პიანინო. ბარონმა ზუტნერმა დაუჯრა რამდენიმე საკუთარი ვალსი¹ და იქ მყოფმა საზოგადოებამ მუსიკის ტაქტზე ცეკვა წამოიწყო.

შემდეგ ბერტა აღწერს ქართულ ცეკვას და მის თანმხლებ მუსიკას. ის გერმანელ მკითხველებს აცნობს ქართული ცეკვის სიმბოლურ შინაარსს.

ნადიმის დასასრულს ბერტას შეუსრულებია ერთი იტალიური არია, ამის შემდეგ უმღერია ფრანგი კომპოზიტორის

¹ 1884 წ. გაზეთი „დროება“ (12 ოქტომბერი, № 220) შემდეგს იუწყება: „თბილისის ერთს მუსიკალურ მაღაზიაში ისყიდება ბარონ სუტნერისაგან დაწერილი ნოტები, რომელნიც შეიცავენ ორს ვალსს. ერთსა ჰქვიან ვალსი თამარისა და მეორეს ენგურის ვალსი. ეს პატივცემული ბარონი სუტნერი დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არის, აკვირდება ჩვენს ცხოვრებას და, როგორც ხელოვანს, მწერალს და მემუსიკეს, ქალალზე გადააქვს თავისი დაკვირვებათა ნაყოფი...“ (ამ ცნობაზე მიგვითითა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ც სოლომონ ლეკიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ).

ობერის „სიცილის სიმღერა“ (ეს იყო შარლოტე პატის საყვარელი სიმღერა). ბერტას „ეოკალური“ სიცილი მთელს საზოგადოებას გადასდებია და მოქეიფენი გუნდურად ამღერებულან.

მეოცე დღეს ავსტრიელი სტუმრები გორდში უნდა წაეყვანათ. გრაფმა როსმორდიუმმა ეტლი დაიჭირა და მათთან ერთად გორდისკენ გასწია. გზა შესანიშნავი იყო. ხშირად ხვდებოდნენ პატარა ჩანჩქერებს, ველური ვარდები ჰყვოდნენ გარშემო. რამდენიმე საათის შემდეგ მგზავრები პომპეუსის ხიდს მიაღგნენ, აქ ისინი ეტლიდან უნდა ჩამოსულიყვნენ და გზა ცხენებით უნდა გაეცლოთ, ეს იყო ერთი გადასასვლელის მისადგომი. ციცაბო მთები აღმართულიყო მათ გარშემო. მდინარე, რომელიც ამ ხიდის ქვეშ ხმაურობდა, ალბათ, კლასიკური ავტორების „პიპოსი“ იყო. შესაძლოა იაზონის ნავი, როდესაც იგი ოქროს საწმისს იტაცებდა, ამ მდინარის ტალღებზე ირწეოდაო. ბერტას ვარაუდით, ეს ის ადგილი უნდა ყოფილიყო, სადაც ახალგაზრდა ნიკოსა და მის მეუღლეს ყვავილებისაგან ტრიუმფალური თალი აღუმართეს, ხოლო ხიდზე ხალიჩები გაუფინეს.

მართალია, ამჯერად პომპეუსის ხიდზე არ იყო აღმართული ტრიუმფალური თალი; მაგრამ ავსტრიელ სტუმრებს ხიდზე შეეგება ნიკო დადიანი ამალითურთ. იქვე დადგმული იყო კარავი, კარავში სუფრა იყო გაშლილი. მგზავრებმა აქ ცოტა წაიხემსეს ჯა სტუმართა კეთილი მობრძანების რამდენიმე სადღეგრძელო შეისვა. ყველანი ცხენებზე შესხდნენ და გორდისაკენ გზას გაუღგნენ. ბერტა ხაზგასმით აღნიშნავს, შეიდი კილომეტრი მთის ბილიკებით უნდა გვევლოო. ნიკოს

ამალა სტუმართა პატივსაცემად სხვადასხვა მხედრულ ილქეთებს ასრულებდა, რითაც აღტაცებაში მოჰყავდა ზუტნერები. როდესაც მხედრებმა გორდს მიაღწიეს, მზე უკვე მთებს მოჰფარებოდა. შემდეგ ბერტა მოკლედ აღწერს გორდს, აგრეთვე დადიანების სასახლესა და პარკს.

დადიანების სასახლის ტერასაზე სტუმრებს ეკატერინე დედოფალი ელოდებოდა. მას გარს ეხვია ბანოვანები, ფარეშები, მოახლეები. დედოფალი გადაეხვია ბერტას, ხოლო გუნდაკარს შუბლზე ეამბორა. სტუმრების პატივსაცემად გამართული ვახშმის შემდეგ, ყველანი მთვარის შუქით გაკაშკაშებულ პლატოზე გამოიშალნენ. ასევე სტუმრების პატივსაცემად გაიმართა ცეკვა-თამაში, გაისმა გუნდური სიმღერები, პაერში მაშხალებს ისროდნენ.

პირველი ზაფხული ზუტნერებმა გორდში გაატარეს. და როდესაც მასპინძლები საზაფხულო რეზიდენციიდან წავიდნენ: ნიკო — პეტერბურგში, ხოლო დედოფალი — ზუგდიდში, ზუტნერებმა ქუთაისში დაბინავება და აქ ენისა და მუსიკის გაკვეთილებით თავის რჩენა გადაწყვიტეს. დედოფლის ერთი ნათესავი ქალი, რომელიც ქუთაისის ბინადარი გახლდათ და მათთან ერთად გორდში იყო სტუმრად, უცხოელ სტუმრებს დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა. ქუთაისში, მართლაც, მოკლე ხანში ენისა და მუსიკის შესწავლის მრავალი მსურველი გამოიძებნა. ბერტა ქუთათურ გოგონებს ასწავლიდა სიმღერასა და მუსიკას, ხოლო გუნდაკარი — გერმანულ ენას.

და სწორედ ამ დროს რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. ქუთაისს საფრთხე ემუქრებოდა, რადგან, შესაძლოა,

საქართველო ბრძოლის ველად ქცეულიყო. ბერტა და გუნდაკარი დეპეშას დეპეშაზე იღებდნენ ავსტრიიდან, სასწრაფოდ თავს უშველეთო. ზუტნერები საქართველოდან წასვლას არ აპირებდნენ. ისინი მისულან გუბერნატორთან, თავად მირსკისთან და სურვილი განუცხადებიათ, სანიტრებად ვიმუშაევბთო. მაგრამ, რადგან ცოლ-ქმრის ერთად მუშაობა ვერ მოხერხდა, მათ განცხადება უკან გამოიტანეს.

გუნდაკარ ზუტნერი ომის ამბებზე კორესპონდენციებს აგზავნიდა ვენის ცნობილ ჟურნალში „Neue freie Presse“. ბერტა კი მონაწილეობას იღებდა ქუთათურ მანდილოსნების მიერ გამართულ ყოველ საღამოსა და დღესასწაულში, რომელიც იმართებოდა ომში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ზუტნერები წერილებს იღებდნენ დედოფლისაგან. ეკატერინე შემოფოთებული იყო: მისი ვაჟები ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ.

1878 წლის 3 მარტს მეომარ ქვეყნებს შორის ზავი დაიდო.

გუნდაკარ ზუტნერი იწყებს საქართველოსა და მისი ადამიანების შესახებ წერილების წერას და მათ გერმანული ჟურნალების რედაქციებში აგზავნის (უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სამწერლო მოწოდება არტურ გუნდაკარ ზუტნერმა პირველად საქართველოში აღმოაჩინა). საინტერესოა, რომ ბერტა ზუტნერიც, აგრეთვე, საქართველოში დაიბადა, როგორც მწერალი. 1878 წელს ქუთაისში ბერტამ დაწერა თავისი პირველი ლიტერატურული ცდა „მარაო და წინსაფარი“ და გაუგზავნა „Neue freie Presse“-ს. ბერტას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სულ მოკლე ხანში მიიღო ჟურნალის საავტორო ეგზემპლარი და პირველი ჰონორარი 20 გულდენი.

და ამის შემდეგ მწერალ ქალს კალამი ხელიდან არ გაუგდია.

1878 წლის ზაფხული ცოლ-ქმარმა კვლავ გორდში გაატარა. აქვე იყო სხვადასხვა ორდენით მკერდდამშვენებული ორივე ვაჟი დედოფლისა. გორდში იმყოფებოდნენ ნიკოს მეუღლე — მერი ადლერბერგი და ცოლ-ქმარი მიურატები თავიანთი ბიჭებით. ბერტა განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებს ამ ზაფხულს, რადგან გორდის სასახლეში ბევრ ძველ მეგობარს მოეყარა თავი. ენაწყლიან გრაფ როსმორდიუქს სიცოცხლე და ხალისი შეჰქონდა ამ საზოგადოებაში. ამ გამეგრელებულ ფრანგს საოცარი უნარი ჰქონდა ჰკუთმანხილური ანეგდოტების მოთხრობისა.

დადგა ზამთარი და გორდის საზოგადოება დაიშალა. ზუტნერებმა გადაწყვიტეს ამჯერად თბილისს სტუმრებოდნენ. მათ თან წაიღეს საუკეთესო სარეკომენდაციო ბარათები. თბილისში იმ დროს ცხოვრობდა ერეკლე ბაგრატიონის ქვრივი, თავადის ქალი თამარი. ერეკლე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილიყო. თამარმა გულთბილად მიიღო ცოლ-ქმარი ზუტნერები. ბერტა ზუტნერი აღწერს იმდროინდელ თბილისს. თბილისი ნახევრად აღმოსავლური, ნახევრად დასავლეთ ევროპული ქალაქიაო. ქალაქის ევროპულ ნაწილში იგივე ცხოვრება სუფევს, როგორც ევროპის დიდ ქალაქებშიო. ევროპული სამოსელი, ევროპული ჩვევები, ფრანგი მზარეულები, ინგლისელი გუვერნანტები, იგივე საღამოები, იგივე დღესასწაულები და საუბარი ფრანგულ ენაზე. თავადის ქალ თამარს ჰქონდა საკუთარი გემოვნებით მოწყობილი სასახლე და მის სალონში თავს იყრიდა თბილისის მაღალი სა-

ზოგადობა. თამარის უმცროსი და, მასავით მომხიბლავი და ლამაზი ქალი, გენერალზე იყო გათხოვილი და ისიც თბილისში ცხოვრობდა. ბერტა სხვადასხვა ოჯახში დადიოდა მუსიკის გაკვეთილზე, ხოლო გუნდაკარი ერთ ფრანგ შპალერის მწარმოებელთან, მუსიო ბერნექსთან, მუშაობდა მოანგარიშედ და შპალერის ნიმუშების მხატვრად. ის 150 მან. იღებდა თვეში და ამას გარდა მუსიო ბერნექსი ცოლ-ქმარს ფულს არ ახდევინებდა არც სასმელ-საკმელში და არც ბინაში. მუსიო ბერნექსი მარსელელი იყო.

ბერტა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას თბილისშიც განაგრძობდა. აღსანიშნავია, რომ ბერტამ მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები თბილისში შექმნა. ბოლო ხანებში გუნდაკარმა სპეციალური დავალება მიიღო თავისი „პატრონისაგან“. მას უნდა დაეხაზა საცხოვრებელი სახლის პროექტები და, მართლაც, თბილისის გარეუბნებში აშენდა რამდენიმე სახლი მისი პროექტით. გუნდაკარმა ქართული ენა იმდენად შეისწავლა, რომ ქართველ მუშებთან საუბარს გაჭირვებით ახერხებდა. თბილისიდან ზუტნერები ქუთაისს წავიდნენ, იქედან — გორდში, ხოლო, ბოლოს, ზუგდიდში დაბინავდნენ. რამდენიმე მშვენიერი წელი, — როგორც ბერტა ამბობს, — გაატარეს მათ ზუგდიდში. ბერტა აღწერს იმდროინდელ ზუგდიდს. ზუგდიდში მაშინ ერთ წყებად ჩამწყრივებული ყოფილა აღმოსავლური ტიპის სახლები. დუქანი დუქანს მისდევდა. მაღაზია მაღაზიას ეკვროდა, ამიტომ ამ ადგილს „ბაზარი“ ერქვა; ეძახდნენ მას აგრეთვე „ბულვარსაც“, რადგან ქუჩის ორივე მხარეს უზარმაზარი ხეები იდგა, როცა ხეები ჰყვოდა, იქაურობა გამაბრუებელი სურნელით იჟღინთებოდა. ამ აღ-

მოსავლური უბნის გარდა ზუგდიდში იყო, აგრეთვე, პატარა ქოხები, რომლებშიაც ვიურტემბერგელი გლეხები ცხოვრობდნენ; ეს იყო „გერმანული კოლონია“. სიმინდის ყანებში იდგა ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებული ერთსართულიანი კავკასიური ხის სახლები (ოდეები). ამ სახლებს გარშემო აივნები ერტყა. ცოტა მოშორებით ერთ ბაღში იდგა გრაფ როსმორდიუჟის ვილა. დიდ პარკში დედოფლის დროებითი საცხოვრებელი სახლი აეშენებიათ. პარკის შუაგულში კი აღმართულიყო დაუმთავრებელი ბრწყინვალე სასახლე.

აშილ და სალომე მიუხრატებს გადაეწყვიტათ ზუგდიდში დასახლება. ბერტა და გუნდაკარ ზუტნერებმა კი გერმანელი კოლონისტის პატარა სახლი იქირავეს. მართალია, ეს სახლი ფეშენებელური ნაგებობა არ იყო, მაგრამ ცოლ-ქმარმა ბინა ევროპული გემოვნებით მოაწყო. მათი საცხოვრებელი სამი ელეგანტურად მორთული ოთახისაგან შედგებოდა; ერთსართულიან სახლს წინ ხის აივანი ჰქონდა. მათ ემსახურებოდა სახლის პატრონის ქალიშვილი. მათი მოძრავი ქონება ხუთ ბატს შეადგენდა. ისინი ყოველ დილით გადიოდნენ მინდორში და შელამებისას შინ ბრუნდებოდნენ. ბატები კულინარული მიზნებისთვის იყო შეძენილი, მაგრამ ზუტნერები ისე შეეჩვიენ ფრინველებს, რომ იქ ყოფნის დროს არცერთი არ გამოუსალმებიათ წუთისოფლისათვის.

პრინცმა აშილმა გუნდაკარ ზუტნერი მშენებლობის მეთვალყურედ და ხელმძღვანელად აიყვანა. ბერტა ზუტნერი კი მიუხრატების ორ ვაჟიშვილს — ლუსიენსა და ნაპოს ყოველდღიურად ორ საათს გერმანულსა და მუსიკას ასწავლიდა. მიუხრატებს მეჯინიბეებად და მეეტლეებად ინგლისელები

ჰყავდათ, ხოლო მზარეულებად -- ფრანგები. კვირაში ორჯერ ზუტნერები მიურატების ოჯახში სადილობდნენ. სადილის შემდეგ კი მუსიკითა და ჰადრაკით ერთობოდნენ. განსაკუთრებით იქცევდა თავს საზოგადოება გუნდაკარ ზუტნერის კარიკატურებით, რომლებზედაც გამოხატული იყო მშენებლობაში მონაწილე ყველა პირი.

ზუგდიდში დაწერა ბერტა ზუტნერმა რომანები „ცული ადამიანი“, „ჰანა“ და „სულის ინვენტარიუმი“. არტურ გუნდაკარ ზუტნერმა კი ზუგდიდშივე შეთხზა მოთხრობები და რომანები ქართულ თემაზე: „დარეჯანი“, „აზნაური“ და მოთხრობების კრებული „კავკასიის შვილები“ (წიგნი პირველი).

ბერტა ფონ ზუტნერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მის ქმარს ბუნება განსაკუთრებით ყვარებია. თავის წიგნებში ქართულ და კავკასიურ თემებზე გუნდაკარმა შესანიშნავად აღწერა საქართველოსა და კავკასიის ბუნება („დარეჯანი“, „აზნაური“). ლიტერატურულმა კრიტიკამ ამას საგანგებოდ გაუსვა ხაზი. ბერტა ზუტნერი სამართლიანად და ობიექტურად შენიშნავს: გუნდაკარს მაინცდამაინც არ ეხერხებოდა მხატვრულ პროზაში ხასიათების გამოძერწვა, მოქმედების საინტერესოდ წარმართვა, პოეტური გამოგონება და ამიტომაცაა, რომ, — დასძენს, ბერტა, — მან შესამჩნევი კვალი ვერ დააჩინა მხატვრულ ლიტერატურასო, სამაგიეროდ, გუნდაკარი შეუდარებელი იყო ბუნების აღწერაში. მან მასწავლა ბუნების სიყვარული და ბუნებით ტკობაო, — განაგრძობს იგი.

საქართველოს ზღაპრული ბუნების წიადში, გლეხის უბ-

რალო სახლში, სადაც ღამ-ღამობით ტურების კივილიც კი ისმოდა, უცხოელი სტუმრების ცხოვრება შინაგანად მდიდარი, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. ბერტა ფონ ზუტნერი ზუგდილში გატარებულ დღეებს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე უბედნიერეს დროდ მიიჩნევს.

1882 წლის ზაფხულში დედოფალი ავად გახდა. ზუტნერები მაშინ სტუმრად იყვნენ გორდში. ექიმებმა, რომლებიც თბილისიდან გამოიწვიეს, ეკატერინეს კარლსბადში მკურნალობა ურჩიეს, მაგრამ სნეულმა დედოფალმა უარი განაცხადა სამშობლოდან სამკურნალოდ უცხოეთში წასვლაზე. ბერტასათვის უთქვამს: იმედი მაქვს, მოვრჩები, მაგრამ, თუ ეს ნამდვილად ჩემი სასიკვდილო ავადმყოფობაა, მაშინ აქ მსურს მოგვკდე, მარტვილის მონასტრის მახლობლად, სადაც უნდა დამასაფლაონ. არ მსურს, ევროპიდან ყუთით ჩამომიტანონო. დედოფლის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა და, როდესაც ზუტნერები შემოდგომაზე გორდიდან ზუგდილს გაემგზავრნენ, იმედი აღარ ჰქონდათ, რომ დედოფალს კვლავ ცოცხალს იხილავდნენ. და, მართლაც, მალე მიიღეს ნიკო დიდიანის დეპეშა, რომლითაც სამეგრელოს მთავარი ზუტნერებს დედის გარდაცვალებას ატყობინებდა. ბერტაზე ძალიან მძიმედ უმოქმედნია გულისთადი მეგობრის გარდაცვალებას. იგი დიდხანს გლოვობდა დედოფლის დაკარგვას¹. ზუტნერები,

¹ აღსანიშნავია, რომ ეკატერინე ბერტასათვის უახლოესი ადამიანი იყო. მოგვიანებით ბერტა იმ მცირერიცხოვან ძვირფას ადამიანთა შორის, რომელნიც მან დაჰყარა, დედასა, მულსა და ბიძაშვილთან ერთად — ეკატერინე დადიანსაც მოიხსენიებს, და მას „ჩემიანების“ კატეგორიაში ათავსებს.

რასაკვირველია, დასწრებიან ეკატერინეს დაკრძალვას. ბერტას მოწმობით, უამრავ ხალხს მოეყარა თავი, რათა უკანასკნელად ეცათ პატივი დედოფლისათვის. აქამდე, არნახული ზღვა პროცესია მიაცილებდა სამეგრელოს დედოფლის ნეშტს მარტვილის მონასტრის აკლდამამდე.

1884 წლის დამდეგს ბერტას თავს დაატყდა მეორე უბედურება: გარდაეცვალა დედა.

ამასობაში გუნდაკარ ზუტნერის მშობლები შეურიგდნენ შეილსა და რძალს. დაბეჯითებით თხოვდნენ, დაბრუნებულიყვნენ ავსტრიაში და დაბინავებულიყვნენ ვენის მახლობლად მდებარე სოფელ ჰარმანსდორფში, სადაც ზუტნერებს მამული ჰქონდათ.

ბერტა შენიშნავს: მართალია, ჩვენ საქართველოში ყოფნისას სიმდიდრე და ქონება არ შეგვიძენია, მაგრამ აქ ჩამოყალიბდით ლიტერატორებად და მწერლებადო. კრიტიკა გვაქებდა, რედაქტორები სულ ახალ და ახალ ნაწარმოებებს გვიკვეთავდნენ და გამომცემლები უყოყმანოდ ბეჭდავდნენ ჩვენს წიგნებსო. გუნდაკარ ზუტნერის კავკასიურ ნოველებსა და რომანებს ევროპაში, ბერტას თქმით, საკმაო პოპულარობა მოუპოვებით.

სამშობლოში დაბრუნება ცოლ-ქმარს მაისისათვის გადაუდვია. დარჩენილი სამი თვე უნდა გამოეყენებინათ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ და გერმანულ ენებზე თარგმნისათვის. ბერტა წერს, ჩემი ქმრის მეგობარმა, თბილისელმა ჟურნალისტმა გვთხოვა ქართული ნაციონალური ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“ ზემოდასახელებულ ენებზე გვეთარგმნაო. ამ ჟურნალისტად, რომლის გვარიც ბერტას

აღარ ახსოვს და მხოლოდ „ბატონ მ“-დ მოიხსენიებს¹, იგულისხმება იონა მეუნარგია. რადგან ცოლ-ქმარმა ქართული იმდენად არ იცოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რთული ტექსტი გაეგო, ამიტომ მეუნარგია მათ ზეპირად ფრანგულად სიტყვა-სიტყვით უთარგმნიდა ტექსტს, ხოლო ამ ტექსტის საფუძველზე ზუტნერები ცდილობდნენ მხატვრულად გაეშართათ „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იმ ხანებში, როგორც ბერტა აღნიშნავს, განზრახული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის განხორციელება, რომლისთვისაც ილუსტრაციები ზიჩის დაუხატავს. იმისათვის, რათა დაუბრკოლებლად და ინტენსიურად გვემუშავნა „ვეფხისტყაოსანზე“, ბატონმა მ. მიყრუებულ მეგრულ სოფელში წაგვიყვანა, სადაც მამამისი მღვდლად იყო (იგულისხმება სოფ. ცაიში). ყოველდღიურად ცოლ-ქმარი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობდა ოთხ საათს (დღიით 2 საათს და ნაშუადღევსაც 2 საათს). დანარჩენ დროს კი ზუტნერები ბუნების წიაღში ატარებდნენ. რადგან სოფელში პიანინო არ იყო, ცოლ-ქმარს თან წამოეღო ციტრა, რითაც შესვენების დროს თავს იქცევდა.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში, — წერს ბერ-

¹ ბერტა აღნიშნავს, თბილისელი ჟურნალისტის გვარი, სამწუხაროდ, დამავიწყდა, მხოლოდ გვარის დასაწყისი მახსოვს. საქმე ისაა, რომ „მემუარების“ წერისას არტურ გუნდაკარ ზუტნერი უკვე გარდაცვლილი იყო (1902 წ.), ხოლო ბერტა საკმაოდ მოხუცებული და, როგორც ჩანს, მას გაუჭირდა შორეულ წარსულში უცხოელისათვის ძნელად დასამახსოვრებელი ქართული გვარის აღდგენა.

ტა, — ჩვენს წინაშე სულ ახალი და საინტერესო სამყარო გადმოხალა. ქართველები სამართლიანი სიამაყით იგონებენ იმ ეპოქას, რომელშიაც წარმოიქმნა მათი ნაციონალური ეპოსი. ეს ის ეპოქაა, როდესაც საქართველოს მართავდა დიდი თამარი. ეს იყო ქვეყნის აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანა. შოთა რუსთაველი მოღვაწეობდა თამარის კარზე და ხოტბას ასხამდა დედოფლის დიდებას, ძლევამოსილებასა და მომხიბვლელობას. ქართველი ბარდის პოემის გაცნობასთან ერთად პატრიოტი ბატონი მ. ბევრს მოგვითხრობდა თავისი სამშობლოს ბრწყინვალე წარსულზე. საქართველოში, დასძენს ბერტა, თამარ დედოფლის სახელი უაღრესი მოწიწებითაა შემოსილი. ყოველი ქართველის ცნობიერებაში თამარის ეპოქა დაკავშირებულია რაღაც ამბოღებულთან და უკვდავთან. პირველი მეფე, ფამავაზი¹ ქრისტემდე ასორი წლის წინ იქნა არჩეული, ხოლო ქრისტიანობა საქართველოში წმიდანინოს მიერ IV საუკ. იქნა შემოტანილი. ისევე, როგორც ყოველი ერის ძველი ისტორია, საქართველოს ისტორიაც არის ომების ისტორია. საქართველო გარშემორტყმული იყო მტრული ერებითა და ტომებით, განსაკუთრებით ხშირად ესხმოდნენ თავს ქვეყანას ოტომანები და სპარსელები. საინტერესოა ქართველების მისაღება: „Gamardjoba“ და „Gamardjosse“ (ბერტას ეწლება, სურს დაწეროს „გაგიმარჯოს“). ბერტა ხსნის ამ სიტყვების შინაარსს.

¹ ჩვენ აქ უცვლელად და უკომენტაროდ გადმოვცემთ იმას, რაც ბერტას თავის „მემუარებში“ უწერია საქართველოზე, რადგან ბერტას მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა თუ უზუსტობა ქართველი მკითხველისათვის იოლი შესამჩნევია.

თამარ დედოფლის ეპოქა საქართველოში მიჩნეულია ოქროს ხანად. ქრონიკა მოგვითხრობს, რომ თამარის დროს ხელოვნება ჰყვავდა, შენდებოდა მრავალი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა და ქვეყანაში კეთილდღეობა სუფევდა. თამარის მეფობის დასაწყისში მის სახელმწიფოს დაემუქრა სპარსი ხალიფის ნასერ-ლი-დინის ჯარები¹. თამარმა უხმო თავის ლაშქარს, ათ დღეში საქართველოს ყოველი კუთხიდან თავი მოიყარეს ლეგიონებმა. დედოფალმა მათ სიტყვით მიმართა: „ძმებო, გული არ გაიტეხოთ მტრის ურიცხვო ჯარების წინაშე. რასაკვირველია, გაგიგონიათ თქვენ გიდეონის სამასი კაცის შესახებ, რომლებმაც მიდიელების ურიცხვი ლაშქარი დაამარცხეს. გამაგრდით და თვითელმა თქვენთაგანმა თავი გაიმამაცურეთ“. შემდეგ ქრონიკა მოგვითხრობს, რომ თამარმა ჯარს გადასცა თავისი წინაპრის ვახტანგ გორგასლანის დროშა. ქართულმა ლაშქარმა მტერი დაამარცხა.

რამდენიმე წლის შემდეგ მცირე აზიის სულთანმა როქნედინმა² თავი მოუყარა 800 000 ჯარისკაცს და საქართველოს დასალაშქრავად გაემართა. ელჩების ხელით მან თამარ დედოფალს შემდეგი თავაზიანი უსტარი მიართვა: „გატყობინებ შენ, თამარ, ქართველთა მეუფეო, რომ დიაცნი ყველანი სუსტნი არიან. ახლა მოვდივარ, რათა გასწავლოთ, შენ და შენს ქვეყანას, მეტად აღარ იშიშვლოთ მახვილი, რომელიც ღმერთს ჩვენთვის უბოძებია“. ქრონიკა მოგვითხრობს: თამარმა წაიკითხა უსტარი „აუჩქარებლად.“ მან ბრძანა, შეეკრიბათ ლაშ-

¹ ხალიფა არაბთა უზენაესი ხელისუფალი იყო. სპარსეთის მხრივ საქართველოზე შეიძლება გამოელაშქრა ადარბადაგანის ათაბაგს.

² რუკნ-ედ-დინი.

ქარი და თვითონ წაუძღვა ჯარს მტრის შესახვედრად. ქართველებმა გაიმარჯვეს და თბილისი საზეიმოდ იქნა მორთულ-მოკაზმული.

საქართველოში არის ერთი ეროვნული პოემა, რომელიც ყოველმა გლეხმა ზეპირად იცის, — წერს ბერტა. ამ ნაწარმოებში თამარ მეფეზე შემდეგია მოთხრობილი: მტერზე გამარჯვების დღესასწაული იყო. თამარი ძვირფასი სამკაულებით მორთული მზესავით ანათებდა. მას სურდა, ყველა გახარებული ყოფილიყო. მეჭურჭლეთუხუცესისათვის უბრძანებია, მოწყალება გაიღეო. „შეასრულე ჩემი ბრძანება?“ უკითხავს დედოფალს, „ყველანი კმაყოფილნი არიან?“ „დედოფალო“, უპასუხა მეჭურჭლეთუხუცესმა, შენი „ბრძანებისამებრ საჩუქრები დავარიგე. მხოლოდ ერთ მათხოვარ ქალს არ ერგო არაფერი, რადგან მას უშუალოდ თქვენგან უნდოდა მიეღო საჩუქარი. თქვენთან არ შემოვფუშეთ, ჩვენგან კი არაფერი აიღო და გაგულისებული წავიდა“. დედოფალი შეცბა და ბრძანა, მოძებნეთ ის მათხოვარი ქალი და მომგვარეთო. ძებნა ამაო გამოდგა, ქალს ვერ მიაკვლიეს. უცებ თამარი ღვთისმშობლის ხატის წინ დაემხო, პირჯვარი გადაისახა და წარმოთქვა: „მე ვიცი, ვინ იყო ეს მათხოვარი, დედაო ღვთისავ, იგი შენ წარმომიგზავნე“. და დედოფალმა შემოიძარცვა, რაც კი თვალმარგალიტი და სამკაული ეკეთა, და შესწირა გაენათის მონასტერს. ამ მონასტერში, რომელიც ქუთაისის მახლობლადაა, დასაფლავებულია თამარ მეფე.

„ვეფხისტყაოსნის“ ზუტენერებისეული თარგმანი არასოდეს არ გამოქვეყნებულა, მაგრამ როგორც ბერტა აღნიშნავს, მთარგმნელები ამაოდ არ დამაშვრალან. ამ მთარგმნელობითი

მუშაობით და იმ საუბრებით, რომელთაც ამასთან დაკავშირებით უტარებდა მათ მეუნარგია, ავსტრიელი მწერლები ეზიარენ ქართველი ხალხის სულსა და ბუნებას, მის ისტორიასა და კულტურას. ჩვენ გავეცანით, — წერს ბერტა, — იმ გამოჩენილი გვარების ქრონიკებს, რომელთა ოჯახებში ხშირად ვყოფილვართო. ესენი იყვნენ: ორბელიანები, წერეთლები, ბაგრატიონები, დადიანები, მუხრანბატონები, ჭავჭავაძეები, რომლებიც ისევე ცნობილნი არიან საქართველოში, როგორც ჩვენში ბორგეზები, ლიპტენშტაინები, მონმორენსები და სხვ.

ჩვენი მასპინძელი არა მარტო თავისი ქვეყნის ისტორიას გვაცნობდა, არამედ თავისი ხალხის ადათ-ჩვეულებების შესასწავლადაც დავყავდით ქორწილებზე, ნათლობებსა და ტირილშიო.

ბერტა წერს, ნაღვლიანად გამოვეთხოვეთ საქართველოსო. ჩვენ შევიყვარეთ ეს მშვენიერი ქვეყანა და მასპინძლებიც გულდაწყვეტილნი გვემშვიდობებოდნენ. მთიანი საქართველოს ლანდშაფტი, სადაც, ლეგენდის მიხედვით, მიწიერი სამოთხე მდებარეობდა, გაცილებით დიადი და გრანდიოზული იყო, ვიდრე ჩვენი ქვემოავსტრიული ბუნება, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ ჩვენი სამშობლო იყო... და ზუტნერები ავსტრიას გაემგზავრნენ.

საქართველოდან ღაბრუნების შემდეგ

1885 წელს ზუტნერებმა ავსტრიაში ფრიდრიჰ ბოდენშტეტის აღფრთოვანებული წერილი მიიღეს. ბოდენშტეტი დიდხანს ცხოვრობდა კავკასიაში, კერძოდ თბილისში და ძალიან

აინტერესებდა არტურ გუნდაკარ ზუტნერის კავკასიური მოთხრობები.

ბერტა აღნიშნავს: ევროპაში დაბრუნების შემდეგ ხშირად გვაგონდებოდა კავკასიაო. გვაგონდებოდა, როგორ ვიდექით მაღალ მთებში უფსკრულის პირას, როგორ გვიხდებოდა გასვლა ვიწრო ბონდებზე; ზოგჯერ მივადგებოდით ბორანს, მდინარის მეორე ნაპირზე გადასასვლელად, მაგრამ მებორნე უარს გვეუბნებოდა გადაყვანაზე აღიდებული წყლის გამო, იძულებული ვხდებოდით შევსულიყავით ხის ქოხში და პურიითა და ღვინით დავნაყრებულიყავით, დავწოლილიყავით სკამ-ლოგინზე და ასე გაგვეთია ღამეო.

იმავე წლის ოქტომბერში ბერლინში შეკრებილა მწერალთა კონგრესი და ზუტნერებიც მიუწვევიათ. უამრავ ნაცნობს შორის ზუტნერები კონგრესზე ბოდენშტეტსაც შეხვედრიან. ბოდენშტეტი მათკენ გამოქანებულია და საუბარი კავკასიაზე ჩამოუგდია. მან ხომ იქ გაატარა თავისი შემოქმედების პირველი პერიოდი! ბოდენშტეტი აღტაცებით ლაპარაკობდა თბილისზე, სამეგრელოს ტყეებზე, აღმოსავლური სახლების ბანებზე, სადაც მთვარის შუქზე ღამაში ქალები მუსიკითა და ცეკვით ირთობდნენ თავს. კონგრესის მიმდინარეობისას ბოდენშტეტი ყოველთვის ზუტნერებს მიეკედლებოდა ხოლმე და განუწყვეტლივ საქართველოზე ელაპარაკებოდა.

იმ ხანებში ალფრედ ნობელს ზუტნერები გაუცვნია საკმაოდ ცნობილ მწერალ ქალ ჟულიეტა ადამისათვის, რომელსაც გუნდაკარისთვის უთქვამს: თქვენ ძალიან მომწონხართ, რადგან ქვეყანა, რომელიც თქვენს წიგნებში ასე ჩინებულად აღწერეთ, ჩემთვის მეტად მიმზიდველიაო.

1886 წლის ზამთარში ზუტნერები პარიზში არიან. აქ ისინი შეხვდნენ თავიანთ ძველ ქართველ მეგობარს, თავადის ქალს, თამარს, ერეკლე ბაგრატიონის ქვრივს. ის უკვე ერთი წელია, თავისი ორი პატარა გოგონათი, პარიზში დასახლებულიყო. ზუტნერები თამარის ხშირი სტუმრები იყვნენ. ოთხი წლის შემდეგ თამარი, უკვე წამოჩიტული ქალიშვილებით, ვენეციაში დაბინავდა. ბერტა 1889 წელს აქაც შეხვდრია თამარს.

1890 წელს გუნდაკარ ზუტნერმა ჰარმანსდორფში დაწერა კავკასიური რომანი „შამილი“,¹ ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ გამოაქვეყნა „კავკასიის შვილების“ მეორე წიგნი.

ცნობილ გერმანელ პოეტს დეტლევ ლილიენკრონს ბერტამ წერილი მისწერა და გაუგზავნა თავისი ქმრის კავკასიური მოთხრობები. ლილიენკრონმა ერთ-ერთი ნაწარმოები ქართულ თემაზე — „დარეჯანი“ — ლაკონიურად ასე შეაფასა: „დარეჯანი“ ზეალმტაცია“².

აღსანიშნავია, რომ მარია ბიუჰნერი, ცნობილი ვულგარული მატერიალისტის — ლუდვიგ ბიუჰნერის რძალი განსაკუთრებით აღუფრთოვანებია საქართველოს ბუნების აღწერას გუნდაკარ ზუტნერის კავკასიურ მოთხრობებში. „აღბათ ბედნიერებაა ასეთ მშვენიერ ქვეყანაში ცხოვრება“, — ასე ამთავრებს თავის წერილს მარია ბიუჰნერი.

¹ რატომღაც ბერტას ეშლება: „შამილი“ ნოველა კი არა, რომანია.

² ეს არის გუნდაკარ ზუტნერის პირველი ნაწარმოები ქართულ და, საერთოდ კავკასიურ თემაზე. ლილიენკრონის ქება გადაჭარბებულად გვეჩვენება. ეს, ალბათ, თავაზიანობის გამოხატულებაა.

ზუტნერები არ წყვეტდნენ მიმოწერას ქართველ ნაცნობ-მეგობრებთან. მიურატები კვლავ ზუგდიდში იყვნენ, ნიკო მეტწილად პეტერბურგში ცხოვრობდა. ერთ დღეს ზუტნერებს ჰარმანსდორფში ანდრე დადიანის წერილი მიუღიათ ვენიდან: ვენაში გავლით ვარ და თქვენი ნახვა მინდაო. ბერტასა და გუნდაკარს სწორედ ვენაში ჰქონდათ საქმე — უნდა შემდგარიყო მშვიდობის საზოგადოების კრება. ბერტამ ანდრე კრებაზე მიიწვია. ანდრე, მართლაც, დასწრებია მშვიდობის საზოგადოების კრებას და შემდეგ გამართულ ვახშამსაც. მეორე დღეს ზუტნერებს თავიანთი ქართველი სტუმარი ჰარმანსდორფში წაუყვანიათ, სადაც ანდრე რამდენიმე ხანს დარჩენილა¹.

1895 წელს ბერტამ სამწუხარო ამბავი შეიტყო. საქართველოდან მას ატყობინებდნენ, რომ აშილ მიურატს თავი მოეკლა. თვითმკვლელობა იყო ეს, თუ შემთხვევითობა? — აყენებს კითხვას ბერტა. ზუსტად ამის გაგება ვერასოდეს ვერ შევძელიო. ეს მომხდარა ზუგდიდში, არტურ გუნდაკარ ზუტნერის მიერ აგებულ სასახლეში. სალომე მეზობელ ოთახში მჯდარა, ქმრის ოთახიდან გასროლის ხმა გაუგია, შევარდნილა ოთახში და ქმარი სავარძელში გადავარდნილი დაუწახავს. მას ფეხებს შორის თოფი ჰქონია ღულის სახისკენ მიშვერილი. ბერტამ არ იცის: აშილს ეს თოფის წმენდისას დამართა გაუფრთხილებლობის გამო, თუ ცხოვრება მობეზრდა და შეგნებულად ჩაიდინა ეს აქტი.

¹ ეს ის ცნობილი ქართველი მოქაღრაკე ანდრე დადიანია, რომელსაც რამდენიმე ხელი ჩიგორინისთვისაც კი მოუგია.

ჩამდენიმე წლის შემდეგ ნიცაში მყოფ ზუტნერებს ადგილობრივ გაზეთში წაუკითხავთ ცნობა, რომ ნიცას მახლობლად მდებარე აგარაკზე სიმეფში საფრანგეთის დედოფალს ევგენიას სტუმრად სწევია სალომე დადიანის ვაჟიშვილი ლუსიენი თავისი მეუღლითურთ (ლუსიენის ცოლი იყო პრინცესა როანი). ბერტას მაშინვე პატარა ბარათი გაუგზავნია თავისი ყოფილი მოწაფისათვის (ბერტა ლუსიენს გერმანულს ასწავლიდა ზუგდიდში). მეორე დღესვე ახალგაზრდა ცოლქმარი ზუტნერებს სწევია. ბერტა შენიშნავს, ორივე მხარე დიდად გაგვახარა შეხვედრამ, ჩვენ კავკასიაში გატარებულ მშვენიერ დღეთა მოგონებები აგვეშალა, მაგრამ ამ შეხვედრას თან ახლდა ყრუ სიმძიმეილი ლუსიენის მამის, აშოლის ავბედითი სიკვდილის გამო, რის შესახებაც ჩვენ კრინტი არ დავგიძრავსო.

1899 წელს ზუტნერები იყვნენ ჰააგაში, სამშვიდობო კონფერენციაზე. აქ ისინი შეხვდნენ მირზა რიზა ხანს, სპარსეთის დელეგატს, რომელიც ამავე დროს იყო სპარსეთის ელჩი პეტერბურგში. მას აღზრდა კონსტანტინეპოლსა და თბილისში მიეღო და ზუტნერებს ესაუბრა ერეკლე ბაგრატიონის ქვრივ თამარზე, რომელსაც, თურმე, ძალიან კარგად იცნობდა. თამარი ახლა ბორჯომშიაო, — აუწყა მირზა რიზა ხანმა ბერტას.

1902 წლის ზაფხულში ზუტნერები ჰარმანსდორფში მოუნახულებია ბაგრატიონის ქვრივს, თამარს თავისი ორი ასულთ. ისინი ორი დღე დარჩენილან ვენის მახლობლად მდებარე ზუტნერების მამულში. მეგობრები განუწყვეტლივ იგონებდნენ საქართველოში გატარებულ დროს. ბერტა, ამ ტკბილ

მოგონებებთან დაკავშირებით, საქართველოს უძვირფასესა და უმშვენიერეს ქვეყანას უწოდებს.

ამით ვამთავრებთ ბერტას მოგონებების გადმოცემას საქართველოსა და ქართველებზე. მაგრამ, ვიდრე საერთოდ მთელ წერილს დავასრულებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ბერტა ფონ ზუტნერის ფასდაუდებელ ღვაწლს მსოფლიოში მშვიდობისათვის მოძრაობის წინაშე. ბერტა იყო მთავარი ინიციატორი არა მარტო ავსტრიის მშვიდობის საზოგადოების შექმნისა და შემდეგ ამ საზოგადოების პრეზიდენტი, არამედ მან აგრეთვე დიდი ამაგი დასდო გერმანიის მშვიდობის ასოციაციის დაარსებასაც. იგი იყო მონაწილე თითქმის ყველა საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესისა და კონფერენციის, რომლებზედაც გამოდიოდა მგზნებარე ანტი-მილიტარისტული სიტყვებითა და მოხსენებებით; მისი დაუინებელი თხოვნითა და მისივე გავლენით ჩაება სამშვიდობო მოძრაობაში ალფრედ ნობელი. ბერტა წერილებით მიმართავდა მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანებს, მოუწოდებდა და თხოვდა მათ, ჩაბმულიყვნენ სამშვიდობო მოძრაობაში. მშვიდობის ეს ენთუზიასტი სცემდა სპეციალურ ჟურნალს — „ძირს იარაღი!“ რომელიც ანტიმილიტარისტული და სამშვიდობო მიმართულებისა იყო. ბერტა იყო მშვიდობის საქმის ფანატიკოსი, ის ყველგან და ყოველთვის, ხელსაყრელ თუ არახელსაყრელ პირობებში ქადაგებდა მშვიდობას, ამის გამო ბევრი დაცინვა და შეურაცხყოფაც მიუღია, მაგრამ ერთი წუთითაც არ გასტეხია გული და სამშვიდობო ბრძოლის პათოსი არ შენელებია. ჭკუამახვილურად შენიშნავდა ალფრედ ნობელი ბერტასადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში, რომ ბერ-

ტამ ომი გამოუცხადა ომს და იარაღს, რომლის გადაგდება-
საც ბერტა მოითხოვდა, თვითონვე იყენებდა ომის წინააღ-
მდეგ.

უაღრესად საინტერესოა ლევ ტოლსტოის საპასუხო წე-
რილი, რომელშიაც დიდი რომანისტი სოლიდარობას უცხა-
დებს ავსტრიელი მწერალი ქალის სამშვიდობო მოღვაწეო-
ბას: „ქალბატონო, მე აღმაფრთოვანა თქვენმა რომანმა „ძირს
იარაღი!“ რომელიც ბულგაკოვმა გამომიგზავნა... მონობის
გაუქმებას წინ უძღოდა ერთი მწერალი ქალის, ქ-ნ ბიჩერ
სტოუს სახელგანთქმული რომანი. ღმერთმა ქნას, რომ თქვენი
წიგნი გახდეს ომის გაუქმების მომასწავებელი...”

...ბერტა ზუტნერი გარდაიცვალა 1914 წლის 21 ივნისს.
ერთი კვირის შემდეგ სარაევოში მოკლულ იქნა ფრანც ფერ-
დინანდი, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაზად
იქცა. ბედმა დაინდო ბერტა ზუტნერი და არ შეასწრო თავი-
სი იმედებისა და ოცნებების სრულ გაცამტვერებას.

დღეს, როდესაც მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება
ყველა ხალხის უპირველესი და სასიცოცხლო მოთხოვნილე-
ბაა, მაღლიერების გრძნობით ვიგონებთ ავსტრიელ მწერალ
ქალს, რომელმაც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე შეს-
წირა ამ კეთილშობილური საქმისათვის ბრძოლას.

გერმანული რომანი ქართულ თემაზე *

წარსულში საქართველო მრავალ უცხოელ მოგზაურს, სწავლულსა და მწერალს ავად თუ კარგად, სწორედ თუ მცდარად აღუწერია. მეტწილად ეს იყო ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ერთი სიტყვით, მეტ-ნაკლებად მეცნიერული აღწერილობა. მხატვრული ნაწარმოებები კი თითზე ჩამოსათვლელია (ანდრეას გრიფიუსის „ეკატერინე ქართველი“, კნუტ ჰამსუნის პიესა „თამარ მეფე“, ბერტოლტ ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრე“ და სხვები).

ამიტომ ქართველი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესოა გერმანელი მწერლის გუნდაკარ ფონ ზუტნერის რომანი ქართულ თემაზე „დარეჯანი“, რომელიც გერმანიაში გასული საუკუნის მიწურულში გამოსულა.

ამჯერად მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ გ. ზუტნერის რომანს „დარეჯანს“, რომლის ქვესათაურია: „მეგრულ ზნე-ჩვეულებათა სურათი“.

* A. Gundaccar von Suttner, „Daredjan. Mingrelisches Sittenbild,“ zweite durchgearbeitete und verbesserte Auflage, Dresden und Leipzig, E. Pierson's Verlag, 1896.

აქაფებული ენგური ხმაურითა და ზათქით მოაგელვებდა ტალღებს „ათასი ნაკადულის ქვეყანაში“, ბუნების ყველა სიმდიდრით დაჯილდოებულ სამეგრელოში. — ასე იწყება რომანი, რომელშიც დარეჯან გობაშვილის ცხოვრებაა მოთხრობილი.

პატარა დარეჯანი სამეგრელოს ბუნების წიაღში იზრდებოდა. დედა ადრე მოუკვდა. მამა — გაღატაკებული აზნაური იასონი დილიდან საღამომდე საშოვარზე იყო. ბავშვების მეთვალყურეობა უმწეო, დაუძლურებულ ბებიას ევალეობდა. დარეჯანი წამოიზარდა და მამამ ქალაქის (საფიქრებელია ქუთაისის, რადგან თბილისი მეორე, სხვა ქალაქად არის დასახელებული) ერთ-ერთ პანსიონში მიაბარა. აქ დაუმეგობრდა მანანა დილარიანს, რომელმაც ქალაქის არისტოკრატიულ წრეში შეიყვანა, დაუახლოვდა თავადის ასულებს ნინო პახაძესა და ჩაბელიანს. დარეჯანი გაიტაცა გარეგნულად ბრწყინვალე, ქეიფითა და დღესასწაულებით სავსე, მაგრამ შინაგანად ფუყე მალალი წრის ცხოვრებამ. მოულოდნელად ბებია გარდაეცვალა და სოფელში გაემგზავრა.

სოფელში ენგურზე ხიდის ასაგებად ჩავიდა ინჟინერი ივანე გოლცმანი. მისი საუბარი ყოველთვის ფულის გარშემო ტრიალებდა, ბანკში 100 ათასი მანეთი ჰქონდა. გოლცმანი უსახურიც იყო, მაგრამ მდიდრული ცხოვრების იმედით დარეჯანი მაინც მისთხოვდა. ქორწინების შემდეგ თბილისში ჩამოდიან. ზუტნერი აღწერს მე-19 საუკუნის თბილისს.

გოლცმანმა გზა უნდა გაიყვანოს მთებში. ოსთა ბატონი ლევანი, საქართველოს უძლევამოსილესი ფეოდალი, აძლევს დაკვეთას. მას დარეჯანი შეუყვარდება. ამ ნიადაგზე გოლცმა-

ნსა და ლევანს შორის დღელი იმართება. მთავარი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. დარეჯანი შიშისაგან ლოგინად ჩავარდა. კრუნჩხვა დაეწყო, ლევანი პეტერბურგს წავიდა ცოლ-შვილთან, გოლცმანი და დარეჯანი სამეგრელოში დაბრუნდნენ.

მალე გოლცმანს სამუშაო გამოუჩნდა დაღესტანში და ცოლი სიმამრის სახლში დატოვა. სოფელში ფრანგი მხატვარი ფერნანდ დორვეი ჩამოვიდა სამეგრელოს ულამაზესი ბუნების დასახატავად. დარეჯანსა და მხატვარს ერთმანეთი შეუყვარდათ. ფერნანდი დახატავს დარეჯანს, მეგრელი გლეხი ქალის ტანსაცმელში, ფეხშიშველს... ავტორი წერს: „მას ევროპაში ბევრი გაეგონა კავკასიური სტუმართმოყვარეობის შესახებ, მაგრამ აქ ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ დასავლეთში ეს სტუმარ-მასპინძლობა გაცილებით მკრთალად აღეწერათ მისთვის“. მთელ დღეებს ისინი ბუნების წიაღში ატარებდნენ. ცხენებით სეირნობდნენ. მოულოდნელად ფერნანდმა საფრანგეთიდან დეპეშა მიიღო, ბიძას დამბლა დაეცაო. იგი სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. ამ დროს გოლცმანიც ჩამოვიდა დაღესტნიდან და მათი უკანასკნელი პაემანი ვერ შედგა.

მალე ცოლ-ქმარი თბილისში გადასახლდებოდა. დარეჯანი ეძებს შესაფერ ბინას, ავტორი წერს: „ელეგანტურ რაიონში, სალალაკში (სოლოლაკში, — ნ. კ.) ყველა ბინა გაქირავებული იყო და დარეჯანმა ბოლოს გადაწყვიტა, ექირავებინა სახლი მტკვრის ნაპირას; შესანიშნავი სანახაობა იშლებოდა ტერასიდან. მთელი თბილისი მოჩანდაო, დასძენს გ. ზუტენერი.

გოლცმანი რომელიღაც კანცელარიაში მუშაობს. დარეჯანი აწყობს წვეულებებს, დადის თეატრში. ზაფხულობით

ბორჯომში ისვენებს, შაბათობით გოლცმანი ჩადის მის სანახავად. დარეჯანს მოეჩვენა, რომ ფეხმძიმედ იყო, ქმარს ახარა, ამის შემდეგ გოლცმანს სხვა საფიქრებელი არ ჰქონდა: არარსებული ბავშვისათვის სათამაშოებსა ყიდულობდა. ერთხელ გოლცმანს ბორჯომში ბინა ცარიელი დახვდა, ცოლი საცეკვაო მოედანზე აღმოაჩინა. აღშფოთდა, მივარდა დარეჯანს, აღმართა ხელი, მაგრამ ვიდაცის მძლავრმა მარჯვენამ შეაჩერა. იგი კინწისკვრით გააგდეს, დარეჯანმა კი ცეკვა განაგრძო.

ბორჯომიდან თბილისში ჩამოსულ დარეჯანს სადგურში ქმარი არ დახვდება. გოლცმანმა ბინა გამოიცვალა. სპარსულ უბანში, აბანოებთან ცხოვრობს. ახალი ბინა ჭუჭყიანი და დარიბულია. დარეჯანი თავის ძველ ნაცნობ ყარამანთან გაიქცევა. ყარამანმა და დარეჯანმა ბანქოს თამაში გააჩაღეს. ყარამანს ქონება შემოეფლანგა და სადღაც გადაიკარგა, ამის შემდეგ დარეჯანი მთლად დაეცა. მშვიერ-მწყურვალსა და ყველასაგან მიტოვებულს მხსნელად ბავშვობის მეგობარი ტაგუ მოევლინება და მამისეულ სახლში წაიყვანს. იასონი დამბლადაცემული და გონდაკარგული დახვდებათ. დარეჯანი დავრდომილ მამას არ შორდება, მთელი დღეები მღუშარედ, თვალგაშტერებული ზის, არაფერი ახარებს, ჩამოხმება. ბოლოს ღამით ქალი მდინარე ენგურში შედის და თავს იხრჩობს. მეორე დღეს მენავე ბეგლარი მის გვამს იპოვნის.

როგორც ვხედავთ, რომანის სიუჟეტი საკმაოდ ტრაფარეტულია. ეს არის, თუ შეიძლება ითქვას, უცხოურ ლიტერატურაში გაცვეთილი, ქართულად შეფერილი სიუჟეტი. ის, რაც ამ რომანშია აღწერილი — სიტუაციები, ეპიზოდები, ცხოვრების წესი — უფრო ევროპული სინამდვილისათვის არის დამა-

ხასიათებელი, ვიდრე ქართულისათვის. ზუტენერის მიერ ასახულ ქართულ ნადიმებს ევროპული მეჯლისებისა და ბანკეტების იერი დაჰკრავს, ხოლო ლევანის სასახლე ევროპული ტიპის სასახლეს ჰგავს. რომანში გამოყვანილი მესტიერე უფრო შუა საუკუნეების ფრანგ მენესტრელს მოგვაგონებს, ვიდრე მე-19 საუკუნის ქართველ მემუსიკეს.

ავტორს მრავალი რამ მექანიკურად გადმოაქვს ევროპიდან საქართველოში. დარეჯანი არ არის ქართველი ქალის ტიპი. ის უფრო ევროპულ ლიტერატურაში გავრცელებული ქალის — ვამპირის თარგზეა გამოჰრილი. რომანში ნახსენებია ლეჩხუმი, სვანეთი, სენაკი, აბასთუმანი, ხევსურები, ერთგან მოხსენებულია „დიდი თამარი“ (იგულისხმება თამარ მეფე). ზუტენერი სხვადასხვა ადგილას ახსენებს აზნაურს, შინაყმებს, ბაშლაყს, აბაზს, შაურს, ზურნას, ხშირად მეორდება მიმართვა, — „ბიჭო“ („ბიჩო“), თუმცა მისი მნიშვნელობა სწორად არ ესმის. არის აშკარა შეცდომებიც. ლოცვა ახსნილია, როგორც მსხვერპლის შეწირვა. „შტადტამბავიას“ ე. ი. „ქალაქის ამბები“ განმარტებულია როგორც „ქალაქის ქორები“, ასევე „დორფამბავიას“ — „სოფლის ქორები“.

ასეა თუ ისე, წიგნი მაინც მოწმობს ავტორის ინტერესს საქართველოსადმი და „დარეჯანის“ მნიშვნელობაც სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.

ზუტნერის მოთხრობა იონა მეუნარგიაზე*

არტურ გუნდაკარ ზუტნერის „დარეჯანს“ მოჰყვა მწერლის მეორე რომანი ქართულ თემაზე „აზნაური“. საქართველოშივე დაიწერა მოთხრობების კრებული „კავკასიის შვილები“ წიგნი I. ავსტრიაში დაბრუნების შემდეგ გუნდაკარ ზუტნერმა გამოაქვეყნა რომანი კავკასიელი მთიელების ცხოვრებიდან — „ჩერქეზები“. ამ რომანში აღწერილია კავკასიელი მთიელების ბრძოლა მეფის რუსეთის კოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ, აგრეთვე თვით მთიელთა შორის ატეხილი კინკლაობა და შუღლი. ამის შემდეგ მწერალი ბეჭდავს კავკასიურ რომანს „შამილს“ და „კავკასიის შვილების“ მეორე ტომს.

ამჯერად მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ „კავკასიის შვილების“ პირველ ნაწილს, კრებული იხსნება მოთხრობით — „ჩემი მეზობელი გუჯა“.

როგორც ცნობილია, იონა მეუნარგიამ ცოლ-ქმარი ზუტნერები 1884 წლის დეკემბერში სოფელ ცაიშში წაიყვანა, რათა მათ იქ ერთად ეთარგმნათ „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ და

* A. G. von Suttner, „Kinder des Kaukasus,“ Dresden und Leipzig, E. Pierson's Verlag.

გერმანულ ენებზე. ეს ამბავი მოთხრობილი აქვს ბერტა ფონ ზუტნერს თავის მოგონებებში. რადგან ცოლ-ქმარმა ქართული იმდენად არ იცოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რთული ტექსტი გაეგო, ამიტომ ი. მეუნარგია მათ ფრანგულად ზეპირად სიტყვა-სიტყვით უთარგმნიდა ტექსტს; ხოლო ამ თარგმანის საფუძველზე ზუტნერები ცდილობდნენ მხატვრულად გაეშართათ „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ და გერმანულ ენებზე. თარგმნის პროცესში, — წერს ბერტა, — ჩვენს წინაშე ახალი და საინტერესო სამყარო გადაიშალაო. ქართველი ბარდის პოემის გაცნობასთან ერთად პატრიოტი მეუნარგია ბევრს მოგვითხრობდა თავისი სამშობლოს ბრწყინვალე წარსულზეო. ჩვენი მასპინძელი, — განაგრძობს ბერტა, — არა მარტო თავისი ქვეყნის ისტორიას გვაცნობდა, არამედ მას თავისი ხალხის ადამ-ჩვეულებების შესასწავლად დაცვადით ქორწილებზე, ნათლობებსა და ტირილშიო.

არტურ გუნდაკარ ზუტნერს მოთხრობაში — „ჩემი მეზობელი გუჯა“ — სწორედ თავისი ცხოვრების ეს ეპიზოდი გამოუყენებია. ამ მოთხრობის გმირია ქართველი ინტელიგენტი გუჯა, რომლის რეალურ პროტოტიპს აშკარად იონა მეუნარგია წარმოადგენს. მართალია, მოთხრობაში ბევრი დეტალი ზუსტად არ ემთხვევა რეალურად მომხდარს, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ მოთხრობის საფუძველი სინამდვილეს ეყრდნობა.

მოქმედება ხდება თბილისში. ავტორთან სტუმრადაა მისი ქართველი მეგობარი გუჯა. გუჯას ექვსი წელი შტრასბურგში გაუტარებია, აქ მიუღია უმაღლესი განათლება. მას ერთხანს პარიზშიც უცხოვრია (ნამდვილად ი. მეუნარგია ცხოვრობდა და სწავლობდა ჯერ ორი წელი ჟენევაში, ხოლო შემდეგი ორი.

წელი პარიზში). გუჯა თხოვს ავტორს, გაჰყვეს მას თავის სოფელში და მასთან ერთად რედაქცია გაუკეთოს და დაამუშაოს გუჯას მიერ გერმანულად თარგმნილი „კავკასიური ხალხური სიმღერები და ანდაზები“ (როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანი“ შეცვლილია ხალხური სიმღერებით, — ამას გარდა, ი. მეუნარგიას „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად ჰქონდა თარგმნილი, მაგრამ არც ეს არაა მოკლებული რეალურ საფუძველს. ცნობილია, რომ ი. მეუნარგია ხალხური შემოქმედების ნიმუშებსაც აგროვებდა. იხ. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“ ტ. I. თბილისი 1954 წ. ს. ცაიშვილის წინასიტყვაობა). მოთხრობაში გუჯას შესახებ აგრეთვე ნათქვამია, რომ იგი არჩეულ იქნა სათავადაზნაურო ბანკის მდივნად (იგივე ს. ცაიშვილის ცნობით, ი. მეუნარგია არჩეული იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მდივნად. იხ. იგივე წინასიტყვაობა).

გუჯა და ავტორი მატარებელში სხედან და სამეგრელოს ერთ პატარა სოფელში მიემგზავრებიან (იგულისხმება ი. მეუნარგიას მშობლიური სოფელი ცაიში). გუჯას წინ თავისი თარგმანის ხელნაწერი უდევს და ავტორს უკითხავს, თან არეზე ფანქრით შენიშვნებს აკეთებს, საუბარში გუჯას რუსთაველის სიტყვები მოაქვს — „რასაცა გაცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“. გუჯა აქვე დასძენს „დიდებულია! — ეს ლექსი რუსთაველის სახელგანთქმული ეპოსიდანაა“ (რუსთაველის სიტყვები აქ თარგმნილია პროზაულად: „Was du gibst, das bleibt Dir erhalten, was Du behältst, das ist für ewig verloren“).

გუჯას თავისი თარგმანის გამოცემა სურს საზღვარგარეთ.

ავტორის გუჯას სოფელი ძალიან მოეწონა. ის აღტაცებით აღწერს მის ბუნებას და სოფელს პატარა სამოთხეს უწოდებს. მეგობრებმა ჩასვლისთანავე ვერ დაიწყეს მუშაობა თარგმანზე, რადგან დიდხნის უნახავ გუჯას ნათესავეები, მოყვრები და მეზობლები დაესიენ, ქეიფი ქეიფს მოსდევდა და დროსტარებას ბოლო არ უჩანდა. ავტორი შეძლებისდაგვარად გაურბოდა ქართულ სმას. როგორც იქნა, მეგობრები მუშაობას შეუდგნენ. გუჯამ საოცარი შრომის უნარი და გულმოდგინეობა გამოიჩინა. საათობით უჯდა იგი თავის ხელნაწერს, მოთმინებით ისმენდა ავტორის შენიშვნებსა და კრიტიკას და დაუღალავად ასწორებდა, შლიდა, კვლავ წერდა და აზუსტებდა ტექსტს. კვირაობით მეგობრები სანადიროდ დადიოდნენ, ანდა ბუნების წიაღში დაეხეტებოდნენ (უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში სოფ. ცაიშში გუნდაკარ ზუტნერი მარტო არ ყოფილა, მას თან ახლდა მეუღლე ბერტაც და ისინი ერთად ეხმარებოდნენ იონა მეუნარგიას. მოთხრობაში კი ავტორის მეუღლე საერთოდ არ ჩანს.).

ამის შემდეგ გავიდა ორი წელი. ავტორი უკვე თავის სამშობლოში — ავსტრიაში იმყოფებოდა. მოულოდნელად მას გუჯა გამოეცხადა, რომელსაც ხელში მათი კოლექტიური შრომის პროდუქტი ეჭირა, უკვე წიგნად დაბეჭდილი.

მოთხრობას პარალელურ ხაზად გასდევს გუჯას სასიყვარულო ამბავი, რომელსაც მოთხრობის მთავარი გმირი ავტორს უყვება. ნაწარმოების მიხედვით, გუჯას მეგობრის ცოლი უყვარდა, მაგრამ, რასაკვირველია, ამ გრძნობას არავის უმხელდა, არც თვით ქალს. ქალს ქმარი გარდაეცვალა. გუჯა არც ამჯერად ამჟღავნებს თავის გრძნობას და ქალთან ურთიერ-

თობაში მეგობრობის ფარგლებს არ ცილდება. ქალი მეორე-
ჯერ თხოვდება. ხდება ისე, რომ ამ ქალს მეორე ქმარიც გარ-
დაეცვლება. გუჯა ვერც ახლა ბედავს თავისი გრძნობის გამხე-
ლას. ქალი მესამეჯერ თხოვდება. როდესაც ქალს მესამე ქმა-
რიც გარდაეცვლება, მხოლოდ ახლა გაბედავს გუჯა ამდენი
ხნის გულით ნატარები სიყვარულის გამხელას, მაგრამ ქალი
ახლოსაც არ მიიკარებს, ამდენხანს სად იყავიო. გუჯა ცოლად
თხოულობს თავის სოფელს გლეხის გოგოს, გაცილებით მას-
ზე უმცროსს, ლამაზ ტასიას. საზღვარგარეთ ავტორს გუჯა
თავისი ცოლითურთ ეწვევა. ავტორი აღნიშნავს, გუჯას მეუ-
ღლე ისეთი მშვენიერი და მომხიბლავი იყო, რომ დიდხანს
მასთან დარჩენა სახიფათო იყო; — მეშინოდა, მეც არ შემ-
ყვარებოდაო. ასე მთავრდება მოთხრობა.

როგორც ირკვევა, არც ეს რომანტიკული რომანი არაა
მოკლებული რეალურ საფუძველს. ი. მეუნარგიას უახლოესი
ნათესავეების გადმოცემით და განსვენებული მკვლევარის სო-
ლომონ ცაიშვილის პირად არქივში დაცული მასალების მი-
ხედვით (ეს ცნობები მოგვაწოდა ს. ცაიშვილის ვაჟმა სარგის
ცაიშვილმა), დასტურდება, რომ ზუტნერის მიერ აღწერილი
ეს ამბავიც მეტნაკლებად ფაქტებს ემყარება. ოღონდ უნდა
აღინიშნოს, მართალია, ი. მეუნარგიამ თავისზე გაცილებით
უმცროსი ქალი შეირთო, მაგრამ ის არ იყო უბირი გლეხის
ქალი, როგორც ეს ზუტნერის მოთხრობაშია.

ავტორის მიერ დახატული გუჯა (იონა მეუნარგია) ექსცენ-
ტრიული, სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანია, მას გან-
წყობილებათა სწრაფი ცვალებადობა ახასიათებს (ჩვენ არ ვი-
ცით, რამდენად შეესაბამება ეს ამ პერსონაჟის ორიგინალის—

იონა მეუნარგიას ხასიათს). გუჯა უაღრესად კეთილი და თბილი ბუნების ადამიანია. სწორედ ეს ადამიანური სითბო და თითქოსდა ბავშვური გულუბრყვილობა იზიდავს ავტორს მასში.

და რაც მთავარია, ავტორი ამას საგანგებოდ აღნიშნავს, გუჯა ფანატიკურადაა შეყვარებული თავის სამშობლოზე, მის ისტორიასა და წარსულზე. აღტაცებით ლაპარაკობს ძველ ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანზე“. გუჯა ქართული კულტურისა და ლიტერატურის პროპაგანდისტად გვევლინება ევროპაში. იგი თავის დანიშნულებას სწორედ ამაში ხედავს. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ არტურ გუნდაკარ ზუტენერმა რეალისტურად და მართლად წარმოგვისახა იონა მეუნარგიას სახე.

ზუტნერის მოთხრობები საქართველოზე*

ავსტრიელი მწერლის არტურ გუნდაკარ ზუტნერის მოთხრობებში ძირითადად ასახულია XIX საუკუნის მიწურულის ქართული, უპირატესად, დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს სოფლის ცხოვრება. წინა წერილში ჩვენ შევეხეთ არტურ გუნდაკარ ზუტნერის „კავკასიის შვილების“ პირველ მოთხრობას, რომლის მთავარი გმირის პროტოტიპი ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია იყო. არანაკლებ საინტერესოა ზუტნერის დანარჩენი მოთხრობები.

მოთხრობაში „მეზობლები“ მოქმედების არეა სამეგრელოს ერთ-ერთი პატარა სოფელი, ზუგდიდის მახლობლად.

გერია და ანდრო მეზობლები იყვნენ. ისინი ჭაობიან ადგილას სახლობდნენ. გერიას დედ-მამა მალარიამ დაუხოცა. გერია გლეხი იყო, ანდრო კი აზნაური, მაგრამ ბავშვობაში მათ მეგობრობას ეს ხელს არ უშლიდა. ანდროს პატარა და ჰყავდა, მაიკო, ბავშვობაში ისიც სულ ბიჭებთან ერთად იყო, ერთად თამაშობდნენ და ერთად მწყემსავდნენ საქონელს. მაგრამ ბო-

* A. G. von Suttner, „Kinder des Kaukasus,“ Dresden und Leipzig, E. Pierson's Verlag.

ლო დროს მეზობლებს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა. გერი-
ასა და მაიკოს ერთმანეთი შეუყვარდათ. მაიკოს ნათესავები
და თვითონ ანდროც თაკილობდნენ უბირი გლეხის სიძობას, და
ბავშვობის მეგობრობა მტრობაში გადაიზარდა. გერიას უარი
უთხრეს კალანიას ქალის გატანებაზე (ჩვენ ვფიქრობთ, ზუტ-
ნერი შეცდომით წერს, უნდა იყოს კალანდია).

ზუგდიდში ყოველწლიურად, აღდგომის ორშაბათს დიდა
დღესასწაული იმართებოდა; ეწყობოდა მარულა, ცეკვა-თამა-
ში, ქეიფი; ამ დროს მახლობელი სოფლებიდან უამრავი ხალხი
მოაწყდებოდა ხოლმე ზუგდიდს. იმ წელსაც, როდესაც მოქმე-
დება ხდება, ჩვეულებისამებრ ხალხი დღესასწაულობდა აღდ-
გომის ორშაბათს. ზუგდიდში ტევა არ იყო. აქვე იყო სახალხო
მომღერალი თავისი სტვირითურთ; ის მღეროდა იმპროვიზე-
რულ ლექსებს. დღეობაზე, რასაკვირველია, მაიკოს ოჯახიც იყო.
მომღერალი მიუახლოვდა მაიკოს და სტვირს ჩაბერა. მოულოდ-
ნელად მესტვირემ ხელში აიტაცა მაიკო და ბუჩქებში შევარ-
და. კალანიებმა ქალის კვალს ვეღარ მიაგნეს. როგორც ჩანს,
მესტვირემ (ყველასათვის ცხადი გახდა, რომ იგი გადაცემული
გერია იყო) და მისმა მეგობრებმა მახლობელ უღრან ტყეს შე-
აფარეს თავი. ამის შემდეგ გავიდა კარგა ხანი. გერია ცდილობ-
და შუამავლების მეშვეობით კალანიების ოჯახს შერიგებოდა,
მაგრამ აზნაურებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. ერთხელ
ვიღაც კოჭლმა გოგომ მიირბინა ანდროსთან და აუწყა — შენი
და უკანასკნელ დღეშია, მგონი, მშობიარობას გადაყვეს და შე-
ნი ნახვა ისურვაო, — მე და არ მყავსო, — ჩვეული სიჯიუტით
მიუგო ანდრომ.

...გამოხდა ხანი. სოფელში ყაჩაღობა გახშირდა. ხან ერთის

ცხენი დაიკარგებოდა, ხან — მეორის. ეჭვი მიიტანეს გერიაზე, რომელიც უდრან ტყეში, მივარდნილ ადგილას ერთ პატარა ფაცხაში ცხოვრობდა. კალანიების ოჯახიც გაძარცვეს. მაშინ ზუგდიდიდან ჯარისკაცები გამოიწვიეს და გერიას შესაპყრობად გაემართნენ. ჯარისკაცებს წინ დამბაჩაშემართული ანდრო მიუძლოდა. გერიას ალყა შემოარტყეს, ატყდა სროლა. როდესაც ჯარისკაცები ფაცხას მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ ვილაცის საფლავს სასიკვდილოდ დაჭრილი გერია გადამხობოდა. ეს იყო მაიკოს საფლავი.

მესამე მოთხრობის სათაურია „ბატონი გრეგორი“. მოქმედება ხდება კოჯორში. მოთხრობა შეეხება სომეხი ვაჭრების ცხოვრებას. მასში აღწერილია ამბავი, თუ როგორ შეუყვარდებათ ერთმანეთი საზღვარგარეთ განათლებამიღებულ სომეხ ინტელიგენტს გრეგორ ზარაკიანცსა და გერმანელ გუვერნანტ ქალს აგატე ფონ პუხტას.

შემდეგი მოთხრობა „საწყალი ვარდო“ ისტორიული მოთხრობა — ლეგენდაა. ერთ დროს სამეგრელოში ცხოვრობდა თავადი ვამეყი, დიდებულთა შორის უმდიდრესი და უძლიერესი. მაგრამ მისი ბედნიერება სრული არ იყო: ბავშვი არ ჰყავდა. მისი სიკვდილის შემდეგ ქონება საძულველ ნათესავებს უნდა დარჩენოდათ ყველაზე მეტად ეს აღარდებდა ვამეყს.

ერთხელ ვამეყის მეუღლე გამთენიისას აივანზე გამოვიდა და შენიშნა, რომ კიბეზე ვილაც გულწასული ეგდო. გულშელონებული მსახურებმა მოასულა. ის მათხოვარი მონაზონი აღმოჩნდა. მონაზონი უხვად დაასაჩუქრეს და გაისტუმრეს. ის ნელ-ნელა გაუყვავდა, გზას, მდელზე აყვავებული ვარდის ბუ-

ჩქი შენიშნა, შეჩერდა, მოწყვიტა ერთი ვარდი და უკან გამობრუნდა. ვამეყის მეუღლესთან მივიდა და ვარდი გაუწოდა. ეს შენ ბედნიერებას მოგიტანსო, — უთხრა მონაზონმა და უმაღლ გაცალა იქაურობას. ყვავილი ლარნაკში ჩადეს. რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონი ცუდად გახდა, ქალაქიდან ექიმში ჩამოიყვანეს. ქალი ფეხმძიმედ აღმოჩნდა. ვარდი, მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირის წინ იყო მოწყვეტილი, მაინც არ დაშკნარიყო. ქალბატონს ქალიშვილი შეეძინა. ბავშვს ვარდო დაარქვეს. მონაზონის მიერ მოწყვეტილი ვარდი დღენიადაგ ბავშვს ედგა თავთან. აღთქმის თანახმად, მშობლებმა ვარდი ახლად აშენებულ ეკლერში წაიღეს და იქ ლითონის ძვირფას კარადაში შეინახეს. მოვიდნენ მღვდელმსახურნი. აღავლინეს ცად ლოცვანი; შემდეგ ეპისკოპოსმა დააპირა ციდან წარმოგზავნილი სიმბოლო — ვარდი საზეიმო პროცესიით ეკლესიაში წაეღოთ. მაგრამ როგორც კი ხელი შეახო ლარნაკს, ვარდს უმაღ ფოთლები დასცივდა. ფოთლები აკრიფეს და ფრთხილად ვერცხლის სინზე დადეს; და როცა ვერცხლის სინი ეკლესიაში შეჰქონდათ, ქარმა დაუბერა და ვარდის ფოთლები წარიტაცა. ფოთლები პეპლებივით მიფარფატებდნენ და ბოლოს ღრუბლებში მიიმალნენ. დარჩა მხოლოდ გამხმარი ღერო, რომელსაც სასოებით ინახავდნენ. ორი წლის შემდეგ ქალბატონი მიიცვალა. პატარა ვარდო უამრავი გადიისა და ძიძის ხელში იზრდებოდა. ვარდოს ამხანაგებად ჰყავდა ძუძუმტე ლიპარიტი და ერთ-ერთი ძიძის ქალიშვილი მარო. ვარდოს ასწავლიდნენ: ქართულ ანბანს, გალობას, დაკვრას, აბრეშუმის ჰიის მოვლას, ქსოვასა და რთვას. ვამეყის სასახლეში მასხარას

როლს ასრულებდა ვინმე შელი (ალბათ, შელია). იგი ახალ-გაზრდობაში ხრამში გადავარდნილიყო და ხეიბარი გამხდარიყო. ვარდო ყველაზე ახლო ლიპარიტთან და შელისთან იყო. მამას იშვიათად ნახულობდა. როცა გოგონა წამოიზარდა, მამამ ცხენოსნობაც შეასწავლა. ლიპარიტსა და ვარდოს ერთმანეთი შეუყვარდათ. ვამეყმა ლატაკი აზნაურის შვილი სახლიდან გააგდო. ამიერიდან შელი შუამავლის როლს ასრულებდა ლიპარიტსა და ვარდოს შორის, ვამეყთან ვარდონ მთხოვნელები მოვიდნენ გურიიდან, თავადი ჭაიხოსრო ვაჟითურთ. ვარდო სარგისზე დანიშნეს, შელიმ ეს ვერ აიტანა, სარგისი მასხრად აიგდო და ვამეყმა ისიც გააძევა სასახლიდან.

გავიდა წლები. ვამეყი გარდაცვლილიყო. მის მიწებსა და ქონებას დაპატრონებოდა სარგისი, რომელიც უმოწყალოდ ფლანგავდა სიმამრის დანატოვარს. ვარდო დღითიღლე ილეოდა. იგი თითქმის სულ თავის პატარა სენაკში იჯდა და გარეთ არ გამოდიოდა. სარგისი თავის ჟინს სხვა ქალებთან იკლავდა. ერთ-ერთი ნადიმის დროს ბერად გადაცმულმა ლიპარიტმა ღამით ვარდო გაიტაცა. მათ შელისთან ერთად ტყეში დადგმულ ფაცხას შეათარეს თავი. ვარდო კვლავ ვარდივით გაიშალა. მაგრამ მათი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ლიპარიტი ხეს ამოფარებულმა სარგისმა ტყვიით განგმირა. ვარდომ და შელიმ ცხედარი ფაცხის გვერდით მიაბარეს მიწას. დარდისაგან დაბეჩავებული ვარდოც მალე გარდაიცვალა. შელიმ ორივეს საფლავზე ლოდი მიაგორა და ლოდზე დიდი გაჭირვებით ამოკვეთა შემდეგი: სიტყვები: „აქ არს ადგილი ჩემი განსვენებისა, აქ მსურს რომ დავშთე“.

ლოდზე აგრეთვე თეთრი ვარდია ამოკვეთილი. საფლავს

გარს უსიერო ტევრი აკრავს, მზის სხივიც კი ვერ აღწევს იქამდე. ამბობენ, ეს ქვა დღესაც იქ დევსო და, როდესაც გზააბნეული მგზავრი შემთხვევით ამ საფლავს წააწყდება, მაშინვე გაახსენდება ლიპარიტისა და ვარდოს ტრფობის სევდიანი ამბავი.

მოთხრობა „ქეთევანი“ კვლავ სამეგრელოს ცხოვრებას შეეხება. მოთხრობის მთავარი გმირია ახალგაზრდა ქეთევანი. მამამისმა დათამ მესამე ცოლი შეირთო, მაკრინე. დედინაცვალი გერზე უმცროსია, ამიტომ ფაქტიურად ოჯახის მოვლა-პატრონობა მთლიანად ქეთევანს აწევს კისერზე. მათ მეზობლად ცხოვრობს ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი კაცი სანართია. ქეთევანს უყვარს სანართია, მაგრამ სანართია მხოლოდ ქეთევანით როდი კმაყოფილდება, ის მაკრინესაც ეარშიყება. მოულოდნელად სანართია მაკრინეს გაიტაცებს ტყეში. დამწუხრებული ქეთევანი ყველას უარს ეუბნება ცოლობაზე. სანართია ყაჩაღობით ირჩენს თავს. მაგრამ ერთხელ, ცხენის მოპარვის დროს პატრონმა ესროლა და დაჭრა. სანართიას სამუდამო გაციმბირება მიუსაჯეს. ქეთევანი ვერ მოითმენს და სანართიას დილეგში ინახულებს, ჩუმად ქლიბსაც გადასცემს. ხიდთან, სადაც პატიმარი უნდა გამოატარონ, ქეთევანი დათას ცხენს დააბამს, ხიდზე ფულს მიმოაპნევს, ჯარისკაცების ყურადღება რომ მიიქციოს, თვითონ იქვე გაჩერდება. ჯარისკაცები მართლაც ფულს წაეტანებიან, სანართია შემთხვევით ისარგებლებს და გაიქცევა, ქეთევანი ჯარისკაცებს წინ გადაელობება. ერთი ტყვია ქეთევანს ხვდება. ქალი თოვლში ჩაიკეცება. მისი უკანასკნელი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები იყო:

„ჩემი ბიჭი!“ სანართია მდინარეში გადახტა, მაგრამ ლოდს და-
ენარცხა და იქვე განუტევა სული.

კრებულის უკანასკნელი მოთხრობაა „მარგალიტა“. აღდ-
გომის დღესასწაული იყო. ეკლესიიდან გამოსული ხალხი მოე-
დანზე ზიშნიმებდა. ისმოდა შეძახილები: „ქრისტე აღსდგა!“
ქალები და კაცები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ.
უცებ ხმაური მიწყდა, ყველამ მოწიწებით უკან დაიხია და
მზერა ეკლესიის კარებს მიაპყრო. ეკლესიიდან, მღვდლელებისა
და მამაკაცების გუნდის თანხლებით მაღალი ბანოვანი გამოვი-
და. „თავადის ქალი მარგალიტა!“ „თავადის ქალი მარგალი-
ტა!“ ისმოდა ყოველი მხრიდან. მარგალიტას ქმარი ნადირობი-
სას ერთ მეგობარს შემოკვდომოდა შემთხვევით.

... გახურებული სმა რომ დაიწყო, მარგალიტა ჩუმად წამო-
დგა და გაიპარა. დერეფანში ვიღაც წინ გადაუდგა. ჩაბალახი
გადაიძრო და წითელი კვერცხი გაუწოდა. ქალის წინ იდგა მი-
სი ქმრის დაუძინებელი მტერი მანუჩარი, რომელსაც გაგიჟე-
ბით უყვარდა მარგალიტა. ქალმა უკმეხად მოიშორა ვაჟკაცი.
მარგალიტას მომაკვდავი ქმრის სიტყვები მოაგონდა, ვისაც
გინდა გაჰყევი, ოღონდ შემომფიცე, მანუჩარის ცოლი არ გახ-
დებიო.

მეორე დღით ნადიმებითა და ლხინით გადაქანცული მარ-
გალიტა მახლობელ ტყის პირას მოჰკრილ ხეზე ჩამოჯდა.
უცებ მასთან მანუჩარი გაჩნდა. მანუჩარის დაჟინებულ თხოვნა-
ზე, შემირიგდიო, ქალმა ცივი უარი უთხრა. კი მაგრამ რა და-
მიშლის, რომ ცხენზე შეგსვა და გაგიტაცო, — მანუჩარმა ვერ
მოასწრო ამ სიტყვების დამთავრება, რომ დამბახამ იქექა. გა-
მოჩნდა მარგალიტას ბიძა ზურაბი. დაქრილი მანუჩარი იქვე

ბალახებში ჩაიკეცა. შეშინებული მარგალიტა დაქრილთან მიიქრა და შერიგების ნიშნად შუბლზე ეამბორა.

...კვლავ ზარები რეკდნენ, კვლავ აღდგომა დღე იყო, ეკლესიიდან გამოფენილმა ხალხმა ისევ მოწიწებით დაუთმო გზა თავადის ქალს მარგალიტას, რომელსაც ამჯერად გვერდით ახოვანი ვაჟკაცი მოჰყვებოდა. „ქრისტე აღსდგა!“ ჩურჩულით უთხრა მამაკაცმა ქალს. მარგალიტამ სიყვარულით გადახედა მანუჩარს. „თავადის ქალი მარგალიტა!“ გაისმა ყოველი მხრიდან. „რა ლამაზია, რა მდიდარი, რა ბედნიერი!“

ცნობილია, რომ გუნდაკარ ზუტნერის კავკასიურმა მოთხრობებმა და რომანებმა ევროპაში საკმაო პოპულარობა მოიპოვეს. იმდროინდელ გერმანულ პრესაში არაერთი დადებითი რეცენზია დაიწერა ავსტრიელი მწერლის ამ ნაწარმოებებზე, ლიტერატურულმა კრიტიკამ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ გუნდაკარ ზუტნერის რომანებსა თუ მოთხრობებში შესანიშნავად იყო აღწერილი საქართველოს ბუნება. თვითონ გუნდაკარის მეუღლე, ბერტა თავის „მემუარებში“ სამართლიანად და ობიექტურად შენიშნავს: ჩემს ქმარს არ ეხერხებოდა თავის პროზაში ხასიათების გამოძერწვა, სიუჟეტის საინტერესოდ წარმართვა, პოეტური გამოგონება. ამიტომ, — დასძენს ბერტა, — მან ვერ დატოვა შესამჩნევი კვალი ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ შეუღარებელი იყოო ბუნების აღწერაში.

არტურ გუნდაკარ ზუტნერის მოთხრობები საინტერესოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ზუტნერი შეძლებისდაგვარად ცდილობს, ყველგან ზუსტად დაიცვას ლოკალური კოლორიტი. ევროპელები მისი ნაწარმოებების საშუალებით ეცნო-

ბოდნენ ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს, ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, საქართველოს ბუნებასა და ლანდ-შაფტს. და შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ როდესაც ალფრედ ნობელმა ზუტნერები საკმაოდ ცნობილ მწერალ ქალს ეულიეტა ადამს გააცნო, ამ უკანასკნელმა გუნდაკარს განუცხადა: თქვენ ძალიან მესიმპატიურებით, რადგან ქვეყანა, რომელიც თქვენს წიგნებში ასე ჩინებულად აღწერეთ, ჩემთვის მეტად მიმზიდველიაო. ასევე დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ნამყოფი ცნობილი გერმანელი მწერალი ფრიდრიჰ ბოდენშტეტი სწორედ გუნდაკარ ზუტნერის ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ დაინტერესდა ავსტრიელი მწერლების გაცნობით.

გუნდაკარ ზუტნერის მოთხრობების პირველ წიგნში ძირითადად ასახულია XIX საუკუნის მიწურულის ქართული, უბირატესად დასავლეთ საქართველოს, კერძოდ მეგრული სოფელი.

ქართული კოლორიტის შესანარჩუნებლად ავტორი ხშირად მიმართავს და უცვლელად იყენებს სპეციფიკურ ქართულ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორიცაა მაგალითად: „შენი ჭირიმე“, „მაწონი“, „ძიძა“, „მორდუ“, „ძღვენი“, „კოკა“, „ქილა“, „ჩონგური“, „ჩოხა“, „ჭადი“, „ქალამანი“, „ბიჭო“, „ფერხული“, „დილა მშვიდობისა“, „ქრისტე აღსდგა“, „თამაშა“, „მრავალეამიერი“, „ბაშლაყი“, „აბაზი“, „შაური“, „მწვადი“, „დეგები“, „ოჩოკოჩი“, „ჭიაკოკონობა“, „როკაპი“, „კაბა“, „ჩემი ბიჭი“, „ჩემი ცოდვა“ და სხვა (უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სიტყვა გერმანულ დედანში ოდნავ დამახინჯებულადაა გადმოცემული).

ავტორი ვრცლად ხსნის და განმარტავს „შენი ჰირიმეს“ მნიშვნელობასა და მის ნიუანსებს (მოთხრობა „ჩემი მეზობელი გუჯა“).

დაწვრილებითაა აღწერილი აგრეთვე მეგრული ტირილი მოთხრობაში „ქეთევანი“. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი მელიტონი. ვრცლადაა გადმოცემული ყურისწამლები კივილი, მოტირალი ქალების ზარი, მოთქმით დატირება. მაგალითად, ერთ-ერთი მოზარე ასე კოლორიტულად მოთქვამს: „რავა მიატოვე შენი სახლკარი, მელიტონი ვინ ატარებს აწი შენ ჩოხა-ახალუხს, ვინ იმღერებს აწი შენ მაგივრად მრავალჯამიერს? არა, არა, მელიტონი მკვდარი არაა, შვილებს რავა გამოჰკრიდა ყელს? მისი შეკაზმული ცხენი ფეხებს აბაკუნებს! გესმის, მელიტონ? — და ა. შ. მოზარეთა მოთქმას ერთვოდა ქალების კივილი „უი, უი, უი, ბაბა, ბაბა, ჩემი ცოდვა“ — მეგობარი კაცი ასე ტიროდა მელიტონს: „ამას რას ხედავს ჩემი თვალები? რა მოხდა! მეგობარო, შემოგვხედე! მელიტონ. რავა წოუკიდე შენს ოჯახს ცეცხლი“ და ა. შ.

ასევე რეალისტურადაა აღწერილი ქართული ღვინო, პურობა, რელიგიური დღესასწაული, დღეობა, ჯარობა, ჭიკოცონობა და სხვ.

როგორც ვხედავთ, გუნდაკარ ზუტენერის დამსახურებაა ევროპელთათვის საქართველოსა და ქართველი ხალხის გაცნობა. ჩვენ მაღლიერების გრძნობით უნდა მოვიგონოთ უცხოელი მწერალი, რომელიც დიდი სიყვარულითა და სითბოთი აღწერდა ჩვენი ქვეყნის ადამიანებსა და ბუნებას.

„კავკასიის შვილების“ მეორე წიგნი *

ისევე როგორც „კავკასიის შვილების“ პირველ წიგნში, მოთხრობების ამ მეორე კრებულშიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სინამდვილეა ასახული.

პირველი მოთხრობა — „ბიზონებისა და დომბების მხარეში“ კომპოზიციურად წარმოადგენს ორ მეგობარს შორის მიმოწერას. გრაფი ანტონ ექსლებენი ვენაშია, ბარონი ვილდერიჰ ანდრულატი კი თბილისში იმყოფება და ამათი წერილები შეადგენს მოთხრობის საკუთრივ შინაარსს. ბარონი ვილდერიჰ ანდრულატი პეტერბურგში საელჩოს მდივნად მუშაობს და შვებულების დროს თბილისში ჩამოდის. გრაფი ანტონ ექსლებენი ამ ამბავს რომ შეიტყობს, ძალზე გაოცდება, თბილისში რა გინდოდა, ვენაში გაგეტარებინა შვებულებაო. ვილდერიჰი ანტონს უსაყვედურებს, თქვენ მანდ ევროპაში ბუნდოვანი წარმოდგენაც არა გაქვთ გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიაზეო. ამის შემდეგ ვილდერიჰი ანტონს წერილობით აცნობს თბილისს: ამ ქალაქში ასიათასზე მეტი მცხოვრებია, აქ დაახლოებით სამოც ენაზე ლაპარაკობენ და ცნობილმა გერმანელ-

* A. G. von Suttner, „Kinder des Kaukasus,“ Neue Folge, Dresden und Leipzig, E. Pierson's Verlag. (გამოცემის წელი არაა მითითებული).

მა პოეტმა ფრიდრიხ ბოდენშტეტმა სწორედ თბილისელ ლამაზ-
მანებს უგალობაო.

ვილდერიჰი უხსნის მეგობარს საქართველოში გამომგზავ-
რების მიზეზს: მე ხომ ერთ დროს გულდასმით ვსწავლობდი
ესთეტიკას და ბაუმგარტენის მოწაფე და მიმდევარი ვიყავიო.
ახლა ვილდერიჰს ადგილზევე უნდოდა გაეცნო და შეესწავლა
მსოფლიოში სილამაზით სახელგანთქმული საქართველოს ბუ-
ნება.

გუნდაკარ ზუტენერი გესლიანად დასცინის იმდროინდელ
ევროპელთა გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ უმეცრებას. ან-
ტონ ექსლენი ვენაში შეეცდება დაადგინოს, თუ სად მდებარეობს
თბილისი. მას ჰგონია, რომ თბილისი ინდოეთშია,
რადგან ვილაცას მისთვის ავტორიტეტულად განუცხადებია:
თბილისს რომ მიაღწიო, კალკუტა უნდა გაიაროო.

თბილისში დაუმეგობრდება ვილდერიჰი ქართველ თავადს,
ვინმე გიორგი ჩინაძეს (იქნებ ჭიჭინაძეს?) გიორგი კარგად
ლაპარაკობს ფრანგულად და გერმანულად, მას უმაღლესი
განათლება ჰაიდელბერგში მიუღია. ერთ საღამოს ისინი იტა-
ლიურ ოპერაში წავიდნენ. აქ ვილდერიჰი ულამაზეს ქართველ
ქალს შეხვდება. ეს არის თავადის ქვრივი მარიამი. ავსტრიელ
ბარონს თავდავიწყებით შეუყვარდება ქართველი ქალი; თან
ახლავს ხოლმე ბოტანიკურ ბაღსა და მუშტაიდში (მუშტაიდს
ასე უხსნის თავის მეგობარს: მუშტაიდი დაახლოებით ამათი
პრატერია ანდა Bois de Bologne-ო¹). ვილდერიჰი ქართული

¹ პრატერი ვენის ცნობილი პარკია, Bois de Bologne კი — პარიზის
სახელგანთქმული „ბულონის ტყე“.

კულტურისა და ისტორიის შესწავლას დაიწყებს. სპეციალურად სწავლობს ქართულ ენასაც (მასწავლებელს დაიჭირავენ). დადის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში.

ბარონ ანდრულატს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა ულრან ტყეებში იშვიათ ცხოველებზე ნადირობა (აქედან მოთხრობის სათაური: „ბიზონებისა და ღომბების მზარეში“). მაგრამ მარიამის სიყვარულმა ყველაფერი გადაავიწყა.

მარიამი განათლებული და ინტელექტუალური ქალია. ისინი ერთად უკრავენ ხოლმე მუსიკას და ერთად კითხულობენ წიგნებს... ბოლოს, ბარონი ვილდერიჰ ანდრულატი და მარიამი დაქორწინდებიან.

მოთხრობაში ნახსენებია ვინმე ოფენბახის წიგნი „ლამაზი ქართველი ქალები“; („Offenbach, „Die schönen Weiber von Georgien“). ჩვენ არ ვიცით, მართლა არსებობს ასეთი სახელწოდების წიგნი, თუ იგი მხოლოდ გუნდაკარ ზუტნერის ფანტაზიის ნაყოფია.

კრებულის მეორე მოთხრობაა „მეგრული ქორწილი“. მოთხრობაში დაწვრილებითაა აღწერილი ქართული ქორწილის ცერემონიალი. გლეხი შაბაია ჯვარს იწერს გლეხისავე ქალ ხანიკეზე. ზუსტადაა გადმოცემული ქართული, კერძოდ, მეგრული სოფლის ყოფითი დეტალები და აქსესუარები. თხრობაში ქარბადაა ჩართული სპეციფიკური ქართული და მეგრული ტერმინები და სახელწოდებანი.

გუნდაკარ ზუტნერი ამ მოთხრობაში ერთ მეტად საინტერესო დეტალს აღნიშნავს ხაზგასმით: რაგინდ მთვრალიც არ უნდა იყოს ქართველი, ფეხი მაინც არ აერევა, და ბარბაცს

არ დაიწყებდნო; სიმთვრალის გამომჟღავნება საქართველოში სირცხვილად ითვლებოდა.

მესამე მოთხრობაა „ჰაჯი ალა ყენდი და მისი ჩიბუხი“.

ავტორი თბილისში გაიცნობს მოხუცს ჰაჯი ალა ყენდის, რომელიც ქაბუხებით ვაჭრობდა; მისი ვიწრო „სპეციალობა“ ვარიკები იყო. ის ეზო-ეზო დადიოდა და ვარიებს ყიდდა. ავტორი ჰაჯი ალას მუშტარი გახლდათ. ერთხელ ჰაჯიმ ავტორი ბაზარში წაიყვანა, სარდაბაბადში და თავის დუქანში შეიყვანა. ჰაჯი ალა ამბის მოთხრობელს მოუყვა ერთ რომანტიკულ ამბავს. მთებში ერთ ქოხში ცხოვრობდა ბოროტი კაცი, რომელიც ყაჩაღობით ირჩენდა თავს, ჰყავდა პირმშვენიერი და სათნო ასული. ამ ბოროტ კაცს საქონლის გატაცებისას ერთი მთიელი შემოაკვდა ხელში. მოკლულის ვაჟმა გადაწყვიტა შურისძიება, თოფი შემართული ჰქონდა, ის-ის იყო უნდა ესროლა, რომ წინ ლამაზი ასული გადაუდგა და მამა გადაარჩინა. ჰაბუკი ერთხანს მონუსხულივით იდგა, მერე გაიქცა, თვალს მიეფარა. ყრმას მამის მკვლელის გოგონა შეუყვარდა, თავზე უფრო მეტად შეუყვარდა... ჰაბუკს ფიცი ჰქონდა დადებული, შური ეძია მამის მოკვლისათვის. მაგრამ სიყვარულმა ხელი ააღებინა შურისძიებაზე... და ერთხელ, როდესაც აბრაგი საყაჩაღოდ იყო წასული, ბიჭმა გადაწყვიტა ქალთან მისულიყო და სიყვარულში გამოტყდომოდა. მაგრამ ხეს ამოფარებულმა ბიჭმა დაინახა, რომ ვიღაც უცხო ჰაბუკი მივიდა ქოხთან, იქიდან ის ასული გამოვიდა და ქალ-ვაჟი ერთმანეთს ჩაეხვია. თავზარდაცემული ყრმა კვლავ გაშორდა იქაურობას. გამოხდა ხანი. ჰაბუკს გულმა არ მოუთმინა და ისევ ნაცნობ ქოხს მიაშურა; თავისდაუნებურად დაინახა, თუ როგორ მალავდნენ მოპარულ

ძროხასა და თხებს ქალის მამა, ის უცნობი ახალგაზრდა და ვიღაც ორი კაცი. ბიჭი შევარდა ქოხში და ქალი გაიტაცა. ქალი ჰკიოდა, ბიჭს სახეს აკაწრავდა, ბიჭმა ქალი ერთ გამოქვაბულში მიიყვანა, ხელ-ფეხი შეუკრა. დიდხანს იბრძოდა და ბორგავდა ქალი, მერე ტირილი დაიწყო, ხოლო გათენებისას ბიჭს აკოცა კიდეც... მაგრამ გოგონას შიოდა. ბიჭი საშოვარზე წავიდა. გოგომ გაპარვა გადაწყვიტა, სალ კლდეზე ფეხი დაუცდა და მთის აბობოქრებულ მდინარეში გადავარდა. მდინარემ ქალი გაიტაცა. ამის შემხედვარე ბიჭი უგონოდ ჩაიკეცა ნაპირას...

...ეს ბიჭი ჰაჯი აღა იყო... მოხუცი ქათმის ვაჭარი ფიქრებს წაეღო, გაოგნებული იჯდა და თვალი გაშტერებოდა.

შემდეგი მოთხრობა „ურტას მთასთან“ კვლავ სამეგრელოს ცხოვრებას ეხება. მოთხრობაში ასახულია სამსონ თავადიშვილის თავგადასავალი (ხშირად გუნდაკარ ზუტნერი თვითონ თხზავს ქართულ გვარებს. მას შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ თავადიშვილი გვარი არ იყო. ზუტნერმა ქართული ენა ასე თუ ისე იცოდა და საერთოდ თავის მოთხრობებში ამჟღავნებს ქართული ლოკალური კოლორიტის საკმაოდ კარგ ცოდნას). სამსონს მთის ფერღობზე შეფენილი ვენახები ჰქონდა.

სამსონის ცოლი მუცელს გადაჰყოლოდა. დედის დალუპვის მიზეზი — ეკა ახლა თექვსმეტი წლისა იყო. მას საგანგებო აღზრდა და განათლება არ მიუღია, მაგრამ ნამდვილ პრინცესას ჰგავდა, თანდაყოლილი თავის დაჭერა და ზრდილობა ჰქონდა. სამსონი მაინცა და მაინც თავს არ იწუხებდა ქალიშვილის აღზრდა-პატრონობით. ეკა თავისუფლად დახეტილობდა ტყე-

ღრეში. ერთხელ მას ჭაობში გზა დაებნა. სამშვიდობოზე მო-
ხუცმა გახუმ გაიყვანა, თავის ქოხში ღამე გაათევინა და მეორე
დღილით სამსონს ჩააბარა. ღამით გახუსთან ვიღაც კაცი მოვი-
და, როგორც ჩანდა, მას სამსონისათვის ცხენი მოეპარა, მაგრამ
ეკამ არ გასცა.

ამავე სოფელში ცხოვრობდა თავადაზნაურობის მარშლის,
მელიტონ გულაძის ვაჟი, ტარიელი, რომელსაც ეკა შეუყვარ-
და. ტარიელი უბადლო ცხენოსანი იყო. სამსონს კი თავისი
ქალიშვილი უნდოდა მიეთხოვებინა თავად სიმონიკა ჩირხაძისა-
თვის. სიმონიკა პეტერბურგში მსახურობდა ადვოკატად. ეკა
ტარიელთან ერთად გაიპარა აფხაზეთში...

ერთხელ სამსონთან მოვიდა ტარიელის ბიძა და მამას აუწყ-
ყა, რომ მისი ქალიშვილი ცუდად იყო და მამის ნახვას ნატ-
რობდა. გაწბილებულმა სიმონიკამ, რომელსაც სამსონზე გავ-
ლენა ჰქონდა, მამა არ გაუშვა ქალიშვილთან. მაგრამ შუალა-
მით, როცა ყველას ეძინა, სამსონს გულმა არ მოუთმინა და
ცხენით გააპარა ეკას სანახავად. რამდენიმე დღის შემდეგ სი-
მონიკა ჭაობთან ნახეს მკედარი (ალბათ, ტარიელმა მოკლა).
სამსონი შეურიგდა სიძესა და ქალიშვილს და ისინი ბედნიერად
ცხოვრობდნენ.

მოთხრობაში დაწვრილებითაა აღწერილი ლელოს თამაში.
გზადაგზა გვხვდება სპეციფიკური ქართული გამოთქმები და
სიტყვები: „ღევი“, „ქალბატონო“, „ბატონო“, „ძღვენი“, „ბათ-
მანი“, „შაური“, „თუმანი“ „ეშმაკი“, მოხსენებულია „ინგუ-
რი“, „სენაკი“, „ხეთა“, „ხევსურები“ და სხვ.

კრებულის მეხუთე მოთხრობაა „ლიზას ბედნიერება“. ეს
მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი. მოქმედება ხდება სა-

ქართველოში, გერმანელთა კოლონიაში. მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი ლიზა გერმანელი ქალია. მას ქმრად ჰყავს რუსი მოხელე ბოგდან მაქსიმოვიჩ კუბაკინი. პირველ პირში მოთხრობელი ავტორი ვინცენც ვესენბერგი გერმანელია. ბავშვობაში ლიზა და ის ერთად იზრდებოდნენ. ვინცენცს შეყვარებია ლიზა, მაგრამ ეს უკანასკნელი ბოგდან მაქსიმოვიჩს გაჰყოლია ცოლად. ვინცენცი საზღვარგარეთ წასულა სასწავლებლად. ლიზასთან მიმოწერას არ სწყვეტდა. ლიზა ბედნიერი იყო, მას პატარა გოგონა ჰყავდა. ვინცენცმა გერმანიაში სამედიცინო განათლება მიიღო.

წარმოშობით გერმანელს, ვინცენც ვესენბერგს ძალიან უყვარდა საქართველო, სადაც დაბადებულიყო და გაზრდილიყო. გერმანიაში სწავლისას მას საქართველოს სევდა შემოსწოლოდა. ვინცენცი ქართულად მშვენივრად ლაპარაკობდა. ხუთი წლის შემდეგ ვინცენცი კვლავ საქართველოში ჩამოდის. ჩამოსვლისთანავე ლიზას სანახავად გაეშურება. ლიზა აღარ იყო ბედნიერი. ბოგდანი ღალატობდა, ვიღაც ნინა-ივანოვნასთან ჰქონდა რომანი. ბოგდანი სამსახურის ფულს ფლანგავდა, ნინა ივანოვნას ახარჯავდა. ბოგდანს გააცემბირებენ. ერთგული ლიზა ქმარს თან გაჰყვება.

ამ მოთხრობაშიც გვხვდება ქართული სიტყვები: „ჩემო გიგო“, „ბიჭო“, „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...“ ნახსენებია მთა „ხვამლი“, რომელზედაც ავტორი შენიშნავს: „...იქიდან ჩანდა შავი ხვამლი, პირქუში მთა, რომელზედაც თქმულების მიხედვით მიჯაჭვული იყო ზეციური ცეცხლის მომტაცებელი; იგი იმისთვის იტანჯებოდა, რომ ადამიანები შემეცნებას აზიარა“.

კრებულის უკანასკნელი, მეექვსე მოთხრობაა „სულელი“ (მოთხრობას ზუსტად ასევე ჰქვია. ავტორი ქართულ სიტყვას „სულელს“ გერმანულად არ თარგმნის). ნაწარმოები სამეგრელოს სინამდვილეს ასახავს. ერთ-ერთ სოფელში თავად არჩილს ქვითკირის სასახლე ედგა. არჩილს საზღვარგარეთ ემოგზაურა, იქიდან მშობლიურ სოფელში უცხოური ავეჯი, მორთულობა და ძვირფასეულობა გამოეგზავნა. ბოლოს იგი სამშობლოში დაბრუნდა და დასახლდა კიდევ.

თავადს ერთ დღეს მთხოვნელები მოაწყდა. მთხოვნელთა შორის ლეჩხუმიდან ჩამოსული აზნაური სარგის გიბუიაცაა. სარგისს არჩილთან საჩუქრად გაწოთენილი შევარდენი ჰყავს მოყვანილი. ვიდრე მისი რიგი მოვიდოდეს, სარგისი ცხენზე შეჯდება, შევარდენს ხელზე დაისვამს და გაინავარდებს. უცებ უღრან ტყეში ბარდებსა და ეკლებში გახლართულ ახალგაზრდა ქალს შენიშნავს. ქალი სარგისს დახმარებას თხოვს. — თუ მაკოცნინებ, ტყვეობიდან დაგიხსნიო, — ეტყვის ვაჟი. ქალი შმაგდება: — შე სულელო, იცი, ვის ელაპარაკები, იცი, ვინა ვარო? — არც მაინტერესებო, — უპასუხებს სარგისი და წასასვლელად ცხენზე შეჯდება. ქალი კვლავ დაჟინებით თხოვს შევლას. ვაჟი ჯიუტობს, პირობის შესრულებას თხოვს. ქალი ბოლოს და ბოლოს თანხმდება და ვაჟს ლოყას მიუშვერს. სარგისი სწრაფად წაავლებს ხელს ქალს და ტუჩებში აკოცებს. ქალი წყევლა-კრულვით იშორებს ვაჟს. სარგისი ის-ისაა უნდა გაეცალოს იქაურობას, რომ უკნიდან ქალის წყნარი ხმა მოესმის: — სულელო, ცოტაზე შეგიძლია გამაცილო — ქალმა სარგისი გზად მოხუც თომას ქოხში შეიპატიჟა და გაუმასპინძლდა. ...გავიდა ხანი, სარგისი ამოდ ეძებდა ქალის კვალს. რამ-

დენიმე თვის შემდეგ სარგისი კვლავ ჩამოვიდა ლეჩხუმიდან და არჩილს ეახლა. ტყეში ნანახი ლამაზი ქალი უკვე არჩილის ცოლი გამხდარიყო...

ამის შემდეგ სარგისი მხიარული აღარავის უნახავს. ამ უეცარი გამოცვლის მიზეზი მის გარდა არავინ იცოდა.

ასე მთავრდება მოთხრობა.

ქართული ქალები ზუტნერის „შამილში“*

საქართველოდან სამშობლოში დაბრუნებულმა არტურ გუნდაკარ ზუტნერმა 1890 წელს გამოაქვეყნა რომანი „შამილი“.

ეს რომანი მრავალმხრივია საინტერესო. იგი ძირითადად არ ლაღატობს ისტორიულ სინამდვილეს და გვაფიქრებინებს, რომ მის ავტორს შეუსწავლია შამილზე არსებული დიდძალი ფაქტიური მასალა. ეს მასალა მას შეუსწავლია როგორც მიური-დიზმზე არსებული უცხოური ლიტერატურის მეშვეობით, ასევე ამ ამბის მომსწრეთა ზეპირი გადმოცემებითაც, როდესაც ავტორი საქართველოში იმყოფებოდა.

საფიქრებელია, ზუტნერი იცნობდა ა. დიუმას (მამის) წიგნს კავკასიაზე, აგრეთვე მაღამ დრანსეს წიგნს „შამილის ტყვე ქალები“, რომელიც ფრანგულად 1857 წ. დაიბეჭდა. სავარაუდებელია, რომ ავსტრიელ მწერალს უსარგებლია შამილზე არსებული სპეციალური ლიტერატურით: Fr. Wagner, Schamul, als Feldherr, Sultan und Prophet und der Kaukasus“,

* „Schamyl,“ Roman von A. G. von Suttner, Deutsche Verlags-Anstalt, Stuttgart, Leipzig, Berlin, Wien (გამოცემის წელი არაა მითითებული).

Leipzig 1854 (იხ. გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, აკაკი გაწერელის რედაქციით და შენიშვნებით, 1936, გვ. 248) და Czernell, „Der Kaukasus und seine Völkerschaften, deren Kämpfe etc., nebst einer Charakteristik Schamils“, Wien 1854.

რომანში ისტორიული და ნაციონალური კოლორიტის დაცვით საინტერესოაა მოთხრობილი კავკასიელ მთიელთა ბრძოლა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. დაწვრილებითაა გადმოცემული შამილის თავგადასავალი, მისი ბრძოლა პირველი იმამის ყაზი-მოლას მეთაურობით; ნაჩვენებია ყაზი-მოლას მოკვლა, შემდეგ ჰამზად-ბეგის ბელადად გახდომა. არ არის გამოტოვებული არც ხუნძახის ხანების ურჩობა, ამის გამო მათი გაჟლეტა, ბოლოს ჰამზად-ბეგის მოკვლა ჰაჯი-მურადის მიერ. ამის შემდეგ შამილი იმამი ხდება და მთიულების ბრძოლას სათავეში ჩაუდგება.

ზუტნერის მიხედვით შამილს სამი ცოლი ჰყავდა ¹ (ასეთივე ცნობას გვაწვდის აგრეთვე დრანსეც. იხ. „Пленницы Шам-иля“, Воспоминания Г-жи Дрансэ, Тифлис, 1858)

რომანში აღწერილია შამილის უფროსი შვილის ჯემალ-ედინის ტყვედ ჩავარდნა ერთ-ერთ ბრძოლაში (ზუტნერი წერს ჯელალ-ედინს).

მეტნაკლები ისტორიული სიმართლითაა აგრეთვე გადმოცემული ჰაჯი-მურადის თავგადასავალი. დაწვრილებითაა მოთხრობილი შამილის შვილის გაცვლა ქართველ ტყვე ქა-

¹ სინამდვილეში შამილს რვა ცოლი ჰყოლია (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, აკაკი გაწერელის რედაქციითა და შენიშვნებით, 1937, გვ. 306-307).

ლებზე, მაგრამ ამაზე დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ. რომანში გაკვრითაა აღნიშნული ისიც, რომ შამილის ვაჟი დაავადდა და მალე გარდაიცვალა. მოკლედ გადმოცემულია აგრეთვე დამარცხების შემდეგ შამილის გამგზავრება მექაში.

მაგრამ ამჯერად ჩვენ რომანში გვინტერესებს ქართველ ქალთა სახეები, რომელთაგან ზოგიერთი ისტორიულ პირს წარმოადგენს, ერთი კი ავტორის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს.

ეს უკანასკნელი არის რომანის მთავარი გმირი — ირინე სულხიძე (ქალის გვარი ავტორის მიერ მოგონილი ჩანს, ანდა ზუტენერი რომელიღაც სხვა გვარს ამახინჯებს).

ირინე, ზუტენერის აღწერით, ულამაზესი ქალია; იგი აგრეთვე მტკიცე ნებისყოფისაა და სულგრძელი. შამილი მას პატივისცემით ექცევა. ერთხანს ცოლად უნდა ქართველი თავადის ასული, შემდეგ რძლად მოინდომებს (ჯემალ-ედინის მეუღლედ), მაგრამ ირინე სასტიკ უარზეა, თავი ღირსეულად უჭირავს. ის სულ 18 წლისაა, მაგრამ ხანდაზმული ადამიანის გამჭრიახობასა და გონიერებას იჩენს. ქართველ ქალიშვილს აღზრდა თბილისში მიუღია.

შამილის ტყვეობაში მოხედება პოლონელი რომან ბოლკოვსკი. რომანი წარმოშობით გრაფია; მამამისი იარაღით ხელში იბრძოდა პოლონეთის თავისუფლებისათვის; შვილიც მამის კვალს გაჰყოლია, დაუჭერიათ და კავკასიაში მოქმედ ჯარში ჯარისკაცად გაუმწესებიათ. რომანსა და ირინეს ერთმანეთი შეუყვარდებათ. შამილი ტყვეების ტრფობის ამბავს შეიტყობს, მაგრამ საოცარ სულგრძელობასა და კეთილშობილებას იჩენს, მათი უბრალო დატუქსვით კმაყოფილდება. ბოლოს შამილი

ბოლკოვსკის ირინეს მამასთან აგზავნის მოსალაპარაკებლად, რუსებმა ჩემი შვილი დამიბრუნონ და წე ირინეს გავათავისუფლებო. ირინეს მამის ცდა ამოა გამოდგა. რომანი სატრფოს მამის სახლში ცხოვრობდა, სარგებლობდა ირინეს მდიდარი ბიბლიოთეკით. წიგნების კითხვისას რომანი ხშირად აწყდებოდა ირინეს მიერ გახაზულ ადგილებს და შენიშვნებს არეზე. მას შემდეგ, რაც ირინეს მამამ პეტერბურგიდან საბოლოო უარი მიიღო, ბოლკოვსკი კვლავ შამილის რეზიდენციაში დაბრუნდა. რომანი და ირინე გადაწყვეტენ ღამით გაპარვას, მაგრამ მათ შეიპყრობენ. მეორე დღისათვის შამილი სასამართლოს დანიშნავს. შეყვარებულებს თავი განწირული ჰგონიათ, მაგრამ მოულოდნელად შამილი საარაკო სულგრძელობას გამოიჩენს; ორ ცხენს მოაყვანინებს, შეყვარებულებს შესვამს და გზა მშვიდობისას უსურვებს. ...რომანისა და ირინეს ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე სასიძოს დახურული პატარა ყუთი გადასცეს, რომელიც ვიღაც უცხო კაცს მოეტანა. ყუთში ოქროთი და ვერცხლით მოოჭვილი ძვირფასი ქსოვილი აღმოჩნდა. ეს იყო შამილის საჩუქარი. მეფის ნაცვალმა ვორონცოვმა რომანს მამული უბოძა ყირიმში, ალუპკაში. მახლობლად ვორონცოვის სასახლეც იდგა, მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ირინე და რომანი. მათ ქალ-ვაჟი შეეძინათ. ირინეს მამა, თავადი სულხიძე ზამთრის თვეებს სიძე-ქალიშვილთან ატარებდა, დანარჩენ დროს კი — კახეთში, თავის მამულში.

...ერთხელ, როცა ბოლკოვსკები და თავადი სულხიძე მთელი თავიანთი ჯალაბით თავადის მამულში სუფრას უსხდნენ (თავადის სოფელი თელავის მახლობლად მდებარეობდა), მათ მექაში პილიგრიმად მიმავალი შამილი ეწვია. შამილმა თვალი

გადაავლო თავის საყვარელ ადამიანებს, ერთი წუთითაც არ დამჯდარა, ნაღვლიანი და მღუმარე გაეცალა იქაურობას.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ზუტნერის წიგნში მოთავესებულია მხატვარ რ. ე. კეპლერის ოთხი ილუსტრაცია. აქედან ორი სურათი ქართველ ქალს ირინესა და მის მომავალ ქმარს პოლონელ რომან ბოლკოვსკის ასახავს. როგორც ჩანს, კეპლერს ქართველების სურათები ანდა თვით ქართველები ჰყავდა ნანახი, რადგან სურათზე გამოსახული ქალი როგორც იერით, ასევე ჩაცმულობითაც აშკარად ქართველია.

რომანში დაწერილებითაა აღწერილი ისტორიული ფაქტი, სახელდობრ — 1854 წელს შამილის მიერ კახეთის დარბევა და წინანდლის აოხრება.

ეს ისტორიული ფაქტი უცხოურ ლიტერატურაში მრავალგზის აღწერილა. ალ. დიუმა (მამა) წიგნში კავკასიაზე ეხება წინანდლის ტრაგედიას, ხოლო მადამ დრანსეს წიგნი კი მთლიანად ამ ამბისადმი მიძღვნილი (როგორც ცნობილია, თვით დრანსე, რომელიც დავით ჭავჭავაძის შვილების აღმზრდელი იყო, ქართველ ქალებთან ერთად იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში).

ეს შემადრწუნებელი ისტორია მოთხრობილი აქვს აგრეთვე თავის „მემუარებში“ ბერტა ფონ ზუტნერს. ბერტა პირადად იცნობდა დავით ჭავჭავაძის მეუღლეს, ანა ბატონიშვილს და მას არა ერთხელ შეხვედრია ევროპის სხვადასხვა ქალაქებში.

1854 წელს ლეკების მიერ წინანდლის აოხრება და ქართველი ქალების გატაცება ძირითადად ზუტნერის რომანში ისტორიული სიმართლის დაცვითაა მოთხრობილი, თუმცა აქა-იქ შეიმჩნევა ისტორიული სინამდვილიდან გადახვევა.

თელავის მახლობლად მდებარეობდა თავად ჭავჭავაძის (იგულისხმება დავით ჭავჭავაძე), მწერალ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის მამული, რომელიც რუსეთის არმიაში გენერლად მსახურობდა (ამ დროს დ. ჭავჭავაძე პოლკოვნიკი იყო, გენერლობა შემდეგ მიიღო). როგორც წესი, იგი ზაფხულს მეუღლესა და ბავშვებთან ერთად თავის მამულში, წინანდალში ატარებდა (ზუტნერი წერს, წინონდალიო, ასევე იხსენიებს ამ სოფელს დრანსეც, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ზუტნერი დრანსეთი სარგებლობდა, მაგრამ ამის საწინააღმდეგო ექვს ბაღებს ის გარემოება, რომ ზუტნერი 9 წელიწადი ცხოვრობდა საქართველოში და ნუთუ მან ამ დროის განმავლობაში ვერ მოახერხა დრანსეს შეცდომის გასწორება?!) მიუხედავად იმისა, განაგრძობს ზუტნერი, რომ არეული დრო იყო, ჭავჭავაძეები თავიანთი სამი ბავშვითურთ მაინც წავიდნენ წინანდალში სააგარაკოდ. თავადი ჭავჭავაძე დაენიშნათ ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის კომენდანტად (ზუტნერი წერს, წინანდლიდან ორი დღის სავალზეო; ამ ციხე-სიმაგრეში ალაზანს გადაღმა ხანდის სიმაგრე უნდა იგულისხმებოდეს; (იხ. „Пленницы Шамиля,“ Воспоминания Г-жи Дрансе). (მეორე დღეს ჭავჭავაძე წინანდლიდან გაემგზავრა თავისი მოვალეობის აღსასრულებლად. ღამით ლეკებმა თელავის გარეუბანი გადაწვეს. აქა-იქ წინანდალშიც იფეთქა ხანძარმა. გლეხები ანა ჭავჭავაძეს ურჩევდნენ დროზე დაეტოვებინა წინანდალი, რადგან წინანდალს აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. ანა ყოყმანობდა, ვინაიდან ქმრისაგან არაფერი ისმოდა, ქმარს დაებარებინა ჩემს განკარგულებას ელოდეთო, ბოლოს ანამ გადაწყვიტა, თბილისში გაქცეულიყვნენ. სამზადისს შეუდგნენ. მეორე დი-

ლით აბარგებას აპირებდნენ. სალამოხანს ბინდი რომ ჩამოწვა, ჭავჭავაძეების სასახლეში ვიღაც უცხო კაცი მოვიდა და ითხოვა ღამე გამათევინეთო. სომეხი სოვდაგარი ვარ, ალავერდში საქმეზე მივდივარ და თან ბლომად ფულიც მაქვსო. რადგან კახეთში შამილის ბანდები დაძრწიან, სიბნელეში გზის განგრძობა ვერ გავებდეთო. ჭავჭავაძის მეუღლეს ეჭვი დაებადა: უცნობს ქართულად მოლაპარაკე სომხის აქცენტი არ ჰქონდა. მაგრამ სტუმარი სახლიდან მაინც ვერ გააგდეს, და იარაღის ჩამორთმევის შემდეგ. მსახურმა მას ერთი პატარა ოთახი მიუჩინა. თენდებოდა, როცა ძიძა გასროლის ხმამ გააღვიძა. ჩაიცვა და გარეთ გავიდა. გარეთ ის უცნობი კაცი დაინახა, რომელმაც თავი სომეხ სოვდაგარად გაასაღა. ხელში დამბაჩა ეჭირა. მდინარის გადაღმა ცხენოსნები შეამჩნია, რომლებიც ფონს ეძებდნენ. უცნობი კაცი ცხენოსნებს რაღაცას ხელით ანიშნებდა. ძიძა გაიქცა და ქალბატონს ყოველივე მოახსენა, მაგრამ რა უნდა ექნათ? ეზოში კივილი გაისმა, ოთახში მოახლე შემოვარდა, ლეკები უკვე აქ არიანო. ქალბატონმა ბავშვების ოთახს მიაშურა. ამ დროს ლეკები სახლში შემოიჭრნენ. ქალები და ბავშვები ეზოში გაიყვანეს და მცველებს ჩააბარეს, თვითონ კი სასახლის ძარცვას შეუდგნენ. ბოლოს მეთაურმა ყაჩაღებს უბრძანა, დაეიძრათო. ანამ მეთაურს შეხედა და წუხანდელი სტუმარი იცნო. „მოღალატევ“ მიაძახა ანამ მეთაურს. ლეკს გაეცინა, „მოღალატე? მოღალატეები თბილისში მოიკითხე! პირველად ჰაჯი-მურადს არ უღალატნია“ (ზუტენერს შეცდომით ლეკების ბანდის მეთაურად ჰაჯი-მურადი ჰყავს გამოყვანილი, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. მომხდურების წინამძღოლი ნამდვილად შამილის შვილი, ნაი-

ბი ყაზი-მაჰმადი იყო; იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, I ტ. აკ. გაწერელია, „გრიგოლ ორბელიანის „წერილები“, როგორც ბიოგრაფიული მასალა“, გვ. 20).

ანა ერთმა ლეკმა ცხენზე შემოისვა, ქალს ხელში ორი ბავშვი ეჭირა, თან ცდილობდა ცხენიდან არ გადმოვარდნილიყო. მთის ძირას ამ რაზმს ახალი ძალები შეუერთდა, ასე რომ დაახლოებით სამი ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ანას თანდათანობით ძალა ელეოდა, კუნთები მოუდუნდა. უცებ ცხენი დაფრთხა, გვერდზე გახტა და დედას ძუძუმწოვარა ჩვილი ხელიდან გაუვარდა. ბავშვი უკან მომავალმა ცხენებმა ფლოქვებით გაჰყლიტეს. დედასაც უნდოდა მიწაზე დანარცხებულიყო, მაგრამ მხედრებმა დაიჭირეს. უღრან ტყეში ღამით შეისვენეს, გამთენიისას ბანაკი აიყარა. ხუთი დღის შემდეგ ცხენოსნები შამილის რეზიდენციაში, ვედენოში მივიდნენ, იქ ერთ-ერთმა მიუჩრდიმა თავადის ქალი თავის მოახლეებთან ერთად ქალთა სამყოფში მოათავსა. მეორე დღით ტყვე ქალები იმამის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ. დავით ჭავჭავაძეს შამილისათვის შემოეთვალა, რა გამოსასყიდს თხოულობო. შვილი დამიბრუნეთ, ხოლო ტყვეების პატრონებს ერთი ურემი ოქრო მართვითო — იყო პასუხი.

რამდენიმე ხნის შემდეგ დავით ჭავჭავაძეს თავისი პატარა ბავშვის დასახიჩრებელი გვამი მოუტანეს.

ბოლოს, როგორც იქნა, მოწინააღმდეგე მხარეები შეთანხმდნენ: შამილს შვილს უბრუნებდნენ და გამოსასყიდ ფულად აძლევდნენ ორმოც ათას მანეთს, შამილი კი ტყვე ქალებს ანთავისუფლებდა. რამდენიმე კვირის შემდეგ რუს ჯარისკაცთა რაზმი გენერალ ნიკოლაის მეთაურობით დათქმულ ადგილას

მიდიოდა. არიერგარდში დავით ქავჭავაძე და შამილის შვილი, ჯემალ-ედინი იმყოფებოდნენ. ერთ-ერთ კარეტაში გამოსასყიდი ფულით სავსე ყუთები იღო. მდინარისაგან ერთი კილომეტრის დაშორებით რაზმი შეჩერდა. მას ერთი ოფიცრის მეთაურობით ოცდათორმეტი კაზაკი გამოეყო. ჯემალ-ედინი მდინარის ნაპირამდე მიიყვანეს და იქ შეჩერდნენ. ამ მცირე რაზმს დავით ქავჭავაძეც შეუერთდა. (აღსანიშნავია, რომ ამ ისტორიულ ამბავში ისტორიულ პირებთან ერთად ჩასმულია ავტორის მიერ შეთხზული პერსონაჟი პოლონელი რომან ბოლკოვსკი, რომელიც აქტიურად იღწვის ქართველი ტყვე ქალების განთავისუფლებისათვის). მდინარის მეორე ნაპირსაც ოცდათორმეტი მიურიდი შოადგა. ისინი მდიდრულად მორაბტულ ცხენებზე ისხდნენ და ძვირფასი იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. მიურიდთა რაზმს. ჰაჯი-მურადი მეთაურობდა (აქ ზუტნერი არ იცავს ისტორიულ სიმართლეს: 1855 წელს, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეებმა ტყვეები გაცვალეს, ჰაჯი-მურადი ცოცხალი აღარ იყო; ის 1852 წელს მოკლეს). ტყვე ქალები და ბავშვები ხალიჩებით მოფარდაგებული ურმებით მოჰყავდათ. ლეკებმა ფონი გადმოლახეს, ჰაჯი-მურადი ცხენიდან ჩამოხტა, ასევე — ჯემალ-ედინიც. შამილის შვილი მიეახლა სახელგანთქმულ ნაიბს და მხარზე ემთხვია. დავით ქავჭავაძე თავისიანებთან მიიპრა და შეიქნა ზევენა-კოცნა. მიურიდები ჯემალ-ედინთან ერთად შამილის ბანაკისაკენ გაეშურნენ. შამილი კარვის წინ ორ უხუცეს და უგამოჩენილეს მიურიდს შორის იჯდა. მამა და შვილი ერთმანეთს ჩაეხვია.

ასეთია მოკლედ ზუტნერის მიერ მოთხრობილი 1854 წ.

წინანდლის აოხრებისა და ქართველი ქალების გატაცების ამბავი.

ზუტნერის მიერ ასახული ქართველი ქალები ყველანი უკლებლივ ზნეობრივად უაღრესად მტკიცენი, პატიოსანნი, სულგრძელნი და კეთილშობილნი არიან. ისინი არაადამიანურ ტანჯვასა და გასაჭირს უდრტვინველად და ადამიანური ღირსების შეულახავად იტანენ.

ოიგენ ტაბელის ნარკვევი „ყირიმი და კავკასია ლიტერატურაში“

1907 წელს ბერლინში კარლ კურციუსის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ოიგენ ტაბელის წიგნი „რუსული კულტურის სურათები“. წიგნში მოთავსებულია ნარკვევები ჩეხოვის, გორკის, ჟუკოვსკის, ტურგენევის, ჩაიკოვსკის, ვერეშჩაგინის, ლეონიდ ანდრეევის, ანტონ რუბინშტეინის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის და სხვ. შესახებ. მთელს წიგნს ეპიგრაფივით წამძღვარებული აქვს ავტორის ლექსი მიძღვნილი სტანისლავსკისადმი — „კ. ს. სტანისლავსკი — ალექსეევს, მოსკოვის სამხატვრო თეატრის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს“.

ერთ-ერთი ნარკვევი ეხება ყირიმისა და კავკასიის თემას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ეს ნარკვევი ავტორს გაუღრმავებია, განუვრცია და ხელმეორედ დაუბეჭდავს გერმანულ ჟურნალში — „დოიჩე რუნდშაუ“ ოდნავ შეცვლილი სათაურით — „ყირიმი და კავკასია ლიტერატურის შუქზე“ („კრიმ უნდ კაუკაზუს ინ ლიტერარიშერ ბელოიპტუნგ“.). ტაბელის ამ ნარკვევს მოიხსენიებს (აქედან ციტატებიც მოაქვს) შვეიცარიელი პაულ ვილი ბირბაუმი, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში უმოგზაურია კავკასიაში (იხ. მისი „მტრადიფიციუგე

იმ კაუკაზუს უნდ ინ ჰოხარმენიენ“, ციურიჰ, 1913) ოიგენ ცაბელი თავის წერილში ცდილობს გერმანელ მკითხველს გააცნოს ყირიმსა და კავკასიაზე არსებული უცხოური ლიტერატურა, აგრეთვე თვით ამ მხარეში მცხოვრები ერების მწერლობაც. მკითხველის ყურადღებას ჩვენ კავკასიურ, და უფრო მეტად, ქართულ მასალაზე შევაჩერებთ.

კავკასიის ხსენებისას, აღნიშნავს ავტორი, ევროპელს ყოველთვის მოაგონდება ხოლმე მიჯაჭვული პრომეთეოსი, მედეა და კირკეს ჯადოქრული ხელოვნებანიო. კავკასია ჩანს ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში“. კავკასიის უზარმაზარი მთები გაიღვებენ შექსპირის შემოქმედებაში. მწერლის ადრინდელ ნაწარმოებში „ტიტუს ანდრონიკუსში“ მოხსენებულია პრომეთეოსი და კავკასია. კავკასია ნახსენებია აგრეთვე შექსპირის „რიჩარდ მეორეში“ (პირველი მოქ. III სურათი).

რუსულ ლიტერატურაში კავკასიის თემა პუშკინმა შეიტანაო, შენიშნავს ცაბელი. ავტორი გაკერით ეხება „კავკასიის ტყვეს“ და პუშკინის ლექსებს კავკასიის თემაზე. შემდეგ ლერმონტოვზე გადადის, მოკლედ განიხილავს მის „დემონს“, აგრეთვე „მწირს“ (ხსნის სიტყვა „მწირის“ მნიშვნელობას), ეხება „ჩვენი დროის გმირსაც“.

ოიგენ ცაბელი ხაზგასმით აღნიშნავს არტურ ლაისტის დამსახურებას კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს წინაშე. საკმაოდ ვრცლად განიხილავს მის „ქართველ პოეტებს“, რომელიც პირველად ლაიფციგში 1887 წ. ვილჰელმ ფრიდრიჰის გამომცემლობამ გამოაქვეყნა (მეორე გამოცემა 1900 წელს განეკუთვნება).

ცაბელი მოკლედ ახასიათებს გრ. ორბელიანის შემოქმე-

დებას და განიხილავს პოეტის ზოგიერთ ლექსს („სხვა საქართველო სად არის“, „თამარის სახე ბეთანიაში“, „მუშა“, სამწუხაროდ, „მუშის“ ნაცვლად შეცდომით წერს „მუშუ“).

ამის შემდეგ მიმოიხილავს ალ. ჭავჭავაძის ლექსებსაც; ალ. ჭავჭავაძეს ავტორი წარმოგვიდგენს ჰელონიკოს და ეპიკურელ მწერლად.

„...ილ. ჭავჭავაძე მაღალნიჭიერი ლირიკოსია და ამასთან ერთად მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე-ო“; წერს ცაბელი, ავტორი გაკვრით ეხება ილიას ლექსებს.

„ვახტანგ ორბელიანი უმღერის გელათის უძველეს ეკლესიას ქუთაისის მახლობლად იმერეთში და იგონებს თამარ მეფეს, რომლის საფლავი იქ მდებარეობს“.

ევროპა კავკასიის არსებით ცოდნას გერმანელ პოეტს ფრიდრიჰ ბოდენშტეტს უნდა უმაღლოდესო, — შენიშნავს ავტორი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფრიდრიჰ ბოდენშტეტი რუსეთში გაემგზავრა (დაიბ. ქ. პაინეში 1819; სწავლობდა გოტინგენის, მიუნჰენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში). 1841 წ. ბოდენშტეტი მიხეილ გალიცინის ბავშვების აღმზრდელია. სამი წლის შემდეგ თბილისის გიმნაზიაში ასწავლის. საქართველოში იგი 1846 წლამდე დარჩენილა. ფრიდრიჰ ბოდენშტეტი გულმოდგინედ სწავლობდა საერთოდ კავკასიის, და კერძოდ, საქართველოს ეთნოგრაფიასა და გეოგრაფიას.

1847 წელს გერმანიაში გამოვიდა მისი პირველი ორტომიანი წიგნი კავკასიაზე — „კავკასიის ხალხები“ (ბერლინი, დეკემბრის გამომცემლობა). ამ წიგნში ავტორი ეხება კავკასიის ბუნებას, ჰავას, მის ფლორასა და ფაუნას. აგრეთვე იძლევა ამ მხა-

რეში მცხოვრები ხალხების ეთნიკურ დახასიათებას. აქვე ეხება იგი შამილის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. იმავე წელს გამოსცა ბოდენშტეტმა თავისი მეორე წიგნი კავკასიაზე — „ათას ერთი ღღე აღმოსავლეთში“. სხვათაშორის ამ წიგნში აღწერილია მცხეთა, სვეტიცხოველი, შემდეგ გორი და ქუთაისი. გზა ქუთაისიდან ნავსადგურ რედუთ კალემდე ბოდენშტეტს მდინარით გაუვლია; ორი ახალგაზრდა მეგრელი უსვამდა თურმე ნიჩბებს ფაზისის ტალღებში, ხოლო ბოდენშტეტი იგონებდა ანტიკურ კოლხიდას, აეტესის სასახლეს, ლევკოთეას ტაძარს, კირკესა და მედეას. ბოდენშტეტი გვიხატავს სოხუმს, ბიჭვინთას და გაგრას. გერმანელი მწერალი დაწვრილებით აღწერს საქართველოს დედაქალაქს. პირველად ამ წიგნში ჩნდება მირზა შაფი. ბოდენშტეტი თბილისში მთაწმინდის ძირში ცხოვრობდა. იგი მირზა შაფისთან სწავლობდა თათრულს. ამავე წიგნში მიმოხეულია მირზა შაფის სიმღერები. ეს სიმღერები შემდეგ ბოდენშტეტმა გამოსცა ცალკე წიგნადაც, რომელიც ერთ დროს გერმანიაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა.

შემდეგ ოიგენ ცაბელი ეხება კავკასიის შესახებ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას. დაწვრილებით მიმოიხილავს ინგლისელი ფრეშფილდის, გერმანელების გუსტავ რადეს (რადე ოიგენ ცაბელს 1901 წ. თბილისში გაუცნია), გოტფრიდ მერცბახერის და სხვათა წიგნებს.

სპეციალურად ჩერდება ოიგენ ცაბელი თბილისის გიმნაზიის მასწავლებელზე ფონ ჰაანზე, რომელსაც 1892—1900 წლებში გამოუცია სამი სქელტანიანი წიგნი კავკასიის შესახებ: „კავკასიიდან“, „კავკასიური მოგზაურობანი და შტუდიები“

და „კავკასიის სურათები“. ფონ ჰანნი თურმე წერდა, რომ მან თავისი მეორე სამშობლო და ბედნიერება საქართველოში ჰპოვა და აქვე შექმნა ოჯახი.

ოიგენ ცაბელის ნარკვევი „ყირიმი და კავკასია ლიტერატურაში“ წარმოადგენდა ერთ-ერთ წყაროს, რომლითაც ევროპელები ეცნობოდნენ კავკასიის, და კერძოდ, საქართველოს ეთნოგრაფიას, ბუნებას, კულტურასა და ლიტერატურას.

ადოლფ ღირი და ქართული ფოლკლორი

ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ასე თუ ისე ცნობილია გერმანელი მეცნიერის ადოლფ ღირის -ღვაწლი ჩვენი ენისა და კულტურის შესწავლის საქმეში. XX საუკუნის დასაწყისში მან გამოაქვეყნა საყურადღებო შრომები, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ახალი შეხედულება ხევსურთა წარმოშობის შესახებ“, „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლისათვის“, „თანამედროვე ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა სათარგმნი მასალითა და საკითხავი წიგნითურთ“, „კავკასიელ ხალხთა დღევანდელი სახელები“, „კავკასიურ ენათა კვლევა, მისი ისტორია და შემდგომი ამოცანები“, „კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული მიმოხილვა“, „ნადირისა და ნადირობის კავკასიური ღმერთი“, „ოცდახუთი ქართული ხალხური სიმღერა“ და სხვ.

ადოლფ ღირი ხანგრძლივად იმყოფებოდა კავკასიასა, და კერძოდ, საქართველოში. იგი ადგილზევე სწავლობდა კავკასიურ ენებს, ზნე-ჩვეულებებს, ზღაპრებსა და ლეგენდებს.

1920 წ. იენაში გერმანულ ენაზე მან გამოსცა „კავკასიური ზღაპრები“. ეს წიგნი შედის „მსოფლიო ლიტერატურის ზღაპრების“ სერიაში, რომელსაც სცემდნენ ფრიდრიჰ ფონ დერ

ლაიენი და პაულ ცაუნერტი. 1922 წ. იმავე გამომცემლობამ (ოიგენ დიდერიხის გამომცემლობა) ხელმეორედ გამოსცა იგივე წიგნი *.

წიგნის თავში მოთავსებულია ფ. პ. ემკეს ილუსტრაციები ზღაპრების სიუჟეტებზე (აღსანიშნავია, რომ ემკეს ეს ნახატები შესრულების მანერით ძალიან ჰგავს მსოფლიოში ცნობილი მხატვრის ფრანს მაზერელის გრაფიკულ ნამუშევრებს).

წიგნში, როგორც სათაური მიგვანიშნებს, მოთავსებულია კავკასიური ზღაპრები; მათ შორის დიდი ადგილი უჭირავს, კერძოდ, ქართულ ზღაპრებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, ღირი მკაცრ ზღვარს არ ავლებს ზღაპრებსა და თქმულება-ლეგენდებს შორის, ასე რომ კრებულში ზღაპრებს გარდა ვხვდებით ანეგდოტებს, იგავ-არაკებს და თქმულებებს. წიგნში მოთავსებულია სულ 19 ქართული ზღაპარი და თქმულება.

ვიდრე ამ ქართული ზღაპრებისა და თქმულებების ღირისეულ თარგმანებს შევეხებოდეთ, გაკვირთ მოვიხსენიებთ სხვა გერმანელი მეცნიერების ღვაწლს ქართულ ფოლკლორისტიკაში. ცნობილმა ვენელმა კავკასიოლოგმა და ქართველოლოგმა რობერტ ბლაიჰშტაინერმა 1919 წ. ვენაში ქართულ ენაზე გამოსცა „ქართული ანდაზები, თქმულებები და ზღაპრები“ გერმანული თარგმანით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ.

* *Kaukasische Märchen, ausgewählt und übersetzt von A. Dirr, verlegt bei Eugen Diederichs, Iena, 1922. (Die Märchen der Weltliteratur. Herausgegeben von Friedrich von der Leyen und Paul Zaunert).*

იმავე ბლავიჰტაინერს გამოუქვეყნებელი დარჩა „ქართული ზღაპრები“ და „ქართული საგმირო თქმულება“.

ვ. გოლტერმა ჟურნალში „ცაიტშრიფტ ფიურ ფერგლანიჰენდე ლიტერატურგეშიჰტე“ დაბეჭდა შრომა „მეგრული ზიგფრიდის ზღაპარი“. ამავე ჟურნალში საპასუხო წერილად გამოქვეყნდა ვ. ნერინგის სტატია: „ნიბელუნგების სიმღერის გამოძახილი მეგრულ ზღაპარში?“

1948 წ. ე. ბერმა გამოსცა „ნატვრის თვალი, კავკასიური ლეგენდები“.

1957 წ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობამ „კულტურ უნდ ფორტშრიტმა“ ბერლინში გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული ზღაპრების კრებული — „უჩინმაჩინის ქუდი“. ქართული ზღაპრების თარგმანი შესრულებულია რუსული გამოცემიდან, რომელიც დაბეჭდა „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ. გერმანულ თარგმანში შეტანილია 49 ზღაპარი, მათ შორის ისეთი ცნობილი ზღაპრები, როგორიცაა: „უჩინმაჩინის ქუდი“, „გაუცინარი ხელმწიფის ზღაპარი“, „მონადირე და არწივი“, „ოსტატი და შეგირდი“, „ეშმაკი და მელა“, „ცხრა ძმანი“, „წიქარა“, „სამნი ძმანი“, „მეცხვარე და გველი“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და სხვ. (დაწვრილებით იხ. ნ. რუხაძის წერილი: „ქართული ზღაპრები გერმანულ ენაზე“, „მნათობი“, № 2, 1958).

რამდენიმე ზღაპარი, სახელდობრ „მელია და მწყერჩიტა“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და „მებადურის შვილი“ ქართულ-გერმანული პარალელური ტექსტებით, სრული ლექსიკონითა და ვრცელი ახსნა-განმარტებებით მოთავსებულია კიტა ჩხენკელის მიერ 1958 წ. ციურიჰში გამომცემულ ქართული ენის

ქრესტომათიაში. მაგრამ, ისე როგორც ამ ქრესტომათიაში მოთავსებული ყველა სხვა მასალა—არაკი, მოთხრობა თუ ლექსი, ეს ზღაპრებიც თარგმნილია არა მხატვრულად, არამედ სიტყვა-სიტყვით, ზუსტი აზრობრივ-სიტყვიერი ზედმიწევნით, რაც სასწავლო-პედაგოგიური მიზანდასახულებითაა განსაზღვრული. ასე მაგალითად, პირდაპირ, სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი სპეციფიკური ქართული გამოთქმები, როგორიცაა „ჩიტის რძე“, „ცხრა მთას იქით“, „მზეთუნახავი ქალი“ და ა. შ.

1961 წ. ჩეხოსლოვაკიის ცნობილმა გამომცემლობამ „არტიამ“ ინგლისურ ენაზე გამოსცა მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები. კრებულში შეტანილია თითქმის ყველა ერის ზღაპარი, მათ შორის უზბეკური, ბერბერული, ლიტუური, ყაზახური, დაღესტნური, კამბოჯური, პაპუასური, ბოშური, სომხური, აზერბაიჯანული და სხვ. ზღაპრები. სამწუხაროდ, ამ ვრცელ კრებულში არცერთი ქართული ზღაპარი არაა შეტანილი.

ადოლფ დირის მიერ თარგმნილ „კავკასიური ზღაპრების“ წიგნს წამძღვარებული აქვს მთარგმნელისავე მოკლე შესავალი, რომელშიაც დირი ევროპელ მკითხველებს აცნობს საერთოდ კავკასიას და, კერძოდ, მის ფოლკლორს. ჩვენ გადმოვცემთ შესავალი წერილის შინაარსს.

კავკასია არის ის მხარე, რომელიც ევროპელ ხალხებთან დაკავშირებულია ძველისძველი თქმულებებით; საკმარისია, გავიხსენოთ არგონავტები და პრომეთეოსი, რათა დავრწმუნდეთ, რომ მთიან მხარეს პონტუსსა და კასპიას შორის, ევროპასა და აზიას შუა ოდითგანვე მკიდრო „ფოლკლორული“ კონტაქტი ჰქონდა კაცობრიობასთან.

კავკასიის გეოგრაფიულ რუკასავით მრავალფეროვანი და

ჰრელოა მისი ზეპირსიტყვიერებაც (კავკასიაში, ღირის მოწმობით, ცხოვრობს 60-ზე მეტი ეროვნება). ადრე ეს მხარე მნიშვნელოვანი ისტორიული გარდატეხებისა და ძვრების ცენტრში მდებარეობდა. კავკასიის სამხრეთსა და სამხრეთ დასავლეთში აღმოცენდა და შემდეგ დაემხო ხეთების, სუმერების, ბაბილონისა და ასურელთა სახელმწიფოები; აღმოსავლეთით გაჩაღებული იყო ფიცხელი ბრძოლა ირანსა და თურანს შორის, რომელზედაც „შაჰ-ნამე“ მოგვითხრობს; ჩრდილოეთით დახეტილობდნენ სკვითები და სარმატები; უფრო მოგვიანებით კავკასიაზე გზა დაიდეს ჰუნებმა და მაღიარებმა, ალანებმა და ავარელებმა, სლავებმა და თათრებმა. რომაელებმა დაიმორჩილეს ალბანეთი. სასანიდებმა ზარატუსტრას მოძღვრება შემოიტანეს, რომელსაც ქრისტიანობა ხანგრძლივად ებრძოდა. შემდეგ ისლამის ტალღა მოედო კავკასიას, მაგრამ ყველგან ფეხი ვერ მოიკიდა. მონღოლებმა და თათართა ურდოებმა გადათელეს ისედაც მრავალნათანჯი ქვეყანა და ა. შ.

...კავკასიაში უამრავი ენა და დიალექტი დასტურდება, ექვსამდე თათრული კილოკავი; სამი-ოთხი ირანული, ძველი-ირანულიც, ოსური, სომხური, ალაგ-ალაგ ბერძნულიც. ქართულ ენას მონათესავე ენებითურთ ზოგმა სემიტურთან დაუდგინა ნათესაობა; ზოგმა სცადა კავკასიური ელემენტები აღმოეჩინა ფინურ-მაღიარულ ენებში. ასეა თუ ისე, ყველაფერი იმას მია-ნიშნებს, რომ კავკასია ხალხთა ისტორიის მდინარეებაში ერთგვარ კუნძულს წარმოადგენდა; მის ხეობებსა და ველებში შემორჩენილა უამრავი ძველი ხალხის ნაშთები, მათი თქმულებისა და რწმენის, ზნე-ჩვეულებებისა და ენის ნარჩენები. ამით აიხსნება აგრეთვე კავკასიელთა ზეპირსიტყვიერების სიჰრელი.

აქ ვხვდებით მსოფლიოში გავრცელებულ ყველა ზღაპარსა და სიუჟეტს. როგორც ჩანს, არაფერი არ ვრცელდება ისე იოლად, როგორც მსუბუქი და სასიამოვნოდ მოსათხრობი ამბავი. ამის დადასტურება ყოველდღიურად შეიძლება კავკასიის მეტ-ნაკლებად დიდ ქალაქებში. ასე მაგალითად, თბილისში არსებობს მეწვრილმანე ვაჭართა ფენა, რომლის წარმომადგენლებსაც კინტოებს ეძახიან. ამ კინტოებს ახასიათებთ ბუნებრივი ენამახვილობა, კვიმატობა და სხარტი პასუხი. გავრცელებულია კინტოს უამრავი ანეგდოტი. მაგრამ ათი წლის განმავლობაში, ადოლფ დირმა კავკასიაში რომ დაჰყო, ვერ მოისმინა ვერცერთი ისეთი ანეგდოტი, რომელიც ადრე ევროპაში არ გაეგონა. შინაარსი ამ ანეგდოტებისა არ შეცვლილა, მხოლოდ მათ ერთგვარად ლოკალური იერი და კოლორიტი მისცემოდათ.

კავკასიაში ძალიან გავრცელებულია მოლა ნასრედინის პერსონაჟი. ეს იგივე თურქული ხოჯა ნასრედინია. კავკასიურ ანეგდოტებში სიტუაციებისდა მიხედვით მოლა ნასრედინი ზოგჯერ ჰკვიანია, ზოგჯერ სულელი, ხან ეშმაკია, ხან ბოთე. ზოგჯერ ენერგიულია, ზოგჯერ უნიათო, ხან სულგრძელია, ხან სულმოკლე. დირის აზრით, ამ ანეგდოტების შემომტანი უნდა იყვნენ თურქეთიდან ლტოლვილი სომხები, რომელთაც ხოჯა ნასრედინის ამბები ზეპირად იცოდნენ.

1904 წ. ზაფხულში ადოლფ დირი მთა-თუშეთში მწყემსებს ეწვია იალაღებზე, რათა, როგორც თვითონ ამბობს, ერთ-ერთი ჩეჩნური ენის მასალა შეეგროვებინა. დირი სინანულით აღნიშნავს, რადგან ყველა მწყემსი ქართულად ლაპარაკობდა და ბევრმა მათგანმა წერა-კითხვაც იცოდა, მან ვერ შესძლო წმიდა, შეურყვენელი მასალის შეგროვება. ბოლოს ერთ ღრმად

მოხუცებულ კაცს განუცხადებია ღირისათვის, ზღაპრებს მოგიყვებო. ღირი გაფაციცებით შეუდგა ჩაწერას. მაგრამ ყველა ეს ზღაპარი ღირისათვის ნაცნობი აღმოჩნდა. და როცა მოხუცმა ღირს სიტყვა-სიტყვით მოუთხრო ვილჰელმ ტელის ამბავი, გერმანელმა მეცნიერმა ველარ მოითმინა და ჯიქურ მიახალა, რომ მან ყველაფერი ეს უკვე დიდიხანია იცის და რომ მოხუცი ადგილობრივ, ეროვნულ ზღაპრებს არ უყვება. მოხუცი დიდხანს ჯოუტობდა და ირწმუნებოდა, რომ ეს უკანასკნელი ზღაპარი მას სიყრმეში მოხუცებისაგან მოესმინა. მხოლოდ ძალიან გვიან გაიხსენა მან (აღოლფ ღირს მის გულწრფელობაში ექვი არ ეპარება), რომ ეს ამბავი იმ დროს, როცა იგი თელავის სკოლაში დადიოდა, ერთ-ერთ ქართულ წიგნში ამოეკითხა. ღირის აზრით, დაახლოებით ამგვარადვე უნდა იყოს შემოსული ყაბარდოელებში თქმულება მშვენიერი ელენეს შესახებ (შესაძლოა, ზეპირი გზით, წერილობითი გზა აუცილებელი არ არის).

თვითონ აღოლფ ღირი აღიარებს, რომ თავის წიგნში მხოლოდ წმინდა ზღაპრები არ შეუტანია. ზღაპრებს გარდა მას უთარგმნია საგმირო თქმულებანი, იგავ-არაკები, ანეგდოტები და სხვ.

ღირს ყველა თავისი თარგმანის წყარო მითითებული აქვს. წყაროების სახელწოდებანი უთარგმნელად აქვს დატოვებული. რაც შეეხება ზღაპრების სათაურებს, ნაწილი თვით მთარგმნელის მიერაა შერჩეული, ნაწილი კი დედნიდანაა გადმოღებული.

კრებულში მოთავსებულია შემდეგი ქართული ზღაპრები: „მებადურის შვილი“, „ნაცარქექია“, „მუქთახორა“, „ოსტა-

ტი და შაგირდი“, „სიზმარა“, „მიწა თავისას მოითხოვს“, „სამოთხის ვარდი“, „იადონისა და ბულბულის ზღაპარი“, „ოქროს ქოჩრიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი“, „ღორის ამბავი“, და „ქაჩალმებატე“. ამას გარდა კრებულში ვხვდებით თქმულებებსაც: ამირანის თქმულება (ორი ვარიანტი), მეგრული თქმულება ცალთვალაზე, თქმულება სოლომონ ბრძენზე (ორი ვარიანტი), და თქმულება ალექსანდრე დიდზე. კრებულში მოთავსებულია ანეგდოტების რუბრიკის ქვეშ „მოხერხებული ქურდის ზღაპარი“.

წიგნის ბოლოში აღოლფ ღირს მითითებული აქვს წყაროები. „ნაცარქექია“, „მუქთახორა“, „ოსტატი და შაგირდი“. „სიზმარა“ ღირს უთარგმნია კრებულიდან — „ზღაპრები“ (არ არის მითითებული გამოცემის არც ადგილი და არც დრო; გამოცემული უნდა იყოს 1902 წ., როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ). აქ ჩვენ ერთ პატარა გაუგებრობას ვაწყდებით: აღოლფ ღირს წყაროებში აღნიშნული აქვს, თითქმის მას ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“ ამავე კრებულიდან აეღოს, მაგრამ ეს ზღაპარი ამ წიგნში არ გვხვდება. როგორც ჩანს, მთარგმნელს თავისდაუნებურად პატარა ლაფსუსი მოსვლია. სავარაუდებელია, რომ „მიწა თავისას მოითხოვს“ ღირს ალბულის აქვს წიგნიდან «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», Выпуск десятый, Отдел третий, стр. 51—54, Тифлис, 1890.

ასევე შეეძლო მას ესარგებლა თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში შეკრებილი ხალხური ზღაპრებითაც (1909, თბილისი გვ. 128—130).

„იადონისა და ბულბულის ზღაპარი“, „ოქროს ქოჩრიანი

ქალ-ვაჟის ზღაპარი“, „ლორის ამბავი“, და „ქაჩალ-მებატე“ დირს უთარგმნია კრებულიდან — „ხალხური ზღაპრები, კახეთ-სა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ., თბილისი.

„მებადურის შვილი“ მთარგმნელს აუღია გოგებაშვილის „დედა ენიდან“.

„სამოთხის ვარდი“, ამირანის თქმულება (ორი ვარიანტი), მეგრული თქმულება ცალთვალაზე, თქმულება სოლომონ ბრძენზე (ორი ვარიანტი), თქმულება ალექსანდრე დიდზე და „მოხერხებული ქურდის ზღაპარი“ დირს უთარგმნია რუსული კრებულებიდან — «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», Тифлис (Выпуск 33, 1904; вып. 2, 1882; вып. 32, 1903; вып. 5. 1886; вып. 9, 1890; вып. 10, 1890. вып. 24, 1898).

ადოლფ დირი ზღაპრების თარგმნისას ცდილობს მაქსიმალურად შეინარჩუნოს დედნის სპეციფიკა, მისი ეროვნული კოლორიტი და მხატვრული თავისებურებანი (რასაკვირველია, მთარგმნელი ამით, მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც არღვევს გერმანული ენისა და სტილის ნორმებს). ასე მაგალითად, მთარგმნელს უცდია თარგმანში შემოენახა ქართული ზღაპრებისათვის დამახასიათებელი დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“. Es War und es War nicht — es gibt niemand Besseren als Gott — (აქ კი, სიმართლე უნდა ითქვას, აშკარად დარღვეულია გერმანული ენის ბუნებრივობა. წინადადება გერმანული ყურისთვის საჩოთირია). დირი ასევე ცდილობს შემოინახოს ქართული ზღაპრებისათვის სპეციფიკური დასასრული: „ჭირი იქა, ლხინი აქა,

///ქატო იქა ფქვილი აქა,“ Leid dort, Freude hier///Kleie dort, Mehl hier—რაც გერმანულ სმენას აშკარად ეხამუშება ზოგიერთი ზღაპრის ბოლოში მოთავსებული ლექსი („ოქროს ქოჩრიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი“, „ქაჩალ-მებატე“) მთარგმნელს ბწკარედის სახით უთარგმნია. აქვე უნდა შევნიშნოთ, ღირს ერთ-ერთი ლექსის ბოლო ორი სტრიქონი მცდარად გაუგია: „მთქმელსა და გამგონებელსა, ჯვარი გვეწეროს ყველასა“ მას უთარგმნია: ყველა დავქორწინდეთო, რაც აშკარა შეცდომაა.

ადოლფ ღირს თვითონ უშუალოდ ჩაუწერია და პირველად თარგმანის სახით გამოუქვეყნებია თორმეტი კავკასიური ზღაპარი, არაკი და თქმულება. რომელთაგან ერთი, სახელდობრ, არაკი — „კვიცი, თხა და ღორი“ ქართულია. შესაძლებელია, ამ არაკისა თუ ზღაპრის (ზღვარის გავლება ძალიან ძნელია) სხვა ვარიანტიც არსებობდეს, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიტანთ მის ქართულ თარგმანს. რატომღაც ღირი არაკს მეგრულად მიიჩნევს. როგორც ჩანს, არაკი ან სამეგრელოში ჩაუწერია, ანდა მეგრელისაგან მოუხმენია.

კვიცი, თხა და ღორი

კვიცი, თხა და ღორი დამეგობრდნენ. შემდეგ ისინი წავიდნენ ისეთი ადგილის საძებნელად, სადაც ბედნიერად ცხოვრება შეიძლებოდა: მეგობრები გამოქვაბულში მოხვდნენ, იქ მგლებს ნადიმი გაემართათ. ბედნიერების მაძიებელნი პირველად ძალიან შეშინდნენ, მაგრამ მგლებმა ისინი მიიპატიჟეს, შესვეს მათი სადღეგრძელო და მოთხოვეს, „ვაშა“ იყვირეთო.

ლორმა ღრუტუნი დაიწყო, თხა აკიკინდა „მე, მე-ო“, და კვიცი აჭიხვინდა; ისე ხმამაღლა და ომახიანად დასჭექქეს, რომ მგლებს შეეშინდათ და მოჰკურცხლეს.

მეგობრები კი დარჩნენ, რადგან იქაურობა მოეწონათ. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ თავიანთ საქმიანობას მიუბრუნდნენ. თხამ ხეების ტოტებს ზვრა დაუწყო, ღორი მიწის ჩიჩქნას შეუდგა, ხოლო კვიცი კუდის ქნევას მოჰყვა. ამასობაში მგლებს გული მოეცათ და უკან დაბრუნდნენ, რათა სტუმრები შეესანსლათ, მაგრამ როდესაც დაინახეს თხა, ღორი და კვიცი რა დღეში იყვნენ, ნირი წაუხდათ, მგლები ერთმანეთს ეუბნებოდნენ — „თხა ტოტებს ტეხს, ჩვენ რომ გაგვჯოხოს; ღორი მიწაში გვეძებს: — სად გადაიკარგნენ მგლები? — ამბობს იგი, — „მიწაში ხომ არ ჩამძვრალანო? — კვიცი კი ალბათ ფიქრობს: ო, რომ შემეძლოს მგლების გაწკეპვლა, ისე, როგორც ჩემი ფერდებისა. ხეტავ ერთი მოვიდოდნენ! — მგლები შიშის ზარმა აიტანა და ახლოს აღარ მოუბედავთ.

რამდენადაც ვიცი, ჩვენში წერილობით არავინ გამოხმაურებია ადოლფ ღირის ამ კრებულს. ჩვენ შევეცადეთ ქართველი მკითხველებისათვის მოკლე ინფორმაცია მიგვეწოდებინა. სპეციალისტები, ალბათ, პროფესიულად და ამომწურავად შეაფასებენ ადოლფ ღირის ღვაწლს ქართულ ფოლკლორისტიკაში.

რობერტ ბლაიჰშტაინერი

უცხოელ ქართველოლოგთა შორის ავსტრიელ მეცნიერს რობერტ ბლაიჰშტაინერს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

რობერტ ბლაიჰშტაინერი დაიბადა 1891 წელს ვენაში, ამავე ქალაქის უნივერსიტეტში საწვლობდა აღმოსავლურ ენებს და ეთნოგრაფიას; დისერტაცია დაიცვა ფირდოუსის „შაჰ-ნამეზე“. დიდხანს მუშაობდა ვენის ბუნებისმეტყველების მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, რომელიც შემდეგ მისი ინიციატივითა და მონაწილეობით ეთნოგრაფიის მუზეუმად გადაკეთდა 1945 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ამ მუზეუმს. გარდაიცვალა 1954 წელს.

რობერტ ბლაიჰშტაინერი ნაყოფიერად მუშაობდა ქართველოლოგიის დარგში. მას ეკუთვნის მრავალი შრომა ქართული კულტურის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე.

მსოფლიო ორიენტალისტთა ყურადღება მიიქცია მისმა შემდეგმა შრომებმა: „კავკასიელ ხალხთა და ენათა მიმოხილვა“, „ქართული ბალადა ამირანის შესახებ“, „კავკასიელი ხალხები“, „გურული დიალექტის გაგებისათვის“, „ნარკვევები ქართველთა ტომის — გურულების ენასა და ეთნოგრაფი-

იდან“, „კავკასიურ ენათა ჯგუფი“, „ვეფხისტყაოსანი“ მე-12 საუკ. ქართული მინეზანგური პოემა“, „დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ქართული ლიტერატურა“, „ქართველი ხალხი“ (ამ წიგნში ჩართულია სიმონ ჩიქოვანის ლექსის — „შემოდგომის დილა კახეთში“ გერმანული თარგმანი). ბლაიჰშტაინერს დაწერილი აქვს ქართულ ფოლკლორზე გამოკვლევები „ქართული ზღაპრები“ და „ქართული საგმირო თქმულება“ (ეს ნაშრომები მას გამოუქვეყნებელი დარჩა).

რობერტ ბლაიჰშტაინერი საქართველოში ერთხელ იყო. თავის ამ მოგზაურობას მიუძღვნა მან „საქართველო გუშინ და დღეს“ და „სტუმრად თბილისის უნივერსიტეტში“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბლაიჰშტაინერის თარგმანები ქართულ ლიტერატურიდან. მან თარგმნა და გამოაქვეყნა ახალი ქართული პოეზიის ნიმუშები („ახალი ქართველი პოეტები“), დანიელ ჭონქაძის „—სურამის ციხე“, ჭოლა ლომთათიძის „ლეგენდა ქართველზე“ (ეს ლეგენდა ამოღებულია ჭ. ლომთათიძის „უბის წიგნიდან“, დასათაურებულია მთარგმნელის პიერ), გალაკტიონის „ატმის ყვავილები“ და სხვ.

ბლაიჰშტაინერს თარგმნილი ჰქონდა, მაგრამ გამოუქვეყნებელი დარჩა: შიო არაგვისპირელის „ციცინათელა“, „... და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“, გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“ და სხვ.

რობერტ ბლაიჰშტაინერი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე იყო ქართული კულტურისა, მისი ენისა და ლიტერატურის და, როგორც მისი მეგობრები გადმოგვცემენ, ის უზომო კმაყოფილებითა და სიამოვნებით სწავლობდა ქართულ ენას. ავსტრიელ ორიენტალისტს განზრახული ჰქონდა

ქართული ლიტერატურის ვრცელი ისტორიის დაწერა. აღსანიშნავია, რომ მე-17 საუკუნის მიწურულში ასევე ავსტრიელმა მეცნიერმა ალტერმა გამოაქვეყნა ენაში საინტერესო წიგნი ქართული ლიტერატურის შესახებ (F. C. Alter, „Über die Georgianische Litteratur, Wien, 1798).

ასე რომ. პროფ. ბლაიჰშტაინერს სურდა ამ კეთილშობილური „ავსტრიული“ ტრადიციის გამგრძელებელი ყოფილიყო! „ავსტრიული“ ტრადიციისა-თქო. ვამბობთ. იმიტომ, რომ ცოლ-ქმარი ზუტენერებიც და ჰუგო ჰუპერტიც ავსტრიელები არიან. ჰუგო ჰუპერტის სახელი ცნობილია ქართველ ლიტერატურის მოყვარულთა შორის. ჯერ-ჯერობით „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ღირებული გერმანული თარგმანი მას ეკუთვნის. საინტერესოა, რომ განსვენებულ რობერტ ბლაიჰშტაინერს სურდა „შერკინებოდა“ შოთა რუსთაველის ევროპელ მთარგმნელებს. -- ის-ის იყო უნდა შესდგომოდა იგი „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებას გერმანულ ენაზე, რომ მოულოდნელად და ნაადრევად გარდაიცვალა.

ბლაიჰშტაინერის მოღვაწეობისა და შემოქმედების პათივისმცემელნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ იგი შესანიშნავად აერთებდა ერუდირებული სწავლულისა და ტემპერამენტიანი შემოქმედის თვისებებს. მეცნიერულ სიზუსტესთან ერთად მას დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება და ალლოც ჰქონდა. ამიტომაცაა, რომ მეცნიერული გამოკვლევების ავტორმა ასე ჩინებულად თარგმნა გალაკტიონ ტაბიძის „ატმის ყვავილები“.

ბლაიჰშტაინერის გარკვეულ „ქართველოლოგიურ“ გმირობად უნდა ჩაითვალოს მის მიერ ენაში 1919 წ. ქართულ ენაზე გამოცემული „ქართული ანდაზები, თქმულებები და ზღაპრე-

ბი“ გერმანული თარგმანით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ. აღსანიშნავია ბლაიჰშტაინერის შემდეგი შრომაც: „ყვავილბატონების ღვთაებანი და წმინდა ბარბალე ქართველთა ხალხურ წარმოდგენაში“.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მასშტაბის ქართველოლოგსა და კავკასიოლოგს ახასიათებდა ინტერესთა მრავალმხრიობა. იგი მუშაობდა ტიბეტური რელიგიის საკითხებზეც („ყვითელი რელიგია“, 1937), აგრეთვე მონღოლისტიკის სფეროშიაც; ჰაისიგთან და უნგკრიგთან ერთად მან გამოსცა „თანამედროვე მონღოლური ენის ლექსიკონი“ (ვენა — პეკინი, 1941).

ავსტრიელი პროფ. რობერტ ბლაიჰშტაინერი ქართველოლოგიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელია, რომლის გამოკვლევები და თარგმანები მსოფლიო ქართველოლოგიის საგანძურში შევიდა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობის მაგიერ	3
კავკასია ძველგერმანულ ლიტერატურაში	5
ქართველი ქალები გოეთეს კომენტარების მიხედვით	22
ზერთა ზუტნერის მოგონებები საქართველოზე	24
გერმანული რომანი ქართულ თემაზე	75
ზუტნერის მოთხრობა იონა მეუნარგიაზე	80
ზუტნერის მოთხრობები საქართველოზე	86
„კავკასიის შვილების“ მეორე წიგნი	96
ქართველი ქალები ზუტნერის „შამილში“	105
ოიგენ ცაბელის ნარკვევი „ყირიმი და კავკასია ლიტერატურაში“	115
ადოლფ ღირი და ქართული ფოლკლორი	120
რობერტ ბლაიჰშტაინერი	131



8H (Het) + 9 (C41)
§3. 09 + 308 (47. 92)(0:8)(09)
კ 171

Иодар Мефодьевич Какабадзе
Иодар Доментьевич Рухадзе
Кавказ и Грузия в немецкой литературе
(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1963

რედაქტორი ნ. მამისაშვილი
მხატვარი ს. ცინცაძე
ტექნორედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი მ. ბუქიანიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-63 წ. ქალაქის
ზომა 70X108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 5,82. სააღრ.-საგა-
მომც. თაბახი 4,57 საავეტორო თაბახი 4,43.
უე 00461. ტირაჟი 5,000. შეკვ. № 402.
ფასი 14 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ზოგრაფიკული და მხატვრული ბეჭდვითი სიტყვას
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

•

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.